www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 2 აგვისტო, 2003 წელი. №209 (421)

ფასი 30 თეთრი

## მორიგი საპროტესტო ნოტა რუსეთს

### სოხუმის მიმართულებით საზღვაო მიმოსვლის დაუკითხავად აღდგენის გამო

ზაზა ფაჩუაშვილი

*2003 წლის 26 ივლისს თბომავალმა "ვეგა-1" განახორციელა საზღვაო რეისი სოხუმი – სოჭი – სოხუმის მიმართულებით, რომელიც, როგორც აფხაზური მხარე აცხადებს, რეგულარული გახდება და მოზღვავებულ ტურისტებს მოემსახურება. ამ ფაქტს მწვავე რეაქცია მოჰყვა, როგორც აფხაზეთის ლეგიტიმურ, ასევე ქვეყნის ცენტრალურ ხელისუფლებაში. საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთს მორიგი საპროტესტო ნოტაც გაუგზავნა.*

საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში მოცემულია აღნიშნული ფაქტის სამართლებრივი შეფასება, რომელიც სისხლის სამართლის დანაშაულსაც შეიცავს:

"თბომავალმა "ვეგა-1" უხეშად დაარღვია საქართველოს კანონმდებლობა სისხლის სამართლის კოდექსის ჩათვლით (სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთა და საბაჟო წესების დარღვევა). ამის გარდა, დაირღვა საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის განკარგულება სოხუმის საზღვაო პორტის, საპორტო პუნქტების, საზღვაო აკვატორიისა და სახელმწიფო საზღვრის დახურვის შესახებ, აფხაზეთის - საქართველოს ტერიტორიაზე ყველა სახის საერთაშორისო გადაზიდვებისთვის, რის შესახებაც თავის დროზე სათანადო წესით ეცნობა რუსეთის მხარეს."

გაგრძელება A2 გვერდზე

## საქართველო - რუსულ ენერგეტიკულ ორმოში

*გუშინ პარლამენტი რამდენჯერმე ჩავარდა შოკში. პირველად ეს მაშინ მოხდა, როდესაც დროებითი საპარლამენტო კომისიის ხელმძღვანელმა ირაკლი ჩუბინიშვილმა დეპუტატებს მიაწოდა შეულამაზებელი ინფორმაცია ქართული ენერგეტიკის რუსეთთან "ასიმილირების" შესახებ. საკანონმდებლო ორგანოში მეორედ მაშინ გაოგნდნენ, როდესაც მთავრობამ დემონსტრაციულად უგულვებელყო დეპუტატების კატეგორიული მოთხოვნა პარლამენტში გამოცხადების შესახებ. დეპუტატებს კიდევ ერთხელ ეცათ პირკატა, როდესაც სახელმწიფო მინისტრმა მსჯელობის დასრულებამდე უკანმოუხედავად დატოვა პარლამენტი. ამის შემდეგ, ოპოზიციას მხოლოდ ისღა ჰქონდა სანატრელი, მთელი მთავრობა, იქნებ ხელისუფლებიდანაც გაიქცესო. მათ სურვილს, სამწუხაროდ, უახლოეს მომავალში ახდენა არ უწერია.*

გიორგი ასანიშვილი

საქართველო რუსეთის ენერგეტიკულ ორმოში ვარდება. ეს მწარე სინამდვილე, როგორც ჩანს, მხოლოდ ოპოზიციის თავშისახლელია. ყოველ შემთხვევაში, აღმასრულებელი ხელისუფლება საფრთხეს ოლიმპიური სიმშვიდით უყურებს და მთელ თავის ძალისხმევას საკანონმდებლო კორპუსთან დაპირისპირებას ახმარს. იმ განგაშს, რომელიც გუშინ "ორმოს ფსკერზე" ატყდა, პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი მარიამ ცაცანაშვილი "კონცერტს" უწოდებს, ხოლო თავად ჟორბენაძე სინანულით აცხადებს: **"ვერ დადგა ის დრო, რომ ყველაფერს ფარდა აეხადოს და ყველას თავისი მიეზღოს".**

გაგრძელება A2 გვერდზე



'24 საათის' არქივიდან

პარლამენტსა და მთავრობას შორის კარი მყარად ჩაირაზა.

## 25 მილიონად გაყიდული დამოუკიდებლობა

### რამდენად იყიდა რუსეთმა კონტროლი საქართველოს ენერგოსექტორზე

*სულ რაღაც 25 მილიონი დოლარი და... რუსეთმა საქართველოს ენერგეტიკულ სექტორზე სრული კონტროლი მოიპოვა. ყოველ შემთხვევაში, "რაო ეეს როსსიისა" და "ეი-ი-ეს კორპორაციის" მიერ მკაცრად გასაიდუმლოებული მოლაპარაკების დეტალებმა "რაოს" კულუარებიდან ამ სახით გამოჟონა. ასეა თუ ისე, რუსეთი უკვე ღიად საუბრობს, რომ სექტემბერში "რაო ეეს როსსიი" საქართველოს ენერგოსექტორში საკუთარი მენეჯმენტით შემოვა.*

მაია ურუშაძე

გაიყიდა თუ არა საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობა 25 მილიონ დოლარად, ამის თაობაზე ქვეყნის პრეზიდენტმა ოფიციალურად არაფერი უწყის. ყოველ შემთხვევაში, ასე აცხადებენ მისი პრესმდივანი და მთავრობის წევრები. "24 საათის" ანონიმური წყაროს ცნობით, "თელასი" "რაო ნორდიკ ოუს" იგივე თანხა დაუჯდა, რაც თავის დროზე "ეი-ი-ეს კორპორაციამ" საქართველოს ხელისუფლებას გადაუხადა. გარდა ამისა, "რაო ნორდიკ ოუმ" ის საკრედიტო ვალდებულებებიც გადაიბარა, რაც "ეი-ი-ესს" ევრობანკის წინაშე ჰქონდა აღებული. მარტივად რომ ვთქვათ, "რაო ეესმა" "თელასი" თავისი ვალებიანად იყიდა. თავის დროზე ეს თანხა – 254 მილიონი დოლარი - "ეი-ი-ესმა" "თელასის" ქსელის რეკონსტრუქციისათვის დახარჯა. აქედან 60 მილიონი – ევრობანკის სესხი იყო, 194 მილიონი კი – "ეი-ი-ეს კორპორაციის" მიერ განხორციელებული ინვესტიცია. ამ ვალების გასასტუმრებლად "რაო ნორდიკ ოუს" ევრობანკსა და "ეი-ი-ეს კორპორაციასთან" შეთანხმება მოუწევს, რათა საინვესტიციო ვალდებულების გასტუმრების გრაფიკი ოფიციალურად გადაიფორმოს.

**"რაო ეესმა" საქართველო იაფად ჩაიგდო ხელში. მიუხედავად ქართული ოპოზიციის წინააღმდეგობისა, საქართველოს გენერაციის ობიექტები და გამანაწილებელი ქსელები რუსეთს გადაეცა,"** – ჟღერდა გუშინ რუსული მასობრივი ინფორმაციის

გაგრძელება A3 გვერდზე

## პრეზიდენტს პარლამენტისგან თავი შორს უჭირავს

თამარ ხორბალაძე

*პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით შეკრებილ საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს გუშინ დღის წესრიგში სამი ძირითადი საკითხი ჰქონდა შეტანილი: 2000 წლიდან ენერგეტიკულ სფეროში არსებული კანონდარღვევების შესახებ ანგარიში, საქართველო-რუსეთის საზღვარზე მეკავშირე ოფიცრის დამტკიცება და ანგარიში არმიაში გაწვევის შესახებ.*

*ძალიან საინტერესოა, მაგრამ ფაქტია, რომ სხდომის დასრულების შემდეგ უშიშროების საბჭოს ყველა წევრი აცხადებდა, რომ გუშინდელ სხდომაზე "თელასისა" და ზოგადად რუსული ენერგოექსპანსიის საკითხი არ განუხილავთ.*

### ენერგოდარღვევებზე...

უშიშროების საბჭოს სხდომიდან გამოსული კონტროლის პალატის თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის განცხადებით, ბოლო სამი წლის განმავლობაში ენერგეტიკის სფეროში არსებული

გაგრძელება A2 გვერდზე

## რუსეთის ენერგოექსპანსიის ქრონიკა

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

დსთ-ს რესპუბლიკების ურთიერთობებში საჯაროობას წერტილი სანკტ-პეტერბურგის არაფორმალურ სამიტზე დაესვა. დამკვირვებლები ამტკიცებენ, რომ ყოველივე შედეგია დსთ-ს მეთაურებზე აშშ-ისა და ევროპის სახელმწიფოთა ლიდერების ზეწოლისა. სწორედ ამ ისტორიული მოვლენის შემდეგ დაიხურა საქართველო-რუსეთს შორის ნებისმიერი დონის შეხვედრებისა და კონსულტაციების თემატიკაც. დიპლომატიურ წრეებში, პარლამენტის კაბინეტებსა და აღმასრულებელ ხელისუფლებაში ბევრმა გამოცდილმა ექსპერტმაც არ იცის, ვინ რა საიდუმლო გარიგებას მოაწერა ხელი სოჭსა და პეტერბურგში, რატომ და ვის სასარგებლოდ? პუტინ-კუჩმა-შევარდნაძისა და დანარჩენ პრეზიდენტთა შორის მიღწეულ "სხვა საიდუმლო გარიგებებსაც", ამ დღეებში ეხდება ფარდა. მაგალითად, დსთ-ს სივრცის ენერგეტიკულ პროექტებს.

16 ივნისი, სანკტ-პეტერბურგი: პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი სანკტ-პეტერბურგში ხვდება მსხვილი ენერგეტიკული კომპანიების წარმომადგენლებს და მიესალმება რუსეთის ენერგობაზარზე ამერიკული კომპანიების შესვლას, მათ ფართომასშტაბიან ინვესტიციებს, კომპანიების თანაბარ პირობებში ჩაყენებას. იქვე ფორმდება 2020 წლამდე რუსეთის ენერგეტიკული სტრატეგიის – ერთიანი ენერგობაზრის ფუნქციონირების დოკუმენტი. რუსეთის, აშშ-ს და ევროპის წამყვანი სახელმწიფოების ენერგეტიკული მონსტრების წარმომადგენლები ტაშს უკრავენ რუსეთის პრეზიდენტის კაპიტულაციას. დამოუკიდებელი რუსი ექსპერტები ამ გარიგებას ენერგეტიკის სფეროში მომხდარ დიდ გადანაწილებას არქმევენ. პუტინი ამბობს: **"ეს დოკუმენტი განსაზღვრავს ენერგორესურსების გამოყენების სფეროებში ჩვენი პარტნიორი სახელმწიფოების პოლიტიკას."** რუსეთის პრეზიდენტი აყენებს საკითხს სახელმწიფოსა და ბიზნესის გაერთიანების აუცილებლობაზე, რომ ევროსაბჭოს მიერ მოხმარებული ნავთობის 16 პროცენტი და 20 პროცენტი გაზი რუსეთიდან მიდის. პრეზიდენტის სიტყვებით, ის, რაც დღეს რუსეთისა და მეზობელი სახელმწიფოების ენერგობაზრებზე ხდება, რუსეთის ენერგეტიკული უსაფრთხოების დოქტრინის პირველი და მთავარი პუნქტის მოთხოვნის ადეკვატურია. პუნქტი კი გვამცნობს, რომ ენერგეტიკული ბაზარი უნდა იყოს პროგნოზირებადი და სტაბილური. პრეზიდენტის ამ მოსაზრებას არ ეთანხმება "იუკოსის" პრეზიდენტი ხოდორკოვსკი, რომელსაც კრემლი სასტიკად სდევნის.

გაგრძელება A3 გვერდზე

## როგორ იცავს პოლიცია წესრიგის დამრღვევ კოლეგებს

როგორც წესი, პოლიციის მაღალჩინოსნები საკითხის განზოგადებას ეწინააღმდეგებიან და საკუთარ რიგებში ცალკეულ ულირსებზე საუბრობენ. თუმცა, არის წესიდან გამონაკლისიც, მაგალითად ისეთი, როგორიც ხუთშაბათს კუს ტბაზე მომხდარ ინციდენტზე პოლიციის რეაგირება გახლდათ.

A3

## სახალხო დამცველი ბოდიშს არ მოიხდის

სახალხო დამცველს ნანა დევდარიანსა და საქართველოს სამხედრო პროკურორს გია ჯიქიას შორის რამდენიმეთვიანი სასამართლო დავა დასრულდა – დევდარიანს ჯიქიასთვის საჯაროდ ბოდიშის მოხდა აღარ მოუწევს.

A2

## ქართული ასეული ერაყში წასასვლელად მზად არის

კობა ლიკლიკაძე
*"რადიო თავისუფლება", სპეციალურად "24 საათისთვის"*

*როგორც იქნა, წერტილი დაესვა თითქმის სამთვიან მარჩიელობას თემაზე, მიიღებდნენ თუ არა მონაწილეობას ერაყის აღდგენაში ქართველი სპეციალისტები. დიდი ხნის ლოდინისა და სამზადისის შემდეგ, სამოცდაათკაციანი სამხედრო ასეულის პირველი ჯგუფი - საშტაბო ოფიცრები, სავარაუდოდ, კვირას გაემგზავრებიან ერაყში. შემდგომ კი მათ ნაკვალევს კოჯრის სწრაფი რეაგირების ოცეული, ინჟინერ-გამნაღმველები და სამხედრო მედიკოსებიც შეუერთდებიან. მანამდე კი, ყველამ ერთად, საჭირო აღჭურვილობა და ფორმა ამერიკის საელჩოსგან მიიღეს.*

გაგრძელება A2 გვერდზე



გოჩიტა ბუხაიძის ფოტო

ქართული ასეული გასამგზავრებლად მზადაა.

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 34 | ☼ |
| ქუთაისი | 37 | ☁ |
| ბათუმი | 36 | ☁ |
| სოხუმი | 34 | ☁ |
| ფოთი | 36 | ☁ |
| თელავი | 33 | ☼ |
| ზუგდიდი | 37 | ☁ |
| გორი | 32 | ☼ |
| ახმეტა | 33 | ☼ |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1375 |
| ევრო | 2.3951 |
| გირვანქა სტერლ | 3.4322 |
| რუბლი | 0.0705 |

## დღეს რეზო თაბუკაშვილს 76 წელი შეუსრულდებოდა

დიმიტრი ხვთისიაშვილი

აკაკი ბაქრაძემ რეზო თაბუკაშვილთან გამოთხოვებისას მწერალთა კავშირის შენობაში, ასეთი სიტყვებით მიმართა განსვენებულს: "იმ კაცს, ვინც დღეს აქ ესწრება, არ სჭირდება იმის ახსნა და განმარტება, ვინ არის და რას აკეთებს რეზო თაბუკაშვილი. მე არ შემშლია, როდესაც ზმნები აწმყოში ვიხმარე, რადგან იმ კატეგორიის ადამიანები, რომელსაც რეზო ეკუთვნოდა, მარადიულად რჩებიან იმის შემდეგაც, როდესაც სული ეყრება სხეულს და ახდენენ მუდმივ ზეგავლენას ჩვენს ცნობიერებაზე..."

გაგრძელება A7 გვერდზე



თაბუკაშვილების ოჯახი.

## ჩაძირულების გადარჩენა ჩაძირულებისვე საქმეა

*"24 საათის" სტუმარია "ჰერიტიჯ ფაუნდეიშენის" ექსპერტი არიელ კოენი*

შოთა უტიაშვილი
*ვაშინგტონი*

**- ამბობენ, რომ ერაყის ომის და, საერთოდ, ახლო აღმოსავლეთში არსებული ვითარების გამო, ამერიკის ინტერესი კავკასიის მიმართ მნიშვნელოვნად შემცირდება. თქვენი აზრით, რამდენად შეცვალა ამერიკის პრიორიტეტები ახლო აღმოსავლეთში არსებულმა ვითარებამ?**

- ის ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ კავკასიის მნიშვნელობა შემცირდება, ელემენტარულად რუკაზე არ იყურებიან. კავკასია ძალიან ახლოს არის ერაყთან, ირანთან, ცენტრალურ აზიასთან. ნატო ფართოვდება შავი ზღვის მიმართულებით და კავკასია უკვე ნატო-ს მეზობელია. თურქეთში არსებული გაურკვევლობის გამო, რასაც თან ახლავს ანტიამერიკული განწყობილების ზრდა, საქართველო, აზერბაიჯანი და რაღაც დონემდე სომხეთიც, მნიშვნელოვანია ამერიკისთვის, როგორც თურქეთის შემცვლელი.

ყველგან და ყოველთვის ამერიკასთან ძალზე არარეალური და ილუზიური მოლოდინებია დაკავშირებული. ცენტრალური აზიის და კავკასიის ქვეყნების მთავრობები ფიქრობენ, რომ ამერიკა ყველაფერზე თვალს დახუჭავს და მათ ყველა სფეროში უზარმაზარ დახმარებას აღმოუჩენს. საჭიროა უფრო რეალისტური მიდგომა. ვფიქრობ, რომ საჭიროა უფრო მეტი თანამშრომლობა და კოორდინაცია სამხედრო უწყებებთან, რათა მათ შეძლონ მოსალოდნელ კრიზისებთან გამკლავება, ისე, როგორც ეს პანკისის შემთხვევაში მოხდა.

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 ამბები A3 ამბები A4 ამბები A5 უცხოეთი A6 სპორტი A7 რევიუ A8 სხვადასხვა

# მორიგი საპროტესტო ნოტა რუსეთს



ვახო ხარაზიას ფოტო

*საგარეო საქმეთა უწყება ლტოლვილების მთელ აფხაზეთში დაბრუნებას კატეგორიულად მოითხოვს.*

პირველი გვერდიდან

ამის მიუხედავად რუსეთმა არ შეასრულა ვალდებულება და საქართველოს მხარეს არ აცნობა საზღვრის დამრღვევი ხომალდის რუსეთის ფედერაციის პორტში ყოფნის შესახებ.

ცხადია, მან ტრადიციულად დაარღვია კეთილმეზობლური პრინციპები, საერთაშორისო ნორმები, მემორანდუმები, დსთ-ს სახელმწიფოების მეთაურთა გადაწყვეტილებები აფხაზეთთან დაკავშირებით, შეთანხმება საქართველო-რუსეთის ფედერაციის მთავრობებს შორის სავაჭრო ნაოსნობის შესახებ და გააგრძელა სეპარატისტული რეჟიმისადმი მრავალმხრივი მხარდაჭერის დანაშაულებრივი პოლიტიკა.

საქართველოს საგარეო სამინისტრომ ჩრდილო მეზობელს კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთი დახურულია ყველა სახის გადაზიდვებისათვის, გარდა ჰუმანიტარულისა და მოსთხოვა, მსგავსი უკანონო ქმედებების შემთხვევაში, დამრღვევი ხომალდი დაკავებულ იქნეს და ამის თაობაზე დაუყოვნებლივ ეცნობოს საქართველოს მხარეს.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ კახა სიხარულიძემ, რომელიც აღნიშნული განცხადების გაკეთებისას ხაზგასმულად კატეგორიული იყო, აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებით საზოგადოებას ერთი ურყევი პირობაც გააცნო, რომელიც, მისივე თქმით, არ შეიცვლება: **"ერთადერთი, რასაც ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნავთ და გნებავთ ამას ჩვენი პრეტენზიაც დაარქვით, არის ის, რომ ლტოლვილები მთლიანად, მთელ აფხაზეთში უნდა დაბრუნდნენ ამთავითვე და არა მხოლოდ გალის რაიონში."**

# საქართველო - რუსულ ენერგეტიკულ ორმოში

პირველი გვერდიდან

ვიდრე ფარდა აიხდება, ირაკლი ჩუბინიშვილი ჯერ იმას ამცნობს კოლეგებს, რაც სახელისუფლებო ფარდის უკან მოხდა: **"საქართველოში არსებული ერთადერთი საბაზო თბოელექტროსადგური, მარეგულირებელი სადგურები ხრამი-1 და ხრამი-2, თბილისის დისტრიბუცია, მაგისტრალური ელექტროსადენები და, სავარაუდოდ, აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ვარდნილჰესებიც - მთლიანად რუსეთის ხელში გადადის. თუ ამას დავუმატებთ იმას, რომ "გაზპრომი" საქართველოში შემოდის, როგორც სტრატეგიული ინვესტორი, და გაზსადენებს გააკონტროლებს, ცხადი ხდება, რომ მიმდინარეობს ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკული დაკაბალება."** ჩუბინიშვილის აზრით, საქართველოს სათბობენერგეტიკის სამინისტრო უკვე საჭირო აღარ არის და შეგვიძლია, ის აუღელვებლად გავაუქმოთ, რადგან ქვეყნის ენერგოსექტორში მიმდინარე პროცესებს ამ ზამთრიდან უკვე რუსეთის ანალოგიური უწყება გააკონტროლებს. დეპუტატის მტკიცებით, **"გარკვეული პირების მიმართ სამშობლოს ღალატის მუხლითაც კი შეიძლება საქმის აღძვრა"**.

საქართველოს მთავრობის ენერგოპოლიტიკაში ახალ საფრთხეს ხედავს "ტრადიციონალისტი" ალეკო შალამბერიძე. **"ყველა ობიექტის გაყიდვა-გასხვისებას რომ მორჩებიან, ხელისუფლება მერე ადამიანების გაყიდვაზე გადავა და ამას პარლამენტარებით დაიწყებენ,"** - ვარაუდობს აკაკი ასათიანის თანამებრძოლი.

მისგან განსხვავებით, "გაერთიანებული დემოკრატები" გუშინ სულაც არ იყვნენ შაყირის



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ვასილ მაღლაფერიძე: "ეს ბოროტება საფრთხეს უქმნის ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს."*

(თუნდაც, მთავრობის) ხასიათზე. ზურაბ ჟვანია მთავრობის ქმედებებს სახელმწიფო გადატრიალებად აფასებს და პრეზიდენტის სახელზე აკეთებს საგანგებო მიმართვას, რომელიც შეიცავს მოთხოვნას, რომ ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა არის ენერგოობიექტების გასხვისების სულისჩამდგმელი და აუცილებელია ამ სფეროში მიმდინარე პროცესებისგან მისი ჩამოშორება.

**"მირცხულავამ მაჭანკლის როლი შეასრულა. იგი დარბოდა მოსკოვში და არწმუნებდა ჩუბაისს, რომ "ეი-ი-ეს თელასი" შეესყიდა,"** - მიიჩნევს "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერი. ამასთან, იგი პრეზიდენტისგან ითხოვს, დაინიშნოს სპეციალური მომლაპარაკებელი, რომელიც "ეი-ი-ეს თელასსა" და "რაო-ეესს" შორის გამართულ მოლაპარაკებებში მიიღებს მონაწილეობას.

საფრთხის ძალიან დიდ მასშტაბზე საუბრობს ფრაქცია "ახალი მემარჯვენეების" თავმჯდომარე ფიქრია ჩიხრაძე, რომლის თქმითაც, ათწლიანი თავისუფლების შემდეგ, საქართველო ისევ კარგავს დამოუკიდებლობას. იგივე საფრთხეზე ლაპარაკობს გიორგი ბარამიძე: "მალე ისეთი თავისუფლები ვიქნებით, როგორიც იყო ბულგარეთი საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში".

ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას "ნაციონალების" ერთ-ერთი ლიდერი კობა დავითაშვილი, არც თუ უსაფუძვლო ვარაუდამდე მიუყვანია: **"ვინაიდან ედუარდ შევარდნაძემ შეერთებული შტატებისგან ვერ მიიღო იმის გარანტია, რომ 2 ნოემბრის არჩევნების შემდეგ ძალაუფლებას შეინარჩუნებდა, იგი ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლას იწყებს და, ხელისუფლებაში დარჩენის მიზნით, რუსეთს ეკვრება."** მის მიერ გამოთქმულ ვერსიაში ბოლოდროინდელი პროცესები (თუნდაც საარჩევნო) მართლაც კარგად "თავსდება".

ოპოზიციისგან განსხვავებით, სახელისუფლებო ფრაქციების წარმომადგელები მთავრობის მიერ აღებული კურსის გამართლებას თავდაუზოგავად ცდილობდნენ. ისინი ითხოვენ დროს, რათა **"ყველაფერი შესწავლილი და გაანალიზებული იქნას"**. დრო კი გაჩერებული არ არის. ის სწრაფად მიჰქრის და ქართულ ენერგეტიკას რუსეთისკენ მიაქანებს. შანსი იმისა, რომ არასასურველი პროცესები შეჩერდეს, სულ უფრო ნაკლები რჩება.

საქართველოში აგორებული ენერგოსკანდალი ის საკითხი ნამდვილად არ არის, რომელიც, ზოგიერთი აჟიტირებული თემისგან განსხვავებით, მალე მიეცემა დავიწყებას. იგი, ალბათ, კიდევ დიდი ხნის განმავლობაში იქნება პოლიტიკური საზოგადოების ყურადღების ცენტრში და აღმასრულებელ ხელისუფლებას ბევრ უსიამოვნებას განაცდევინებს.

# პრეზიდენტს პარლამენტისგან თავი შორს უჭირავს

პირველი გვერდიდან

კორუფციის შედეგად ქვეყანა რამდენიმე ათეული მილიონი ლარით დაზარალდა.

მისი ინფორმაციით, ამასთან დაკავშირებით კონტროლის პალატას შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ორგანოებში, გენერალურ პროკურატურასა და უშიშროების სამინისტროში 50-მდე საგამოძიებო მასალა აქვს გადაგზავნილი, მაგრამ რეალური დამნაშავეები პასუხისგებაში არ არიან მიცემულნი.

მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა კი გუშინ განაცხადა, რომ 2000 წლიდან დღემდე მის უწყებაში კონტროლის პალატას მხოლოდ 15 მასალა აქვს გადაგზავნილი და თითოეულ მათგანზე შესაბამისი ზომები მიღებულია.

ძირითადი მოხსენება ამ საკითხზე გენერალურმა პროკურორმა ნუგზარ გაბრიჩიძემ წარმოადგინა.

როგორც სხდომის დასრულების შემდეგ გახდა ცნობილი, პრეზიდენტმა შევარდნაძემ ამ სფეროში არსებული საერთო შედეგები არადამაკმაყოფილებლად შეაფასა და მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება მოითხოვა. პრეზიდენტს კონკრეტული სახელმწიფო მოხელის პასუხისმგებლობის საკითხი არ დაუყენებია.

## საზღვრის დაცვაზე...

საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის ჩეჩნეთ-ინგუშეთისა და დაღესტნის მონაკვეთებზე კონტროლის გააქტიურების მიზნით პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მეკავშირე-მესაზღვრის ინსტიტუტის შემოღებას მხარი დაუჭირა.

მეკავშირე-მესაზღვრის ინსტიტუტის შემოღება საზღვრის ამ მონაკვეთებზე რუსეთისა და საქართველოს მხრიდან სამ-სამი საგუშაგოს გახსნას გულისხმობს. გარდა ამისა, საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ვალერი ჩხეიძე თავის რუს კოლეგებთან ორ-ორი მეკავშირე ოფიცრის გაცვლის თაობაზე მოლაპარაკებებს აწარმოებს.

პრეზიდენტის პრესმდივნის კახა იმნაძის ინფორმაციით, უშიშროების საბჭოს წევრებმა დღეს სახელმწიფო სამხედრო სამსახურში წვევამდელთა საგაზაფხულო გაწვევაზეც ისაუბრეს. იმნაძის თქმით, ამ მხრივ ქვეყანაში, გასულ წლებთან შედარებით, გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა და გეგმა 50 პროცენტით არის შესრულებული.

2003 წლის საგაზაფხულო გაწვევა 25 მაისს დაიწყო და 27 აგვისტომდე გაგრძელდება. გეგმის მიხედვით, სამხედრო სავალდებულო სამსახურში 7651 წვევამდელი უნდა გაიწვიონ.

## ბეიკერის ფორმულაზე...

გუშინ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ სცადა საქართველოს პრეზიდენტის ჩართვა "ბეიკერის ფორმულის" დამტკიცებასთან დაკავშირებულ საპარლამენტო ალიაქოთში.

**"საქართველოს პრეზიდენტი უნდა ჩაერიოს იმ პროცესებში, რაც ბოლო ორი დღის განმავლობაში პარლამენტში საარჩევნო კოდექსის ირგვლივ მიმდინარეობს",** - განუცხადა ჟურნალისტებს უშიშროების საბჭოს დაწყებამდე პარლამენტის თავმჯდომარემ.

**"პრეზიდენტი პასუხს აგებს ჯეიმს ბეიკერის წინაშე, რომელიც არის ამ რეკომენდაციების ავტორი და რომელიც მოითხოვს, რომ ოპოზიციას ცესკო-ში ადგილები პარიტეტულ საფუძველზე ერგოს",** - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ. მან წუხილი გამოთქვა იმის გამო, რომ ოპოზიციამ თანხმობას ვერ მიაღწია და ახლა პარლამენტის თემატურ უმრავლესობას შეუძლია ისეთი ცესკო-ს ფორმირება, რომელშიც სამი პარტია ხმათა 2\3-ს მიიღებს. **"თუ დღეს მომეცემა შესაძლებლობა, პრეზიდენტთან ჩემს პოზიციას დავაფიქსირებ",** - თქვა ნინო ბურჯანაძემ.

უშიშროების საბჭოს სხდომაზე ამ საკითხზე არ უმსჯელიათ. სხდომის შემდეგ კი პარლამენტის თავმჯდომარემ კანცელარია კომენტარის გარეშე დატოვა.

გუშინვე ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა მარიამ ცაცანაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ პრეზიდენტი პარლამენტის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ ჩაერევა.

## ჰეიდარ ალიევზეც...

გუშინ უშიშროების საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან გამოსულმა პრეზიდენტის პრესმდივანმა კახა იმნაძემ დამსწრე საზოგადოებას კიდევ ერთი ინფორმაცია გააცნო. მან თქვა, რომ უშიშროების საბჭოს მიმდინარეობის პერიოდში პრეზიდენტს მიაწოდეს ინფორმაცია აზერბაიჯანის პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის გარდაცვალების თაობაზე. ათიოდე წუთის შემდეგ კი ჟურნალისტებთან კვლავ მობრუნებულმა კახა იმნაძემ აღნიშნა, რომ პრეზიდენტი შევარდნაძე შეცდომაში იყო შეყვანილი, ინფორმაცია აზერბაიჯანის პრეზიდენტის გარდაცვალების შესახებ მას აზერბაიჯანული და თურქული გაზეთების მასალების საფუძველზე მიეწოდა, ოფიციალური ბაქო კი პრეზიდენტ ალიევის გარდაცვალების ფაქტს არ ადასტურებს.

# მთავრობამ ტურიზმი მთავარ პრიორიტეტად აღიარა

სოფიკო ოხანაშვილი

ზუსტად ერთი კვირის წინ მთავრობამ სპეციალური სხდომა მიუძღვნა ტურიზმის ქართველი, ევროკავშირის, ისრაელისა და მსოფლიო ექსპერტების მიერ შემუშავებულ ტურიზმის განვითარების კონცეფციის განხილვას და ეს დოკუმენტი დაამტკიცა კიდეც. საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის ვაჟა შუბლაძის თქმით, მთავრობის სხდომაზე, ტურიზმის განვითარების მიზნით, მთავრობამ 12 პრინციპული გადაწყვეტილება მიიღო. ტურიზმი ქვეყნის მთავარ პრიორიტეტად გამოცხადდა. გადაწყდა, რომ წლის ბოლომდე შემუშავდება ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა. ტურიზმის ბაზარზე კონკურენციის დონის ასამაღლებლად საერთაშორისო ექსპერტების რჩევის საფუძველზე მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება სახელმწიფო ეროვნული ტურისტული კომპანიის შექმნის შესახებ. საგარეო საქმეთა სამინისტროს დაევალა, წლის ბოლომდე წარმოადგინოს სასაზღვრო სისტემის გამარტივების პროექტი, რაც იმას გულისხმობს, რომ შესაძლოა, დღის წესრიგში ზოგიერთ ქვეყანასთან (აშშ, იაპონია, ევროკავშირის ქვეყნები) სავიზო რეჟიმის ცალმხრივად გაუქმების საკითხიც დადგეს. **"რა აზრი აქვს აშშ-სთან სავიზო რეჟიმს? ვის ვაკავებთ? სავიზო რეჟიმის ცალმხრივად გაუქმებით კი ტურისტების ნაკადი საგრძნობლად გაიზრდება",** - განაცხადა გუშინ მთავრობის სხდომის შედეგების განხილვისთვის მიძღვნილ პრესკონფერენციაზე შუბლაძემ. მისივე თქმით, რადგან მსოფლიოში კავკასიას მაინც ერთ მთლიან რეგიონად აღიქვამენ, სავარაუდოა, კავკასიური ვიზის შემოღება ტურიზმის განვითარებისთვის უფრო მომგებიანი იყოს. მთავრობის გადაწყვეტილებით შეიქმნება დარგთაშორისი სამთავრობო კომისია, რომელსაც პირადად პრეზიდენტი უხელმძღვანელებს. კომისია კვარტალში ერთხელ განიხილავს ტურიზმის სფეროში მიმდინარე პროცესებს და პრობლემებს. შსს-ს კატეგორიულად დაევალა ტურისტების უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ჯანდაცვის, განათლებისა და კულტურის სამინისტროებს დაევალათ ტურიზმის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის შექმნა. სავარაუდოდ, ეს ცენტრი ფიზიოლოგიისა და კურორტოლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნება. მთავრობის გადაწყვეტილებით, ტურიზმის ინფრასტრუქტურა უნდა გაუმჯობესდეს. პრეზიდენტმა ყველა სამინისტროსა და სხვა შესაბამის უწყებებს სამ თვეში სამოქმედო გეგმის წარდგენა დაავალა.

ტურიზმის პრიორიტეტად აღიარება სახელმწიფო ბიუჯეტშიც აისახება. შუბლაძის თქმით, მომავალ წელს ტურიზმის ბიუჯეტი 1,2 მილიონი ლარით განისაზღვრება. აქედან 400 ათასი რეკლამას მოხმარდება. შუბლაძის განცხადებით, წელს რეკლამისათვის ერთი თეთრიც არ იყო გათვალისწინებული, ტურიზმის ბიუჯეტმა კი მიმდინარე წელს 280 ათასი ლარი შეადგინა, სეკვესტრის შედეგად ტურიზმის სფეროს 80 ათასი ლარი ჩამოეჭრება. არადა, საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის თქმით, საქართველოსადმი ტურისტების ინტერესი უფრო და უფრო იზრდება, რასაც სტატისტიკური მონაცემებიც ადასტურებენ. შუბლაძის ინფორმაციით, 2003 წლის გასულ ექვს თვეში საქართველოში 140 ათასი ტურისტი შემოვიდა. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, შორეული საზღვარგარეთიდან შემოსულთა რიცხვი 7,5 ათასით გაიზარდა. შუბლაძის თქმით, ზრდა დაფიქსირდა საზღვარგარეთის ისეთი ქვეყნებიდან, როგორიცაა იტალია, ესპანეთი, საფრანგეთი, ჩეხეთი, ირლანდია, ისრაელი, ხორვატია და სხვა. წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მიმდინარე წლის ექვსი თვის მონაცემებით, ტურისტების შემოდინებამ იკლო სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. თუმცა, შუბლაძის განცხადებით, საბოლოო ჯამში, ტურისტების რიცხვის ზრდა ბოლო ორი წლის განმავლობაში პირველად დაფიქსირდა.

ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარის განცხადებით, ტურიზმიდან ქვყანაში მიღებულმა შემოსავლებმა მიმდინარე წლის ექვს თვეში 317.3 მილიონი ლარი შეადგინა, რაც შარშანდელზე ცხრა მილიონი ლარით მეტია. შემოსული თანხიდან წელს ბიუჯეტში 47.6 მილიონი ლარი შევიდა, რაც გასული წლის მონაცემებთან შედარებით 1,25 მილიონი ლარით მეტია. ვაჟა შუბლაძის თქმით, ასევე გაიზარდა საქართველოდან წასული ტურისტების რიცხვიც. ექვსი თვის მონაცემებით, საქართველოდან გავიდა 153,4 ათასი ადამიანი, რაც გასული წლის იგივე პერიოდთან შედარებით 6230-ით მეტია.

# ქართული ასეული ერაყში წასასვლელად მზად არის

პირველი გვერდიდან

აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანის შემდეგ საქართველო მეორე ქვეყანა იქნება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის, რომლის კონტინგენტიც ერაყის სტაბილიზაციის პროცესში მიიღებს მონაწილეობას. თუმცა თავდაპირველად გამოცხადებული თარიღის – ივნისის ნაცვლად, ეს მხოლოდ აგვისტოს დასაწყისისთვის გახდა შესაძლებელი. ამ დაგვიანებას ქართველი სამხედროები ამერიკის სარდლობის გადაწყვეტილებით ხსნიან, მაგრამ დაგვიანების ერთ-ერთ სავარაუდო მიზეზად სახელდება აღჭურვილობის უზრუნველყოფაში შექმნილი შეფერხებაც, რაც ქართულმა მხარემ საბოლოოდ ისევ ამერიკელების დახმარებით აღმოფხვრა. ამ ჩავარდნას ხასიათი არ გაუფუჭებია მრავალჭირნახული ქართველი სამხედროებისთვის.

განსაკუთრებით ხალისიანად გამოიყურებოდნენ გამნაღმველები, რომლებსაც მდიდარი საბრძოლო გამოცდილება დაუგროვდათ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის კონფლიქტში. როგორც ერთ-ერთმა გამნაღმველმა მამუკა ცხვედიანმა ხუმრობით გვითხრა, მათ ყველა ნაღმის ენა ესმით, მაგრამ ნაღმთან გაშინაურება მაინც არ შეიძლება, რადგან მიჩვევა და ყურადღების მოდუნება იცისო.

გამნაღმველების გარდა, ამერიკის სამხედრო მეკავშირეთა დახმარებით, სპეციალური აღჭურვილობა და ფორმის ტანსაცმელი მიიღეს სამხედრო მედიკოსებმაც, რომელთა უმრავლესობას ქალები შეადგენენ. მათ გამოცდილი საველე ქირურგი რეზო ხარჩილავა ხელმძღვანელობს. ერაყში მისიის შესახებ ქართველი მედიკოსები ასეთ ინფორმაციას ფლობენ: **"სად ვიქნებით, არ ვიცით, მაგრამ ან სამხედრო ჰოსპიტალში ვიმუშავებთ, ან ჩვენი მებრძოლების სამედიცინო უზრუნველყოფაზე, ან კიდევ პატიმრებს მოვემსახურებით",** - აცხადებს ხარჩილავა.

**"არანაირ შიშს არ ვგრძნობ. ან რატომ უნდა მეშინოდეს. ექიმები მეორე მსოფლიო ომის დროსაც დაცულები იყვნენ, თანაც ჩვენ იქ მშვიდობიანი ოპერაციების ჩასატარებლად მივდივართ",** - ამბობს ექთანი ლალი.

როგორც წესი, მაღალი მოტივაციით გამოირჩევიან კოჯრის სპეცდანიშნულების ოცეულის მებრძოლები, რომლებსაც საგანგებოდ ასეთი სიტუაციებისთვის ამზადებენ. მათ სხვადასხვა დროს მონაწილეობა აქვთ მიღებული კოდორისა და პანკისის ხეობებში მიმდინარე სპეცოპერაციებში, მაგრამ საერთაშორისო კონფლიქტი მათთვისაც პირველია. თუმცა, როგორც სპეცოცეულის მეთაურმა, ლეიტენანტმა გიორგი კირვალიძემ ჟურნალისტებს უთხრა, კონტინგენტი იმდენად კარგად არის მომზადებული, რომ ნებისმიერი სახიფათო დავალების შესრულება შეუძლია.

იმავე აზრისაა ამერიკის მეკავშირე ოფიცერთა წარმომადგენლობის ხელმძღვანელი, მაიორი **დაკ ანდერსონი**, რომელიც პირადად ესწრებოდა ხუთშაბათს ქართული კონტინგენტისათვის 350 ათასი დოლარის ღირებულების სამხედრო ფორმების, ჯავშანჟილეტების, ფეხსაცმლის და სხვა ნივთების გადაცემის ცერემონიას. უფრო ადრე ამერიკელებმა იზრუნეს ქვედანაყოფის უახლესი საკომუნიკაციო ტექნიკით აღჭურვაზეც.

ასე რომ, ფორმით ამერიკული, ხოლო შინაარსით ქართული ქვედანაყოფი უკვე სრული ასი პროცენტით მზად არის მსოფლიოს ყველაზე ცხელ წერტილში გასამგზავრებლად.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** "ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის" ლიდერი ირაკლი წერეთელი, მოუწოდებს საქართველოს პრეზიდენტსა და "ქაოსურ და მოლაყბე პარლამენტარებს", 2 ნოემბრის არჩევნები აშშ-ს წარმომადგენლების თანდასწრებით ჩაატარონ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ლეიბორისტული (შრომის) პარტიის" თავმჯდომარემ შალვა ნათელაშვილმა და საქართველოში დიდი ბრიტანეთის ელჩმა დებორა ბარნს-ჯონსმა, პარასკევს პარტიის ოფისში გამართულ შეხვედრაზე, საარჩევნო კანონმდებლობის "ბეიკერის ვარიანტის" მიღების აუცილებლობაზე ისაუბრეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ლეიბორისტული (შრომის) პარტიის" ლიდერი შალვა ნათელაშვილი მიიჩნევს, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების საკითხზე პარლამენტში პარტიები იმის გამო უპირისპირდებიან, რათა "ცესკო-ში არჩევნების უფრო მეტი გამყალბებელი ჰყავდეთ". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ნიდერლანდების სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის საქართველოში ჰარი მოლინარისა და "დემოკრატიული აღორძინების კავშირის" თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელის ცოტნე ბაკურიას შეხვედრის მთავარი თემა საქართველოში 2 ნოემბერს დანიშნული საპარლამენტო არჩევნები და მისი მაქსიმალურად დემოკრატიულად ჩატარების აუცილებლობა იყო. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფრაქცია „მოძრაობა დემოკრატიული რეფორმებისათვის" ლიდერის კონსტანტინე კემულარიას განცხადებით, პარლამენტში ბეიკერის ვარიანტის მეორე მოსმენით ჩაგდებით, პრეზიდენტმა ოპოზიციასთან ერთად მოატყუა აშშ-ც, როგორც პარტნიორი. დეპუტატს მიაჩნია, რომ, პარლამენტში ცესკოს ფორმირების წესის „ბეიკერისეული სქემით" დამტკიცება იყო ვალდებულება, რომელიც საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევით არ შესრულდა. ეს კი ნიშნავს იმას, რომ აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების საქმეში აშშ-ს იმედი ქვეყანას აღარ უნდა ჰქონდეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი მიიჩნევს, რომ პარლამენტში ცესკო-ს დაკომპლექტების, ეგრეთ წოდებული, ბეიკერის ვარიანტის მიღება ან ჩავარდნა აფხაზეთის პრობლემის მოგვარებისადმი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის დამოკიდებულებას არ განსაზღვრავს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** „არავითარი რკინიგზა არ აღდგება და არც ერთი ეკონომიკური პროექტი არ განხორციელდება მანამ, ვიდრე არ მოხდება დევნილი მოსახლეობის მშვიდობიანი დაბრუნება აფხაზეთის ტერიტორიაზე", - განაცხადა გუშინ გამართულ ბრიფინგზე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩმა ზაზა გოგსაძემ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპარლამენტო ფრაქცია „აფხაზეთის" ლიდერი გივი ლომინაძე „იაფფასიან პოლიტიკურ ტრიუკს" უწოდებს ოპოზიციური პარტიების მტკიცებას იმის შესახებ, რომ პარლამენტში ცესკოს ფორმირების ე.წ. „ბეიკერისეული სქემის" ერთი მუხლის მეორე მოსმენით ჩავარდნა აფხაზეთის პრობლემისადმი აშშ-ს ძალისხმევის შესუსტებას განაპირობებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მერიის ადმინისტრაციული ინსპექციის უფროსი, "ნაციონალური მოძრაობის" წევრი დავით მუმლაძე საპარლამენტო არჩევნებში ზესტაფონში მაჟორიტარული სიით კენჭისყრას აპირებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფრაქცია „ალიანსის" ლიდერი ირაკლი გოგავა ოპოზიციურ პარტიებს მოუწოდებს, პარლამენტში ბეიკერისეული სქემის ჩავარდნის გამო ნუ შეეცდებიან საზოგადოებაში ანტიამერიკული განწყობილების შექმნას. მისი აზრით, ამ სქემის ჩავარდნა განაპირობა არა პრეზიდენტისა და ხელისუფლების მხრიდან ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობამ, არამედ ოპოზიციაში არსებულმა უთანხმოებამ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ ესტონეთში გაიხსნა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საპარლამენტთაშორისო დელეგაციების პირველი ფორუმი. ხუთდღიანი ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში საპარლამენტთაშორისო დელეგაციები, ბალტიისპირეთის სამივე ქვეყანაში სამხრეთ კავკასიური ინტეგრაციის საკითხებთან დაკავშირებით ოფიციალურ კონსულტაციებს გამართავენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახალხო ფრონტის ლიდერი ნოდარ ნათაძე აცხადებს, რომ ის მოხარული იქნება, თუ შესთავაზებენ იმ ჯგუფში გაწევრიანებას, რომელიც ცესკოს თავმჯდომარეობის კანდიდატებს შეარჩევს.

„ეს, ალბათ, არ მოხდება, რადგან ხელისუფლებას თავისი წრე ჰყავს. ეს ის ხალხია, ვინც ყალბი დემოკრატია შექმნა", – განაცხადა ნათაძემ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი** მიმდინარე წლის სექტემბრიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროში სამოქალაქო მრჩევლის სტატუსით დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის სამინისტროს აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ს ქვეყნების დირექტორატის წარმომადგენელი პატრიცია შერინგი იმუშავებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი ურჩევს ფრაქციებს — „აღორძინებასა" და „XXI საუკუნეს", ხელისუფლების მხარდამჭერ ძალებთან გააფორმონ საპარლამენტო უმრავლესობა და 118 ხმით დაამტკიცონ „XXI საუკუნის" ალტერნატიული კანონპროექტი, რომელიც, მისივე თქმით, ცესკოში ოპოზიციის კვოტის პრეზიდენტის მიერ დაკომპლექტებას ითვალისწინებს. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** თბილისის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე კობა ბექაური, ადგილობრივი მოსაკრებლების გეგმის შეუსრულებლობის გამო, დედაქალაქის რაიონების გამგებლების მოადგილეების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას აპირებს. "ექვსი თვის მილიონ 80 ათას ლარიანი გეგმა დღეისთვის მხოლოდ 19,2 პროცენტით არის შესრულებული. კატასტროფული მდგომარეობაა ხელფასების დაფინანსების მხრივაც," - განაცხადა ბექაურმა და საკრებულოში მიწვეულ, ფინანსთა მინისტრის მოადგილეს, ლევან ჩრდილელს გეგმის შესასრულებლად ცენტრალური ბიუჯეტიდან იმ თანხის გადმორიცხვა მოსთხოვა, რომელიც თბილისის მთავრობამ "თბილგაზისა" და "წყალკანალის" ვალების დასაფარად სესხად აიღო. თავის მხრივ, ჩრდილელმა აღნიშნა, რომ ეს რვა მილიონლარიანი ვალი ცენტრალური ბიუჯეტიდან ნაწილობრივ დაფინანსდა. რაც შეეხება დარჩენილ ოთხ მილიონ ლარს, რომელიც თბილისმა პრეზიდენტის ბრძანებულებით ბუნებრივი აირის ვალის დასაფარად აპრილში აიღო, ამ საკითხზე საუბარს ჩრდილელმა თავი აარიდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტს, ორი დღეა, ემალება. ამის შესახებ კომიტეტის თავმჯდომარემ დემურ გიორხელიძემ განაცხადა. მისი თქმით, კომიტეტის სხდომა გუშინწინაც იყო დაგეგმილი, თუმცა სათბობ-ენერგეტიკის მინისტრთან დაკავშირება ვერ მოხერხდა. "როგორც ჩანს, მირცხულავა მძიმე დღეშია და სათქმელი არაფერი აქვს, სწორედ ამიტომ უწევს იგნორირებას პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის მოთხოვნას," - განაცხადა გიორხელიძემ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ექსპრესი.** ანტიმონოპოლიური სამსახური ერთადერთი სტრუქტურაა, რომელსაც "ეი-ი-ეს"-თან დადებულ ჩარჩო-ხელშეკრულებაზე ხელი არ მოუწერია. ამჯერად ის "რაო ე-ეს"-ის ხელშეკრულების მიმართ აკეთებს დასკვნებს, რომელიც ყველა შესაბამის უწყებაში ჯერ კიდევ თვენახევრის წინ დაიგზავნა, როგორც კი ამ კომპანიის საქართველოში შემოსვლასთან დაკავშირებით ინფორმაციები ინტერნეტ-საიტებზე გამოჩნდა. დასკვნა არ ხმაურდება. **თბილისი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგებიდან დივიდენდების სახით მისაღები შემოსავლების ივლისის თვის გეგმა 100,5 პროცენტით შესრულდა. საწარმოთა მართვის სააგენტოს საგარეო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ცნობით, 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის თანახმად, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგებიდან დივიდენდების სახით მისაღები შემოსავლების გეგმიური პარამეტრი 16 მილიონი ლარის ოდენობით განისაზღვრა, მათ შორის, ივლისში გეგმით გათვალისწინებული იყო 1,5 მილიონი ლარის დივიდენდის მიღება. "საწარმოთა მართვის სააგენტოს" ინფორმაციით, ივლისში სახელმწიფო ბიუჯეტში დივიდენდების სახით 1.508 მილიონი ლარია მობილიზებული. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შს სამინისტროში გუშინ პოლიციელთა ატესტაციის მორიგი ეტაპი ჩატარდა. ამჯერად გასაუბრება სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა გაიარეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 31 წლის დავით გოგოლაძემ ურთიერთშელაპარაკების დროს დანით გულ-მკერდის არეში თავისი მეზობელი, 34 წლის ლევან ლოტოევი დაჭრა. დაჭრილმა დანა წაართვა და გოგოლაძეს საპასუხოდ ჩაარტყა. ლოტოევი საავადმყოფოშია მოთავსებული, გოგოლაძე კი გარდაიცვალა. **ექსპრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბოლო ორი დღის განმავლობაში სიცოცხლე თვითმკვლელობით ორმა თბილისელმა დაასრულა. ისანი-სამგორის რაიონში, მარელისის ქუჩაზე მცხოვრები 46 წლის სლავა ლაშკოვი საცხოვრებელი ბინის მე-5 სართულიდან გადმოხტა. იგი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. სიცოცხლე, ასევე, თვითმკვლელობით დაასრულა გლდანის მასივში, სილიკატის დასახლებაში მცხოვრებმა 28 წლის ნინო მურმანიშვილმა, რომელიც მე-7 სართულიდან გადმოხტა და ადგილზე გარდაიცვალა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 20-27 ივლისს ბათუმში ჩატარებული მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდა წარმატებით 97 მსურველმა ჩააბარა. გამოცდაში 270-ზე მეტი იურისტი მონაწილეობდა. პირველი, ტესტური ტური წარმატებით გაიარა 105-მა, თუმცა, რვა იურისტი მეორე, წერით ტურში ჩაიჭრა. აღსანიშნავია, რომ ბათუმში მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეთა უმეტესობა თბილისიდან იყო ჩასული. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 35 წლის გიზო კომახიძე, 25 წლის ბადრი გოგელია და 50 წლის გაიოზ ბაშარული პოლიციელებმა საკომუნიკაციო ჭების თავსახურების ქურდობის ბრალდებით დააკავეს. დაკავებულებმა ჭის თავსახურები, სავარაუდოდ, ჯართში ჩასაბარებლად მოიპარეს. ნივთმტკიცება ამოღებულია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 18 წლის მანუჩარ მიქელაძე პოლიციელებმა გუშინწინ ძარცვის ფაქტზე დააკავეს. მიქელაძემ მეტროსადგურ „დიდუბის" მიმდებარე ტერიტორიაზე 40 წლის ნანა გელდიაშვილს ხელჩანთა გამოსტაცა, რომელშიც სხვა ნივთებთან ერთად 116 ლარი იყო. **მედია-ნიუსი**

# 25 მილიონად გაყიდული დამოუკიდებლობა

პირველი გვერდიდან

საშუალებებში. თუმცა, საქართველოს სამთავრობო წრეები მაინც ვარაუდობენ, რომ "რაო ეს როსსიის" საქართველოს ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე შემოსვლა 100 მილიონ დოლარამდე დაუჯდა.

ასეა თუ ისე, საქართველოსთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუ რამდენად შეისყიდა "რაო ნორდიკ ოუმ" "ეი-ი-ესისგან" "ეი-ი-ეს სილკ როუდი", რომელიც საქართველოს ენერგეტიკული აქტივების უმნიშვნელოვანეს ნაწილს – ბაზისური თბოელექტროსადგურის ორ მძლავრ ენერგობლოკს (600 მეგავატი სიმძლავრით), "ხრამჰესების" კასკადს, თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელ "თელასსა" და რუსეთიდან თურქეთში ელექტროენერგიის ტრანზიტისათვის შექმნილ, რუსეთიდან დენის იმპორტზე ექსკლუზიური უფლების მქონე "ეი-ი-ეს ტრანსენერჯის" ფლობდა.

ცნობილი არ არის, უკვე ხელმოწერილია შეთანხმება "რაოსა" და "ეი-ი-ესს" შორის, თუ არა. თუმცა, ფაქტია, რომ ამ გარიგების შედეგად ქართული ენერგეტიკა რუსული ენერგოგიგანტის კონტროლის ქვეშ ექცევა, რასაც საქართველოს პოლიტიკური წრეების აღშფოთება მოსდევს. აშშ-ს ოფიციოზი კი ჩვეულ კორექტულობას ამჯერად ივიწყებს და საქართველოს ხელისუფლებას ღიად შეახსენებს, თუ რამდენად ცუდად იმოქმედებს ქვეყნის იმიჯზე ენერგოსექტორიდან სტრატეგიული ამერიკელი ინვესტორის გაძევება.

ნიშანდობლივია, რომ "ეი-ი-ესის" წინააღმდეგ ქართული ოფიციოზი სწორედ ერთი წლის წინ, ანუ მას შემდეგ დაირაზმა, რაც კომპანიამ პრეზიდენტთან პირველად გააჟღერა მუქარა საქართველოდან წასვლის შესახებ. ამ დროიდან "ეი-ი-ესთან" ბრძოლაში, "ლეიბორისტების" გარდა, სახელმწიფო სტრუქტურებიც აქტიურად ჩაებნენ. სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრომ, საგადასახადო ინსპექციამ და საგზაო ფონდმა კომპანიას ერთხმად შეუტიეს და სოლიდურ თანხებზე დაუწყეს დავა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში არაერთხელ გაიჟღერა, რომ "ანტიეიეესურ კამპანიას" სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი პრეზიდენტის მხარდაჭერით აწარმოებდა.

ფაქტობრივად, ამ სტრუქტურების სახით რუსეთმა, ჯერ კიდევ ერთი წლის წინ, შეიძინა მოკავშირეები საქართველოს ენერგობაზარზე შემოსვლისათვის. "ეი-ი-ესთან" ურთიერთობის ყოველი დაძაბვა "ეი-ი-ესის" პოზიციებს ასუსტებდა და "რაოს" ინტერესებზე ასხამდა წყალს.

ამჟამად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები "ეი-ი-ესის" საქართველოდან წასვლის მიზეზად, უპირველეს ყოვლისა, "ენრონის" სკანდალის შემდეგ ამერიკული ენერგოკომპანიების ფინანსურ კრიზისს ასახელებენ, თუმცა, იქვე მიუთითებენ, რომ "ეი-ი-ესის" გადაწყვეტილებაში ლომის წილი კომპანიის წინააღმდეგ სწორედ საქართველოში წარმოებულ კამპანიას მიუძღვის, რომელიც "ლეიბორისტების" სკანდალური სარჩელითა და საკონსტიტუციო სასამართლოს უპრეცედენტო გადაწყვეტილებით დასრულდა. ტარიფის შემცირებით საქართველომ "ეი-ი-ესს" განხორციელებული ინვესტიციის ამოღების ყოველგვარი იმედი მოუჭრა და კომპანია იძულებული გახადა, ეძებნა გზები ქართული აქტივების გასხვისებისთვის.

ვინაიდან საქართველოს მთავრობასა და "ეი-იე-ეს კორპორაციას" შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ამერიკულ კორპორაციას ქართული აქტივების პირდაპირ გაყიდვა ეკრძალებოდა, კომპანიამ შემოვლითი გზა გამოძებნა და გაყიდა "ეი-ი-ეს სილკ როუდი" - თავის დროზე სწორედ ამ სიტუაციისთვის შექმნილი ის შვილობილი კომპანია, რომელიც ქართულ აქტივებს ფლობდა. **"ამდენად, ქართული მხარე კორპორაციას პრეტენზიებს ვერ წაუყენებს,** – მიიჩნევს საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე მამუკა ნიკოლეიშვილი, – **კორპორაციას საქართველოს მთავრობასთან დადებული ხელშეკრულება არ დაურღვევია."** კანცელარიაში ამთავითვე დარწმუნებულნი არიან, რომ მომხდარი ფაქტის გამო პრეტენზიები ვერც იურიდიულ კომპანია "მერილ ლინჩთან" ექნებათ, რომელიც ხელისუფლებას "ეი-ი-ესთან" ხელშეკრულების გაფორმებისას უწევდა კონსულტაციას.



ტანდემი, რომელთანაც წარმატებით იმუშავა ანატოლი ჩუბაისმა.

მოკლედ, მთავრობის მონდომებამ შედეგი გამოიღო და, პოლიტიკური წრეების წინააღმდეგობის მიუხედავად, საქართველოს ელექტროენერგეტიკა რუსულ ეკონომიკურ სივრცეს დაუბრუნდა.

აქვე ერთი საინტერესო დეტალი: როგორც გუშინ გენერალურმა პროკურორმა ნუგზარ გაბრიჩიძემ განაცხადა, გამოძიების ხელთ არსებული მასალები ადასტურებს, რომ განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხების მითვისებასა და კორუფციასთან კავშირი აქვს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ზოგიერთ მაღალჩინოსანს.

ჩანს, ხელისუფლებამ ჯერ კიდევ გუშინ ერთგული მირცხულავა აშშ-რუსეთთან ორმაგი თამაშისთვის უკვე ბოლომდე გამოიყენა და ახლა "ხელგასვრილი" მინისტრის თავიდან მოშორების დრო დადგა. მით უმეტეს, რომ მირცხულავას პასუხისმგებლობის საკითხს ენერგოკრიზისის შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ჩუბინიშვილი, უკვე დიდი ხანია, აყენებს. "რაოსათვის" "თელასის" გადაცემის შემდეგ კი მას დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე დემურ გიორხელიძეც შეუერთდა.

# რუსეთის ენერგოექსპანსიის ქრონიკა

პირველი გვერდიდან

1-20 ივლისი, მოსკოვი: რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაცია. ადმინისტრაციის უფროსი ალექსანდრ ვოლოშინი ("რაო ეესის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე) პირადად ლობირებს 2005 წლამდე დსთ-ს ელექტროენერგეტიკის რეფორმის გეგმას, რომლის თანახმადაც, ხელისუფლებისა და ბიზნესის ურთიერთობას ინვესტიციებისა და პოლიტიკის შერწყმის პრეტენზია აქვს. მოსკოვში ფორმდება ოთხთა ეკონომიკური კავშირი - ერთიანი ეკონომიკური სივრცე უკრაინა-რუსეთი-ბელორუსი-ყირგიზეთის მონაწილეობით. ახალი ეკონომიკური სივრცე იმპერიის რესტავრაციით არ იქნება დაკავებული და არც დსთ-ს ალტერნატივაა, აცხადებს რუსეთის პრეზიდენტი.

25-30 ივლისი, მოსკოვი: "ევრაზესის" კავშირში შემავალი რესპუბლიკების პრემიერ-მინისტრები განიხილავენ დსთ-ს ენერგოსისტემების დაკავშირებას ტრანსევროპულ ქსელებთან. დსთ-ს ენერგობაზარზე "ევრაზესის" რესპუბლიკების დაპატიჟებასაც პუტინის ადმინისტრაციის უფროსი ლობირებს.

**31 ივლისი. მოსკოვი**: რუსეთის დედაქალაქში მიმდინარე "ევრაზესის" ქვეყნების ეკონომიკური საბჭოს სხდომა იღებს "კრიტიკული ენერგოსისტემების პრობლემის მოგვარების პროგრამას". ყირგიზეთის ქალაქ ბიშკეკში დსთ-ს ენერგეტიკულმა საბჭომ უკვე განიხილა დსთ-ს ენერგოსისტემების გაერთიანების, განვითარებისა და მათი ფუნქციონირების საკითხი. ამავე სხდომაზე საბჭოს ხელმძღვანელად კვლავ ანატოლი ჩუბაისი აირჩიეს. რუსეთის მთავარი "პრივატიზატორი" ჟურნალისტებისათვის გაკეთებულ განცხადებაში ხაზს უსვამს ცენტრალური ევროპის ე.წ. ტრანსევროპულ პროექტებთან არარენტაბელური დსთ-ს ენერგოსისტემების შერწყმის აქტუალობას და იქვე ეთანხმება პრეზიდენტ პუტინის თვალსაზრისს, რომ **"გლობალურ ენერგეტიკულ პროექტებში რუსეთ-აშშ-ს თანამშრომლობა სტაბილურობის ფაქტორი და საერთაშორისო უსაფრთხოების გარანტიაა".**

# სახალხო დამცველი ბოდიშს არ მოიხდის

*სახალხო დამცველს ნანა დევდარიანსა და საქართველოს სამხედრო პროკურორს გია ჯიქიას შორის რამდენიმეთვიანი სასამართლო დავა დასრულდა – დევდარიანს ჯიქიასთვის საჯაროდ ბოდიშის მოხდა აღარ მოუწევს. ჯიქიას წარმომადგენელმა პროცესში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. შესაბამისად, საოლქო სასამართლომ დააკმაყოფილა ნანა დევდარიანის სარჩელი და მთაწმინდა- კრწანისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა.*

დევდარიანსა და ჯიქიას შორის სასამართლო პერიპეტიები კარგა ხნის წინ, მას შემდეგ დაიწყო, რაც სახალხო დამცველმა მასმედიის საშუალებით გაკეთებული განცხადებებით სამხედრო პროკურორს არაერთი დარღვევა და დანაშაული დააბრალა. მისი ბრალდებები ჯიქიამ ღირსების შემლახავად მიიჩნია და ომბუდსმენს სასამართლოში უჩივლა. თუმცა, სასამართლოში ჩივილს წინ უძღოდა გენერალურ პროკურატურაში ჯიქიას საქმიანობის შემსწავლელი კომისიის შექმნა, რომლის შემადგენლობაში შესულმა პროკურატურის მუშაკებმა კოლეგა დაიცვეს.

სახალხო დამცველის წინააღმდეგ ჯიქიას შეტანილი სარჩელი კი მთაწმინდა-კრწანისის სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა, დაუსაბუთებლად მიიჩნია დევდარიანის მიერ სამხედრო პროკურორისთვის წაყენებული ბრალდებები და ომბუდსმენს საჯაროდ ბოდიშის მოხდა დააკისრა. თავის მხრივ, ეს გადაწყვეტილება ნანა დევდარიანმა საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა და რაიონულის გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შემთხვევაში სტრასბურგამდე ჩასვლით დაიმუქრა.

თუმცა, გუშინ საოლქო სასამართლოს დევდარიანი-ჯიქიას დავის სწრაფად გადაწყვეტაში თავად სამხედრო პროკურორი, უფრო სწორად, მისი ადვოკატი გიორგი ყავლაშვილი დაეხმარა. თავად ჯიქია, ნანა დევდარიანისგან განსხვავებით, სასამართლოს არც ერთ სხდომას არ დასწრებია. მისი ადვოკატის მიერ გახმოვანებული გია ჯიქიას სურვილი კი ასეთი გახლდათ – ის დააკმაყოფილა მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს გადაწყვეტილებამ და სასამართლო პროცესის გაგრძელებაში აზრს ვერ ხედავს, რადგანაც დევდარიანი მაინც არ აპირებს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას.

პროკურორის მხრიდან მოყვანილი ეს არგუმენტი სახალხო დამცველს აკვირვებს. როგორც სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ ნანა დევდარიანმა ჟურნალისტებს განუცხადა, იგი მომავალშიც არ აპირებს მუშაობის შეწყვეტას და ჯიქიას მიერ ჩადენილ ნებისმიერ დარღვევას საზოგადოებისათვის საჯაროს გახდის.

*24 საათი*

# „კროკოს" გენერალური დირექტორი პატიმრობიდან გაათავისუფლეს

*გუშინ მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს თავმჯდომარე პოლიციის ნება-სურვილის წინააღმდეგ წავიდა. მამუკა სონღულაშვილმა არ დააკმაყოფილა შინაგან საქმეთა საგამოძიებო დეპარტამენტის შუამდგომლობა, ტოტალიზატორ "კროკოს" გენერალური დირექტორის დიმიტრი აბესაძისთვის სამთვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ.*

"კროკოს" წინააღმდეგ მოქმედება პოლიციამ ჯერ კიდევ მაისში დაიწყო, როცა ტოტალიზატორის თბილისის ოფისებში ჩხრეკა ჩაატარა. ჩატარებული გამოძიების შემდეგ კი სამართალდამცველები "კროკოს" ხელმძღვანელობას უკანონო, ლიცენზიის გარეშე სამეწარმეო საქმიანობას, ეროვნული ვალუტის გამოყენების წესების დარღვევასა და გადასახადების თავის არიდებას ედავება. ამჟამად, გამოძიების მიერ გაკეთებული დაანგარიშების თანახმად, საქართველოს უმსხვილეს ტოტალიზატორს 500 ათასამდე ლარის გადახდას აკისრებენ. გადასახადებისთვის თავის არიდების ბრალდება ყველაზე მძიმეა აბესაძისთვის წაყენებულ ბრალდებებს შორის, თუმცა, "კროკოს" მხრიდან დაკისრებული ნახევარი მილიონის გადახდის შემთხვევაში მას ეს ბრალდება ავტომატურად მოეხსნება. თუმცა, თვით ბრალდებულ აბესაძის ადვოკატები პოლიციის დაანგარიშებას არ ეთანხმებიან და აცხადებენ, რომ "კროკო" თავისი არსებობის მანძილზე ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას კეთილსინდისიერად აწარმოებდა. ძნელი სათქმელია, რას გადაწყვეტს საბოლოოდ ტოტალიზატორის ხელმძღვანელობა დარიცხულ თანხასთან მიმართებაში, თუმცა, უკვე ცნობილია, რომ გუშინ აბესაძისთვის აღმკვეთი ღონისძიების თავიდან ასაცილებლად, გირაოს სახით, გადახდილ იქნა 35 ათასი ლარი. გარდა ამისა, გუშინდელ სასამართლო პროცესზე დიმიტრი აბესაძეს რამდენიმე პარლამენტართან ერთად, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილიც დაუდგა თავდებში.

*24 საათი*

# როგორ იცავს პოლიცია წესრიგის დამრღვევ კოლეგებს

"კუს ტბის" დაცვის წევრები მოვალეობის შესრულების გამო გისოსებს მიღმა აღმოჩნდნენ

*არაერთი განცხადება იმის თაობაზე, რომ ქართული პოლიცია არათუ ებრძვის დამნაშავეობას, არამედ დანაშაულებრივი სამყაროს შემადგენელ ნაწილადაც კი იქცა, თვით სამართალდამცველთა მხრიდან კატეგორიულად არის ხოლმე უარყოფილი. როგორც წესი, პოლიციის მაღალჩინოსნები საკითხის განზოგადებას ეწინააღმდეგებიან და საკუთარ რიგებში ცალკეულ უღირსებზე საუბრობენ. თუმცა, არის წესიდან გამონაკლისიც, მაგალითად ისეთი, როგორიც ხუთშაბათს კუს ტბაზე მომხდარ ინციდენტზე პოლიციის რეაგირება გახლდათ.*

სოფიკო ჩხაიძე

შესაძლოა, კუს ტბაზე ბერძენ სტუმართან ერთად ასულ პოლიციელთა გამომწვევი ქცევა ყველაზე უწყინრად მოგეჩვენოთ იმ დანაშაულებთან შედარებით, რასაც ქართველ სამართალდამცველებს აბრალებენ ხოლმე. თუმცა, ფაქტია, თუ ინციდენტის თვითმხილველებს ვერწმუნებით, ისინი თავისი უპირველესი ფუნქციის შესრულების – წესრიგის დაცვის ნაცვლად, სრულიად საპირისპიროდ მოქმედებდნენ – რბილად რომ ვთქვათ, წესრიგს არღვევდნენ, თანაც, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე. მეტიც, სწორედ მათთვის წესრიგისკენ მოწოდება იქცა შემდგომში შეხლა-შემოხლის მიზეზად.

შპს "კუს ტბა" მესამე წელია არსებობს და, მისი პრეზიდენტის ბესიკ ხარძიანის თქმით, მიუხედავად მუდმივი ხალხმრავლობისა, ამ ხნის მანძილზე იქ არც ერთი სერიოზული ინციდენტი არ მომხდარა. და თუ მაინც წამოჭრილა პატარა უსიამოვნება, ისევ და ისევ იმ პოლიციელთა მიზეზით, რომლებმაც აქამდე ვერ გააცნობიერეს, რომ ძველი დრო წავიდა და მათ კერძო საკუთრების ტერიტორიაზე თავნებობის უფლებას არავინ მისცემს. იგივე ბესიკ ხარძიანი მიიჩნევს, რომ პოლიციისთვის არაერთგზის წესრიგისკენ მითითება გახდა მათი მხრიდან გუშინდელი ფაქტის პროვოცირების მიზეზი.

**"დაახლოებით, დღის 3 საათზე ამოვიდა ხუთამდე ნასვამი, შეიარაღებული პოლიციელი ჩვენს ტერიტორიაზე და ატეხეს დებოში,** - უამბო გუშინ ჟურნალისტებს "კუს ტბის" პრეზიდენტმა, - **მათ პირდაპირ რესტორნის ტერიტორიიდან მოინდომეს წყალში გადახტომა და ბანაობა. იქვე გაშიშვლდნენ და საცურაო კოსტუმების ამარა მიიწევდნენ წყლისკენ. არადა, იქ აბრაა გაკრული, რომ ამ ტერიტორიაზე ბანაობა აკრძალულია. დაცვის წევრებმაც მიუთითეს, თუმცა, პოლიციელები ამბობდნენ - რასაც გვინდა, იმას გავაკეთებთო. ამოიღეს იარაღი, გადატენეს. დაცვის წევრებიც იძულებულნი იყვნენ აუცილებელი თავდაცვა განეხორციელებინათ და განეიარაღებინათ ისინი. გაწევ-გამოწევაში ერთ-ერთი პოლიციელი დაეცა და დაშავდა".**

ხარძიანის თქმით, დაცვა თავისი უშუალო უფლება-მოსილების ფარგლებში მოქმედებდა. პოლიციელთა განიარაღების შემდეგ, დაცვამ მომხდარის შესახებ მას შეატყობინა.

**"აქ კი, ვაღიარებ, რომ შეცდომა დავუშვი – გადავწყვიტე, არავითარი სამართლებრივი რეაგირება არ მომეხდინა პოლიციელთა თავხედობაზე,** - ამბობს ბესიკ ხარძიანი, - **ბიჭებს ვუთხარი, პოლიციელები მშვიდად გაესტუმრებინათ ტერიტორიიდან, მათი იარაღი კი, ვაკე-საბურთალოს პოლიციის სამმართველოში ჩაეტანათ და ჩემი ნაცნობის, კრიმინალური პოლიციის უფროსის ზურაბ ბაქრაძისთვის ჩაებარებინათ. სწორედ იმ დროს, როდესაც ბაქრაძეს იარაღს უთვლიდნენ, კუს ტბაზე 50-მდე პოლიციელი მიიჭრა, დაცვის ცხრა წევრი და ამდენივე იქ მომუშავე ქალი ძალით ჩატენეს მანქანებში და არაყიშვილის ქუჩაზე, პოლიციის განყოფილებაში წაიყვანეს".**



შპს "კუსტბის" პრეზიდენტი და იურისტი გამოძიების შედეგებს ელოდებიან.

დაცვის შვიდი წევრი დღესაც დაკავებულია. ორი მათგანი – მარღიშვილი და პატარაია, რომელთა შესახებაც გაირკვა, რომ ინციდენტის დროს შემთხვევის ადგილზე არ იმყოფებოდნენ, გაათავისუფლეს. თუმცა, "კუს ტბის" ადვოკატის დავით ხაჟალიას მტკიცებით, მარღიშვილი ნაცემია და მას ტვინის შერყევა აქვს. გაათავისუფლეს, აგრეთვე, კუს ტბიდან ძალით წაყვანილი ქალებიც – ისინი, როგორც მოწმეები, ისე გვაინტერესებდაო. დარჩენილ შვიდეულს კი, რომლებიც "კუს ტბის" ტერიტორიაზე საკუთარ მოვალეობას ასრულებდნენ, პოლიცია ხულიგნობას ედავება. ისინი ამჟამად დუმილის უფლებით სარგებლობენ.

**"საქმე მომხდარი ფაქტის გამო აღიძრა სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მეორე ნაწილით. ეს სწორია, თუმცა, პოლიციას შეეშალა დაკავების ობიექტი – თავისივე კოლეგების ნაცვლად, დაცვის წევრები დააკავა, ინციდენტში დამნაშავე პოლიციელები კი საქმეში მოწმეების სტატუსით სარგებლობენ"**, - ამბობს დაკავებულთა ადვოკატი დავით ხაჟალია.

**"მე ვფიქრობ, რომ პოლიცია ეცდება, ჩემი თანამშრომლები გამომასყიდინოს, თუმცა, ამას ვერ მიაღწევენ. ცოტა ხანი ვნახავთ, რა კუთხით წავა გამოძიება და მერე გადავწყვეტთ ჩვენი მოქმედების ტაქტიკას"**, - აცხადებს ბესიკ ხარძიანი.

ჯერჯერობით, "კუს ტბის" დაცვის შვიდი წევრი ხულიგნობაში ეჭვმიტანილები არიან, ინციდენტში მონაწილე პოლიციელთა ქმედების ირგვლივ კი მოკვლევას შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია ატარებს.

# აღმასრულებლები ახალსახლობას ზეიმობენ

თამარ კაციტაძე

გუშინ იუსტიციის მინისტრმა კიდევ ერთხელ გაჭრა წითელი ლენტი და სააღსრულებო დეპარტამენტის თანამშრომლებს ახალსახლობა მიულოცა.

იუსტიციის სამინისტრომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რამდენიმე დაწესებულების აღმშენებლობის შემდეგ, საკუთარი სპეცსახსრებით სააღსრულებო დეპარტამენტის და თბილისის სააღსრულებო ბიუროს ახალი შენობები ააშენა. სააღსრულებო დეპარტამენტს, რომელსაც ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია, დღემდე ნახევრად დანგრეულ შენობაში უწევდა მუშაობა.

**"დღეს, როდესაც ქვეყანაში უარყოფითი ინფორმაცია საკმაოდ ბევრია, ისეთი მოვლენა, როგორც ახალი შენობის გახსნაა, ნამდვილად ღირსშესანიშნავია. ნორმალური სამუშაო პირობების შექმნა იმის გარანტიაა, რომ აღმსრულებლები უკეთესად გააგრძელებენ მუშაობას. ეს კი სასამართლო რეფორმის სრულყოფისაკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია. რამდენად კარგი მოსამართლეებიც არ უნდა გვყავდეს, თუ მათ მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები კანონიერად და ღირსეულად არ აღსრულდება, სასამართლო რეფორმის წარმატებაზე საუბარი წარმოუდგენელია. თუმცა, მარტო პირობებიც არ არის საკმარისი, თუ ამასთან ერთად არ მოგვარდება თანამშრომელთა სახელფასო სისტემა, რასაც ხელისუფლების წარმომადგენელთ სისტემატურად შევახსენებ. 21-ლარიანი აღმსრულებელი ბოლომდე კეთილსინდისიერი რომ ვერ იქნება დაკისრებული მოვალეობისადმი, ამაში გასაკვირი არაფერია,"** – ამ სიტყვებით მიმართა იუსტიციის მინისტრმა როლანდ გილიგაშვილმა სააღსრულებო დეპარტამენტის თანამშრომლებს და მიწვეულ სტუმრებს. ახალმოსახლეობას კი ხელისუფლების თითქმის ყველა შტოს წარმომადგენელი ესწრებოდა.

სააღსრულებო დეპარტამენტმა, რომელიც იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში დაახლოებით ოთხი წლის წინ გადავიდა, სამი თავმჯდომარე გამოიცვალა და მინისტრის თქმით, თითოეულ მათგანს ლომის წილი მიუძღვის დეპარტამენტის სრულყოფაში. გუშინდელ ზეიმს ყოფილი თავმჯდომარეები – დვალიძე და გიგლა აგულაშვილიც ესწრებოდნენ.

**"დაახლოებით, ერთი წლის წინ ქუთაისის სააღსრულებო ბიუროს ახალი შენობა გავხსენით. დღევანდელი ფაქტი კი იმის მაგალითია, რომ იუსტიციის სამინისტროში აღმშენებლობა გრძელდება. მათ მაგალითს თუ სხვა სამინისტროები და ხელისუფლების სხვა შტოებიც მიმართავენ, ქვეყნის მდგომარეობა გაცილებით უკეთესად იქნება,"** – აღნიშნა გიგლა აგულაშვილმა.

დღევანდელი სააღსრულებო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ალექსანდრე ტუშურმა კი სამომავლო გეგმებზე და დეპარტამენტის საკანონმდებლო პრობლემებზე ისაუბრა.

**"წლების განმავლობაში ის კანონი, რომელიც დღეს არსებობს, ძალიან მოძველდა და მუშაობაში ბევრ პრობლემას ქმნის. ამას ევროსაბჭოს და სხვა საერთაშორისო ექსპერტებიც აღიარებენ. სწორედ ამიტომ, ევროსაბჭოსთან ერთად ახალი კანონპროექტი შევიმუშავეთ, რომელიც უახლოეს დღეებში დასამტკიცებლად პარლამენტში გადაიგზავნება. იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი კანონპროექტს დაამტკიცებს, ჩვენი საქმიანობა გაცილებით ეფექტური იქნება,"** – ამბობს ტუშური, რომელიც პარალელურად ახალი შენობის ტექნიკურ უზრუნველყოფაზე და კვალიფიციური კადრების მიზიდვაზეც მუშაობს.

# ქართულ მარკას ასაკი ემატება

*საბჭოთა პერიოდში ქვეყანაში წელიწადში რამდენიმე ასეული მილიონი წერილი ბრუნავდა. დღეს საქართველოში მხოლოდ მილიონნახევრამდე გზავნილი მოძრაობს, მაგრამ ერთი დიდი განსხვავებით - უკვე ათი წელია კონვერტს ქართული მარკა აკრავს.*



*ქართული მარკები საბერძნეთში იბეჭდება.*

დალი კუპრავა

ქართული მარკის ისტორია მეცხრამეტე საუკუნიდან იწყება, როცა თბილისი კოჯრის მიმართულებით გაგზავნილ წერილებს, რუსეთის იმპერიაში დაბეჭდილი კოჯრის გამოსახულებიანი მარკა ეკრა. ამას წინათ, ეს მარკა აუქციონზე 250 ათას დოლარად გაიყიდა, თუმცა როგორც სპეციალისტებმა აღნიშნეს, საერთაშორისო პარამეტრებით მისი ღირებულება ამ თანხაზე მეტია და "კოჯრის მარკაც" მსოფლიოს უნიკალური მარკების კოლექციას შეუერთდა.

დამოუკიდებელი ქართული მარკა 1993 წლის ივლისში დაიბეჭდა და საქართველოს გაეროში გაწევრიანებას მიეძღვნა. უკვე ათი წელია ქართული მარკა თავის პირველად - გზავნილის ღირებულების ფუნქციას ასრულებს.

მარკა სახელმწიფოს ისეთივე სიმბოლოა, როგორც დროშა, გერბი და ჰიმნი. ის ისევეა სახელმწიფოს ღირსება, როგორც ეროვნული ვალუტა და ისევეა ინფორმაციის გამავრცელებელი, როგორც უახლესი ტექნოლოგიები. ამასთან ერთად, მარკას კომერციული მნიშვნელობა აქვს და სახელმწიფოსთვის დიდი მოგების მოტანა შეუძლია.

მარკაზე შეიძლება დიდი მოცულობის ინფორმაცია განთავსდეს, მაგრამ ეს ძალზე შრომატევადი საქმეა, რომელიც მხოლოდ მხატვრულ და დიზაინურ ნიჭს როდი მოითხოვს, მას თავისი სპეციფიკა აქვს. "მცირე ფართობზე მოათავსო სხვადასხვა თემის ვიზუალური ინფორმაცია, საკმაოდ რთულია. არ არის საკმარისი, რომ იყო კარგი მხატვარი", - ამბობს მხატვარი გია გუგუშვილი, "ქართული მარკის" დირექტორი, რომელსაც ქართული მარკის ათწლიანი პრაქტიკა აქვს.

ქართული მარკა საქართველოში, ქართველი სპეციალისტების მიერ მზადდება. დღეს ტექნოლოგიურად მარკის საქართველოში დაბეჭდვაც შესაძლებელია, რაც სახელმწიფოს შემოსავალსაც მოუტანს, მაგრამ მსოფლიო მარკის ორგანიზაცია ფიქრობს, რომ ჯერჯერობით, მარკის საქართველოში დაბეჭდვა ქართული კორუფციისგან დაცული ვერ იქნება და ამიტომ, ქართული მარკა საბერძნეთში იბეჭდება.

# ახალი ცენტრი ავლაბარში



*ცენტრის გახსნაზე.*

თბილისს კიდევ ერთი კულტურულ-საქველმოქმედო ცენტრი შეემატა. ებრაელთა გაერთიანებული გამავრცელებელი კომიტეტის "ჯოინთის" ინიციატივითა და ამერიკაში მცხოვრები პოზნერების ებრაული ოჯახის ხელშეწყობით ავლაბარში, ვახტანგ VI-ს ქუჩაზე აშენდა "ებრაული სახლი", რომელშიც "ჯოინთის" ეგიდით მოქმედი ყველა ორგანიზაცია განთავსდება.

როგორც "ჯოინთის" კოორდინატორი საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში მეირ ზიზოვი აცხადებს, აღნიშნული პროექტი ხელს შეუწყობს კულტურულ-საქველმოქმედო პროგრამების ეფექტურობის ამაღლებას და ჰუმანიტარულ ორგანიზაციებთან ერთობლივი პროგრამების შემუშავებას. "ებრაულ სახლს" აქვს ქორეოგრაფიული და სავარჯიშო დარბაზები, თანამედროვედ აღჭურვილი სასადილო, ბიბლიოთეკა, სხვა განყოფილებები.

გუშინდელი ცერემონია საქართველოს კულტურის მინისტრმა სესილი გოგიბერიძემ გახსნა. მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს ამერიკის სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში რიჩარდ მაილსმა, ისრაელის ელჩმა რივკა კოენიმ, პროექტის ერთ-ერთმა ინიციატორმა ჰენრი პოზნერ მესამემ, ებრაული თემის წარმომადგენელმა, დეპუტატმა ჯემალ აჯიაშვილმა და ბიზნესმენმა და მეცენატმა ბადრი პატარკაციშვილმა.

**"ეს ძალიან დიდი პროგრესია. ებრაული სახლის დაარსება მთლიანად შეცვლის ებრაულ თემში არსებულ მდგომარეობას. იმედი მაქვს, რომ ქართველი ებრაელები კიდევ დიდხანს გააგრძელებენ ქვეყნის სასიკეთოდ მიმართულ ლამაზ ტრადიციებს"** - აღნიშნა ბიზნესმენმა.

*ინტერ-პრესი*

გამოხმაურება

# "ნუ მისდრკები მარჯულ, ნურცა მარცხულ..."

უცნაური წერილი გამოქვეყნდა გაზეთში "24 საათი", თანაც პატრიარქისადმი ღია წერილის სახით. უცნაურობა ამ წერილისა, პირველ ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ მცირე გამონაკლისის გარდა, წერილზე ხელისმომწერთა უდიდეს ნაწილს, როგორც ჩანს, არავითარი კავშირი არა აქვს მართლმადიდებლობასთან და ეკლესიასთან, და მაინც, თავს უფლებას აძლევენ კათოლიკოს-პატრიარქს რჩევა-დარიგება მისცენ, მეტიც - მიუთითონ. ხელისმომწერთა უდიდეს ნაწილს კავშირი რომ არა აქვს ეკლესიასთან, ამას თავად წერილის შინაარსი ამტკიცებს: "ნუთუ ჩვენ, საქართველოს მართლმადიდებელმა ქრისტიანებმა ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქის ხმა არ უნდა გავიგონოთ?" "ნუთუ თბილისელებმა მხოლოდ ახალი წლის ღამეს უნდა იხილონ თავიანთი ეპისკოპოსი?" "სად დაიკარგა ჩვენი ეკლესიის მწყემსმთავარი, რომლის ხმა უნდა გვაკურთხებდეს, განგვსჯიდეს, გვმოძღვრავდეს?.. დაიკარგა ეს ხმა, აღარ არის... " ამას წერენ "საქართველოს მართლმადიდებელი ქრისტიანები". ფაქტია, ამ "მართლმადიდებელ ქრისტიანებს" კავშირი არა აქვთ ეკლესიასთან: ეკლესიაში არ დადიან, საღვთო ლიტურგიას არ ესწრებიან, ქადაგებას არ უსმენენ, ცხადია, არ ეზიარებიან, "საპატრიარქოს უწყებანს", სადაც ყოველ კვირას პატრიარქის ქადაგებები იბეჭდება არ კითხულობენ, არც პატრიარქის საშობაო თუ სააღდგომო ეპისტოლეებს ეცნობიან, არც საპატრიარქოს რადიოს გადაცემებს უსმენენ. სხვანაირად როგორ იკითხავდნენ - "სად დაიკარგა ჩვენი ეკლესიის მწყემსმთავარი, რომლის ხმა უნდა გვაკურთხებდეს, გვმოძღვრავდეს?" პატრიარქის ხმა ყოველ კვირა დღეს ისმის სიონის საკათედრო ტაძარში, ყოველ კვირა დღეს ქადაგებს, ყოველ კვირა დღეს აკურთხებს და მოძღვრავს მართლმადიდებელ მრევლს. ნუთუ ერთი ქადაგება მაინც არ მოუსმენიათ წერილის ავტორებს, ერთი ეპისტოლე მაინც არ წაუკითხავთ? არ დარჩენილა არცერთი სფერო ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა - ხელოვნება, მეცნიერება, მემკვიდრეობის დაცვა, განათლება, მომავალი თაობის აღზრდა, სოციალური საკითხები თუ მეურნეობა - რომელსაც არ შეხებია (და არ ეხება) საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი თავის ქადაგებებში, ეპისტოლეებსა და წერილებში. მართლაც, სად იკარგება პატრიარქის ხმა, მისი შეგონებანი? რატომ არ უსმენენ, რატომ არ კითხულობენ? არ უსმენენ, არ კითხულობენ და მერე კადნიერდებიან და პრეტენზიული ტონით ღია წერილებს წერენ, თან ნუ იტყვით იმ მიზეზით, რომ "საქართველოს ეკლესიასთან დაკავშირებული ტკივილი და გაუგებრობა" უვსებთ სულს და "აუტანელ ტკივილად" ექცათ.

ვფიქრობ, უმჯობესია, პატრიარქის სიტყვებით გამოვეხმაურო ამ წერილს: "გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ამა თუ იმ პიროვნებას ან საზოგადოებას, კიდეც რომ თავს მორწმუნედ მიიჩნევდეს, შეიძლება საფრთხე ორი უკიდურესობიდან დაემუქროს. პირველი - ეს არის ფანატიზმის, კარჩაკეტილობის, იზოლაციისა და თვითდაჯერებულობის მდგომარეობა, მეორე კი - პირიქით, მომდინარეობს თავისუფლების უგუნური გაგებიდან, ზედმეტი ლიბერალიზმისა და ყველფრის ნებადართულობის პრინციპიდან. ორივე მიმართულება, სინამდვილეში, ღვთისაგან გაუცხოების შედეგია" (2001 წლის სააღდგომო ეპისტოლე).

და მართლაც, დღეს საქართველოში აშკარად გამოიკვეთა ეს ორი ტენდენცია (ხშირად უცხოეთიდან ზურგგამაგრებული) - ორივე დამღუპველია ერისათვის. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა და მომავალშიც წინ აღუდგება ყოველგვარ უკიდურესობას. ჩვენი მამამთავრის მოღვაწეობა კი საუკეთესო მაგალითია ბიბლიური შეგონებისა - "ნუ მისდრკები მარჯულ, ნუცა მარცხულ, არამედ გზასა სამეუფოსა ვიდოდეთ".

კიდევ ერთი. ბოლო დროს, ვისაც არ ეზარება, ყველა ყველგან წერს და ლაპარაკობს ეკლესიის წიაღში ნასამართლევი პირების მომრავლებაზე. ღია წერილშიც ეხებიან ავტორები ამ საკითხს. ამ საკითხს მართლაც ხშირად უნდა შევეხოთ. შევეხოთ, როგორც იმის ბრწყინვალე დადასტურებას, თუ რა ძალა აქვს რწმენას და ეკლესიას - როგორ ცვლის და აკეთილშობილებს ადამიანს, როგორ გამოჰყავს ბნელეთიდან და უბიძგებს ზნეობრივი სრულყოფისაკენ.

და ისევ პატრიარქის სიტყვები: "ჩვენ ვცხოვრობთ თავისუფალი, ჰუმანური და დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობის პერიოდში. ერთი რამ ცხადია, თუ მართლაც თავისუფალ სახელმწიფოს ვაშენებთ, ეს პროცესი არ მიგვიყვანს ფსევდოთავისუფლებამდე, ქაოსსა და ნგრევამდე და ჭეშმარიტი თავისუფლებით ნაკარნახევი ჩვენი აზრები და ქმედებანი არ დაარღვევს ზნეობის ნორმებს... მჯერა, ადრე თუ გვიან ხალხი ალღოს აუღებს შემოთავაზებულ სიახლეებს, შეძლებს ავისა და კარგის გარჩევას..." (2003 წლის სააღდგომო ეპისტოლე).

*ზაზა აბაშიძე*
*"ქართული ინსტიტუტი"*

# მივმართავთ მასმედიის წარმომადგენლებს!

შეუსაბამობა ჩვენი სახელმწიფოს მიერ ოფიციალურად გაზიარებულ ღირებულებებსა და მოსახლეობის საგრძნობი ნაწილის ცნობიერებას შორის დღითი დღე კატასტროფულ მასშტაბებს იძენს. კონსტიტუცია და ქვეყნის პოლიტიკური კურსი, ერთი შეხედვით, თითქოს დემოკრატიასა და ლიბერალიზმზეა ორიენტირებული, მაგრამ ამავე სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენლების დიდი ნაწილი ანტიდემოკრატიულ და ანტილიბერალურ პოზიციებზე დგას. საქართველოს ბეჭდვითი თუ ელექტრონული მედიაც, გამონაკლისების გარდა, მათ ფეხის ხმასაა აყოლილი, რაც ზეგავლენას ახდენს საზოგადოების განწყობაზე და ანტიდემოკრატიული აზროვნების განვითარებას უწყობს ხელს.

ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების, პარლამენტის ტრიბუნის, პრესისა და ეთერის საშუალებით, აგრესიული ნაციონალიზმის, ფუნდამენტალიზმის, საერო და საეკლესიო ობსკურანტიზმის პროპაგანდა მიმდინარეობს.

არა ერთი და ორი სახელმწიფო მოხელე, პოლიტიკური პარტიისა თუ საზოგადოებრივი მოძრაობის ლიდერი და, წარმოიდგინეთ, სასულიერო პირიც კი დამამცირებელ კონტექსტში ახსენებს სომეხს, "თათარს", რუსსა და ა.შ. მართლმადიდებლობით მოქადული ჩვენი იდეოლოგები ხალხს დღედაღამ ჩასჩიჩინებენ აზრს იმის შესახებ, რომ ქართველი ერი და მართლმადიდებელი ეკლესია ერთი და იგივე ცნებებია, რითაც სხვადმადიდებლებს, რომლებიც საქართველოს მოქალაქეები არიან, ქართველი ერისაგან რიყავენ და მათი სახით მტრის ხატს ქმნიან.

ამდენად, ეს იდეოლოგები, ნებსით თუ უნებლიეთ, აპირისპირებენ ქართველ მართლმადიდებლებს არა მარტო საქართველოს არამართლმადიდებელ მოქალაქეებთან, არამედ მართლმადიდებელ არაქართველებთანაც (რუსებთან, ბერძნებთან, ოსებთან, აფხაზებთან); მწვანე შუქი ენთება ლოზუნგს ქართველი ერისა და ქართული ენის ბუნებითად გამორჩეულობის, უპირატესობის, აღმატებულობის შესახებ.

ყველაფერი, რაც ზემოთ ვთქვით, ფაშიზმისა და ნაციონალიზმის ნიშნებია. მათ არაფერი აქვთ საერთო არც მართლმადიდებელ სარწმუნოებასთან, არც პატრიოტობასთან, არც მოქალაქეობრიობასთან და არც ილია ჭავჭავაძესთან, რომლის სახელის წამდაუწუმ დამოწმებით ჩვენში ბევრი ითბობს ხელს. დროა, ერთხელ და სამუდამოდ შევიგნოთ - ილია ჭავჭავაძე საქართველოს საზოგადოებრივი მოწყობის საკითხში დემოკრატიის გზას ადგა და რელიგიური პლურალიზმი ანუ სინდისის სრული თავისუფლების იდეას ქადაგებდა.

საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენლები ბოლშევიკურ-ჩეკისტური ილეთების მომარჯვებით საზოგადოებაში ანტისახელმწიფოებრივი, ანტიეროვნული, ანტიმართლმადიდებლური და შოვინისტური აზროვნების დანერგვისათვის მუშაობენ. ყველაზე ამაზრზენი გახლავთ ის, რომ თავიანთ იდეებსა და შეხედულებებს ისინი ჭეშმარიტი მართლმადიდებლობის იარლიყებს აკერებენ და ვაჭრობენ.

მათი პროგრამის მიზანი გამჭვირვალეა: საქართველოში მცხოვრებ ერებსა და მოქმედ კონფესიებს შორის ანტაგონიზმის, შუღლისა და ეთნიკურ-რელიგიური დაპირისპირების გამოწვევა. მათი დამსახურებაა, რომ ბოლო 15 წლის განმავლობაში მძვინვარებს: ქსენოფობია და აგრესიულობა (განსხვავებული რწმენის ადამიანთა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, კოცონების აგიზგიზება და კერძო საკუთრების განადგურება), ფილეტიზმი (ნაციონალური პრინციპის რელიგიურ პრინციპზე მაღლა დაყენება), ცრუმორწმუნეობა (მართლმადიდებლური სარწმუნოების წილ), ობსკურანტიზმი (სიბნელე სინათლის წილ), ინკვიზიცია (სამოქალაქო ცხოვრებასა და კულტურაზე დიქტატი), ანტიეკოლოგიური, ანტიდემოკრატიული და ანტიცივილიზებული ქმედებანი: იგნორირებულია პიროვნების ღირსებისა და ხელშეუხებლობის პრინციპი.

არა ერთი პარლამენტარი დისკრედიტაციას უწევს ისეთ სამთავრობო თუ არასამთავრობო დაწესებულებებს, რომლებიც დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობისათვის იღწვიან.

მოგმართავთ თქვენ, საქართველოს ბეჭდვითი და ელექტრონული მედიის თანამშრომლებო!

გაითვალისწინეთ საფრთხე, რომელსაც ფაშისტურ-ბოლშევიკური და რელიგიურ-ექსტრემისტული იდეოლოგია უქადის ჩვენს ქვეყანას. საქართველოში, მართლმადიდებელი ქრისტიანების გვერდით, არა მარტო სხვა ეთნოსის, არამედ სხვა აღმსარებლობის წარმომადგენლებიც ცხოვრობენ და შრომობენ. კანონის თანახმად, ისინიც საქართველოს სრულუფლებიანი მოქალაქეები არიან. ჩვენი მიზანი საერთო საფუძველთა პოვნა და ამ საფუძველზე თანაცხოვრება უნდა იყოს.

ჩვენ თავი მოგვაქვს რჯულშემწყნარებლობისა და უცხოთამოყვარობის ძველი ტრადიციით, მაგრამ წარსულ გამოცდილებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუ იგი მხოლოდ ისტორიის საკუთრებაა და აწმყოსთვის მკვდარია.

ტრაგედიაა, როდესაც წინაპრებით ამაყობ, მაგრამ შენ მათი სულიერი მემკვიდრე აღარა ხარ, ანუ თუ შენსა და შენს წინაპრებს შორის ზნეობრივი ხიდია ჩატეხილი. სავალალოდ ჩვენ, ახალი საქართველოს შვილები, ამ ტრაგედიის წინაშე ვდგავართ.

გვჯერა, რომ ერთ-ერთი რეალური და ქმედითი ძალა, რომელსაც ჯანსაღი იმპულსებით საზოგადოების გამსჭვალვისა და გაუმჯობესების უნარი შესწევს, არის მეოთხე ხელისუფლება – მასმედია.

თუ მასმედიამ კვლავაც უღალატა თავის მაღალზნეობრივ დანიშნულებას, რაზედაც ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე გოდებდა, - ჩვენი ქვეყნის განსაცდელს თავს ველარ დააღწევს.

გურამ თევზაძე – საქ. მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი

მიხეილ ბეჟანიშვილი – საქ. მეცნიერებათა აკაემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი

სოზარ სუბელიანი – ჟურნალისტი

ემზარ ჯგერენაია – საქ. პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი, ენისა და კულტურის უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებისა და ფილოსოფიის უფროსი მასწავლებელი, სოციოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ლელა გაფრინდაშვილი - ფილოსოფოსი

დავით ზურაბიშვილი – "თავისუფლების ინსტიტუტი"

ნოდარ ლომოური – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ავთანდილ ჯორბენაძე – მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიის ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი

ლევან ბრეგაძე – კრიტიკოსი

ვახუშტი კოტეტიშვილი - ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

ლევან ბერძენიშვილი – საქ. პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი

შოთა იათაშვილი – მწერალი

გოგი გვახარია – კინომცოდნე

მიხეილ მახარაძე - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი

მიხეილ ქვლივიძე – მწერალი

გიორგი ხუციშვილი – კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების ცენტრის ხელმძღვანელი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი

გაგა ნიჟარაძე - ფსიქოლოგი

ნოდარ ლადარია – აღმოსავლურ-ქრისტიანულ მეცნიერებათა დოქტორი

ელდარ შენგელაია – კინორეჟისორი

მიხეილ მირზიაშვილი – სტუდია "რე"

მამუკა ყუფარაძე – სტუდია "რე"

მიხეილ ბეროშვილი – საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი "კავკასიური სახლის" დირექტორის მოადგილე

გიორგი ლობჟანიძე – მწერალი, თეოლოგი, აღმოსავლეთმცოდნე

გიორგი ჯიბუტი – საქ. მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერთანამშრომელი

თემურ მთიბელაშვილი – საქ. მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი

ნინო თონიაშვილი - საქ. მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე

ზეინაბ ნოდია – მწერალი; მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიის ინსტიტუტის თანამშრომელი

გიორგი კახიძე – მწერალი

ვახტანგ უშვერიძე – ინჟინერი

ნოდარ ანდღულაძე – საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი

მზექალა შანიძე – პროფესორი, საქ. მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

რევაზ ლოლიშვილი – გეოგრაფი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი

რუსუდან გვარამია – საქ. მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ლ. სამყურაშვილი - საქ. მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი

გურამ კუტალაძე – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი

ირმა ტალახაძე – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

ნანა ალექსანდრია – ორგზის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, მრავალგზის ოლიმპიური ჩემპიონი ჭადრაკში

მზია ბაქრაძე - ფრანგული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, დოცენტი, მთარგმნელი

ლევან პაჭკორია - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პოლიტოლოგი

ლადო გოგიაშვილი – ჟურნალისტი

ეკა ჯანაშია – ჟურნალისტი

ლევან მეტრეველი – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ დოცენტი

ნაირა გელაშვილი – მწერალი

ნუგზარ პაპუაშვილი - ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი

## ორი სიტყვით

**თბილისი.** სასაზღვრო ძალების ხელმძღვანელობის ინიციატივით, გუშინ 40-მდე ბავშვი სამცხე-ჯავახეთში საველე ბანაკებში გაემგზავრა. მათგან 10 მიუსაფარ ბავშვთა სახლიდან არის შერჩეული. ისინი მესაზღვრეთა სამუშაო სპეციფიკას გაეცნობიან და ორი კვირის განმავლობაში, მესაზღვრეებთან ერთად, თურქეთის საზღვარზე "იმსახურებენ". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ჭიათურა.** 29 ივლისს დილის 07.00 საათზე ს/ს "ჭიათურმანგანუმში" საწარმოს პატარიძის სახელობის მაღაროს გვირაბში ჭერი ჩამოინგრა და 47 წლის დავით გურული მოიყოლა. მაღაროელი ადგილზე გარდაიცვალა. მომხდარ ფაქტზე მოკვლევას ჭიათურის უშიშროება აწარმოებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ვანი.** გუშინ ვანის რაიონის კურორტ სულორში, იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის დაფინანსებით, ბანაკი "მომავლის თაობა" გაიხსნა. ბანაკში დაისვენებს იმერეთის მხარეში მცხოვრები 100-ზე მეტი ბავშვი, რომლებმაც რესპუბლიკურ საგანმანათლებლო ტურებსა და კონკურსებში გაიმარჯვეს. ბავშვებს 15 დღის მანძილზე ტრეინინგ-სემინარებიც ჩაუტარდებათ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**მარტვილი.** მარტვილის რაიონის განათლების პროფკავშირი და ადგილობრივი პედპერსონალი 26 აგვისტოს საპროტესტო აქციას გამართავენ, რომელზეც 1998-2000 წლებში გაუცემელ ხელფასებს მოითხოვენ. როგორც მარტვილის რაიონის განათლების პროფკავშირის თავმჯდომარე ვივინა ძიძიგური აცხადებს, გასულ წლებში მარტვილის რაიონში გაუცემელმა ხელფასებმა 614 ათასი ლარი შეადგინა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** როგორც თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ვახტანგ სულაბერიძე აცხადებს, წლეულს აპრილის თვიდან თბილისში 50-50 ლარი 1.938 ჩვილმა მიიღო.

გარდა ამისა, თბილისში ყოველ მეოთხე შვილზე მშობელი 200 ლარს და ყოველ მეხუთე შვილზე 500 ლარს - ერთჯერად დახმარებას იღებს. ამ პროგრამებს დედაქალაქის ბიუჯეტი წლის ბოლომდე დააფინანსებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის საგზაო პოლიციის სამმართველოს ცნობით, დედაქალაქში სატრანზიტო მოძრაობის აკრძალვის მიზნით თბილისის საგზაო პოლიციამ, სატრანზიტო მოძრაობის დარეგულირების მიზნით, შპს „შუქნიშანს"ახალი საგზაო ნიშნების დამზადება შეუკვეთა. ნიშნები დედაქალაქში შემომავალ საგზაო მაგისტრალებზე განაწილდება. ისინი ალტერნატიულ სატრანზიტო გზებს თბილისის შემოვლით მიუთითებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის დედათა და ჩვილ ბავშვთა თავშესაფრის ყოფილ ოთხ ბინადარ დედა-შვილზე ამჟამად მონიტორინგი მიმდინარეობს. მათ თავშესაფარში წესისამებრ სამი თვე დაჰყვეს, რის შემდეგაც სამი მათგანი საკუთარ ოჯახს, ხოლო დევნილი დედა ჩვილთან ერთად ნათესავების ოჯახს დაუბრუნდა. როგორც თავშესაფრის მენეჯერმა მარინა მენთეშაშვილი აცხადებს, დედათა და ჩვილ ბავშვთა თავშესაფრის პროგრამის თანახმად, ხელმძღვანელობა ვალდებულია განაგრძოს თანამშრომლობა და მონიტორინგი მათთან მობინადრე დედა-შვილზე. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დიდი დიღმის დასახლებაში არქეოლოგიური გათხრები თანხების სიმცირის გამო მხოლოდ 10 აგვისტომდე გასტანს. არქეოლოგიური გათხრების ხელმძღვანელის მიხეილ აბრამიშვილის ცნობით, აღმოჩენილია სამარხების ორი დონე, ქვედა – ჩვ.წ. აღ-მდე XIX-XVIII საუკუნეს, ხოლო ზედა დონე – ჩვ. წ. აღ-მდე XIV-XIII სს-ს მიეკუთვნება. გათხრების შეჩერებისა და მით უმეტეს, დასრულების შემდეგ, აღმოჩენილი შენობები გადახურვასა და აღდგენით სამუშაოებსაც საჭიროებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ განადგურება ემუქრება. **მედია-ნიუსი**

# თანადგომა

*არასამთავრობო ორგანიზაცია "საფეხურების" პროექტი "მარგინალური ჯგუფების ინტეგრაცია საზოგადოებაში მედიის საშუალებით", აგრძელებს "ნამდვილი ამბავის" სერიის გამოქვეყნებას. ისტორიებს ქმნიან- ადამიანები, ჩვენი საზოგადოების წევრები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო კრიტიკულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ. ისინი საუბრობენ თავიანთ პრობლემებზე. პროექტის საშუალებით შესაძლებელია მოვუსმინოთ და დავეხმაროთ მათ. დღევანდელი ამბავის გმირი მანანა ვარდოშვილია.*

**ერთმა ჩვეულებრივმა მიკროავტობუსმა, 2003 წლის 21 ივლისის მოღრუბლულ დილას, გეზი ნუცუბიძის ქუჩიდან, (სადაც დედათა და ჩვილ ბავშვთა თავშესაფარი მდებარეობს), კახეთისაკენ აიღო. მარშრუტის ბოლო გაჩერება-სოფელი გავაზი, მანანა ვარდოშვილისა და მისი შვილებისათვის უნდა გამხდარიყო ადგილი, სადაც ისინი ცოტა ხნით შეისვენებდნენ...**

მანანა ვარდოშვილი 32 წლისაა. 20 წლის იყო, რომ გათხოვდა. ყველაფერი ისე არ აეწყო, როგორც თავად იმედოვნებდა. ქმართან ხანგრძლივი უსიამოვნებების გამო, ორ შვილთან გიორგი და სოფოსთან ერთად თავისი მშობლებისა და ძმის სახლში დაბრუნდა უკან - კახეთში, ყვარლის რაიონის სოფელ გავაზში. "თავიდან ოჯახში ყველაფერი უმაღლესად იყო, მაგრამ მალე ჩემმა ქმარმა სმა დაიწყო. ალკოჰოლიზმის მკურნალობაზე უარი თქვა და ყველაფერი აირია. წამოვედი, რა უნდა მექნა, აზრი არ ჰქონდა ჩემს იქ ყოფნას", - მოგვითხრობს მანანა.

ორი წლის წინათ, აღმოჩნდა, რომ მშობლების სახლშიც არ დაედგომებოდა. და საცხოვრებლად დედაქალაქს მიაშურა. თბილისში თორნიკე დაიბადა, მანანას მესამე შვილი - გიორგის და სოფოს ნახევარ-ძმა. "ქალაქში ძალიან გამიჭირდა. ბავშვის საჭმელი არ მქონდა, ქუჩაში ბოთლებს ვაგროვებდი, ვაბარებდი და ასე ვაქუჩებდი ფულს ღამის გასათენებლად ", - ამბობს მანანა. "სამუშაოზე" ბავშვებიც თან დაჰყავდა. 6 წლის სოფოს ჩვილი თორნიკე ხელში ეჭირა, როცა დედამისი ბოთლებსა და საჭმლის ნარჩენებს აგროვებდა. შეუსაბამო კვების გამო, თორნიკე კუჭ-ნაწლავის ინფექციური დაავადების დიაგნოზით ხშირად ხვდებოდა საავადმყოფოში. იქ მას "ასოციაცია საფეხურების " ერთ-ერთი წევრი ეხმარებოდა. როგორც მანანა ამბობს, მის გარდა პატრონი მომავალშიც არავინ ეგულებოდა: " ძალიან მეხმარებოდა, ხან ფულით, ხან საკვებით, ხანაც წამლებით".

მანანას უფროსი შვილები სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებაში "მომავლის სახლში" ცხოვრობდნენ. როცა მიხვდა, თორნიკესაც ვერ უვლიდა, მისი ჩაბარებაც გადაწყვიტა ბავშვთა სახლში. საბედნიეროდ, "ასოციაცია საფეხურების" საშუალებით მანანა "ჩვილ ბავშვთა მიტოვების პრევენციისა და დეინსტიტუციონალიზაციის პროექტის" სოციალურ მუშაკებს დაუკავშირდა. მათ მანანა დედათა და ჩვილ ბავშვთა თავშესაფარში მოათავსეს. თუმცა იქ სამუდამოდ ვერ დარჩებოდა. პროექტის დასაქმების სამსახურმა ოჯახისათვის ათი ტომარა ფქვილი და ძროხა ხბოსთ-



*სახლისაკენ...*

ან ერთად შეიძინა. ამას გარდა, განათლების სამინისტროსთან არსებული სოციალურ სამსახურთან თანამშრომლობით, მოხდა ნანას უფროსი ბავშვების რეინტეგრაცია, ანუ ოჯახში დაბრუნება. თითოეული ბავშვისათვის გამოიყო დახმარება 60 ლარის ოდენობით. გადასაწყვეტი რჩებოდა სად უნდა ეცხოვრა მანანას. მამა ერთი წელია, რაც გარდაეცვალა. მამის სიკვდილის შემდეგ დედაც შეუძლოდ შეიქნა და ახლა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მკურნალობს. სოციალური მუშაკების ძალისხმევით მიღწეული იქნა შეთანხმება მანანას ძმასთან, რომელსაც თავის სახლში ერთი კუთხე უნდა გამოეყო ოჯახისათვის. თუმცა, ადგილზე ჩასულთ სულ სხვა სურათი დახვდათ. ძმამ გადაწყვეტილება შეცვალა და მანანას მიღებაზე უარი თქვა...

**სოფლის შარაზე ძველ სატვირთო მანქანის საბარგულში მანანასთვის ნაყიდი ძროხა და ხბო მშვიდად იცოხნებოდა თივას და მათ თავს ევლებოდა მანანას უფროსი ბიჭი 10 წლის გიორგი; მიკროავტობუსიდან გადმოწყობილ ბარგთან კი იდგნენ სოფო და დამფრთხალი მანანა თორნიკეთი ხელში... და კიდევ ის ადამიანები, ვინც გულთან ახლოს მიიტანა მანანას გაჭირვება.**

რაიონის გამგეობის, სოფლის საკრებულოს, სოციალური მუშაკების დახმარებით მანანასთვის თავშესაფარი გამოინახა.

მართალია სახლი, რომელსაც ახლა მანანა 20 ლარად ქირაობს, შეკეთებას და მოწყობას საჭიროებს, მაგრამ კეთილ ადამიანებს რა დალევს.. ერთი თეთრეულით დაეხმარა, მეორემ ლოგინი მისცა, სხვამ ეზოში ბალახი გაუთიბა, ფქვილის ტომრები გადმოუზიდა მანქანიდან.

თავად მანანა ბედნიერია. ის ამბობს, რომ არ გააწბილებს ადამიანებს, რომლებიც მას გაჭირვებაში "უმაღლესად" ეხმარებოდნენ. "ჩემი სოფელი ძალიან ძლიერია. ზაფხულში მინდორში ვიმუშავებ. მერე რთველი დაიწყება - ადრე 7 ლარს მაძლევდნენ ხოლმე. საქმეზე უკან არ დავიხევ, მუშაობა მეხერხება. სოფელში არ გამიჭირდება. ყველაფერს მოვაწყობ-უმაღლესად".

*PS. სტატიაში მოხსენიებულ პიროვნებათა სახელები და გვარები შეცვლილია. თუ ვინმეს დახმარების სურვილი გაუჩნდება, დაუკავშირდით პროექტის - "მარგინალური ჯგუფების ინტეგრაცია საზოგადოებაში მედიის საშუალებით" კოორდინატორს ირინა სიგუას. მობ: 899555113 ან ელექტრონული ფოსტით მისამართზე:* stagesngo@hotmail.com

ასოციაცია საფეხურები

# ჩეჩნეთში ყველაზე მხცოვანი ადამიანი ცხოვრობს

ტელეკომპანია "ბი-ბი-სი" იუწყება, რომ მეცნიერებმა ჩეჩნეთში ყველაზე მხცოვანი ადამიანი აღმოაჩინეს. მათი მტკიცებით, ბებია ზაბანი ხაჩუკაევა 124 წლისაა.

თუ ეს ცნობა დადასტურდება, მაშინ ხაჩუკაევა იაპონელ ქალბატონ კამატო ჰონგოს ამჟამინდელ რეკორდს მოხსნის. მსოფლიოში ყველაზე ხნიერი ქალი იაპონიაში 1887 წელს ტოკუნოშიმას კუნძულზე დაიბადა.

ბებია ზაბანი მორწმუნე მუსლიმია და ჩეჩნეთის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე აჩხოი-მარტანის რაიონში ცხოვრობს. თვითმხილველთა თქმით, იგი ენერგიული ქალია და ჯანმრთელად გამოიყურება.

ჩეჩნეთის ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე სულთან ალიმხაჯიევი ამბობს, რომ ბებია ზაბანს 24 შვილიშვილი, 38 შვილთაშვილი და შვიდი შვილთაშვილისშვილი ჰყავს.

"თავისი ასაკის მიუხედავად, იგი ყოველდღიურად მუშაობს, თავის შვილთაშვილისშვილებს უვლის და დღეში ხუთჯერ ლოცულობს", - იუწყება საინფორმაციო სააგენტო "ინტერფაქსი".

იაპონელი ქალის ხანგრძლივი სიცოცხლის მიზეზი, მისივე თქმით, "რაც შეიძლება ნაკლები ნერვიულობა და ბოსტნეულისა და რძის დიდი რაოდენობით მიღება ყოფილა". როგორია ზაბანი ხაჩუკაევას ცხოვრების წესი, ჯერჯერობით, უცნობია.

## ორი სიტყვით

**ფხენიანმა** განაცხადა, რომ იგი თანახმაა, თავისი ბირთვული პროგრამის შესახებ მოლაპარაკებები მრავალმხრივ ფორმატში დაიწყოს. აქამდე იგი ვაშინგტონთან ერთიერთზე დიალოგს მოითხოვდა. მოლაპარაკებები, სავარაუდოდ, პეკინში გაიმართება და მასში მონაწილეობას მიიღებენ ორივე კორეა, აშშ, რუსეთი, იაპონია და ჩინეთი.

■ ■ ■

**ოზონის** ფენის განადგურების ტემპები ბოლო წლების მანძილზე მნიშვნელოვნად შემცირდა და მალე სრულიად შეჩერდება. 50 წელიწადში კი დაზიანებული გარსი აღდგება – ოცწლიანი დაკვირვების შემდეგ ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ამერიკელი მკვლევარები. მათი აზრით, ეს იმ საერთაშორისო ხელშეკრულების შედეგია, რომლითაც ზოგიერთი ნივთიერების ჰაერში გაშვება აიკრძალა.

■ ■ ■

**სადამ** ჰუსეინის ორმა ქალიშვილმა, რაგადმა და რანამ იორდანიას შეაფარა თავი. ისინი იორდანიის მეფის სტუმრები არიან, – განაცხადეს ამანში. მათი ქმრები, ძმები ჰუსეინ და სადამ ქამელები სადამმა 1996 წელს ღალატისათვის სიკვდილით დასაჯა. სადამის მესამე, უმცროსი ქალიშვილი მამასთან ერთად იმალება.

■ ■ ■

**გვატემალის** ყოფილი დიქტატორი, 77 წლის რიოს მონტი საპრეზიდენტო არჩევნებში იყრის კენჭს. მისი მმართველობის წლები ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ბნელ ხანად ითვლება. დიქტატორს ყველაზე მეტად იმ პროვინციებში უჭერენ მხარს, სადაც მან ყველაზე მეტი ხალხი გაანადგურა.

■ ■ ■

**17 ადამიანი** დაიჭრა, მათ შორის ორი - მძიმედ, თურქეთის იუსტიციის სამინისტროსთან მომხდარი აფეთქებების შედეგად. ხელისუფლების განცხადებით, გამოყენებული იყო თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა. ტერაქტი საკუთარ თავზე ჯერ არც ერთ დაჯგუფებას არ აუღია.

■ ■ ■

**ერაყში,** ქალაქ ტიკრიტის სიახლოვეს, სანავთობო მილსადენი იწვის. ადგილობრივი მოსახლეობის განცხადებით, მილსადენის სიახლოვეს მათ უცნობი შენიშნეს, რომელიც საეჭვოდ იქცეოდა. ხელისუფლების განცხადებით, მსხვერპლი არ არის, და მიყენებული ზარალიც უმნიშვნელოა. მილსადენების საბოტაჟი ამ ბოლო დროს ერაყში ხშირად ხდება.

■ ■ ■

**ინდოეთის** პრემიერ-მინისტრი ახალი ინდუისტური ტაძრის აშენებას მოითხოვს იმ ადგილას, სადაც ადრე მეჩეთი იყო. მეჩეთი 1992 წელს ინდუისტმა ექსტრემისტებმა გაანადგურეს. ამის შედეგად გაჩენილ მღელვარებას 3 ათასი ადამიანი შეეწირა. ვაჯპაიის თქმით, ამ ადგილას XV საუკუნემდე ტაძარი იდგა, რომელიც მოგულებმა დაანგრიეს.

■ ■ ■

**სამშვიდობო** ძალები ლიბერიაში ორშაბათს შევლენ, ამის შესახებ ცისფერჩაფხუტიანთა ნიგერიელმა მეთაურმა ოკონკვომ განაცხადა. სამშვიდობო ძალებს დასავლეთ აფრიკული სახელმწიფოები, ძირითადად – ნიგერია, დააკომპლექტებს. ლიბერიის პრეზიდენტი ჩარლზ ტეილორი აცხადებს, რომ როგორც კი ცისფერჩაფხუტიანები პოზიციებს დაიკავებენ, ის თანამდებობასაც დატოვებს და ქვეყანასაც.

■ ■ ■

**ფილიპინელ** ამბოხებულებს პრეზიდენტისა და ქვეყნის სხვა ლიდერების მოკვლა ჰქონდათ განზრახული, – განაცხადა ამ ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრმა. ამბოხების ორგანიზებაში ისინი ყოფილ პრეზიდენტს ესტრადას ადანაშაულებენ. ორი დღის წინ ახალგაზრდა ოფიცრებმა სავაჭრო კომპლექსი დაიკავეს და პრეზიდენტის გადადგომა მოითხოვეს. ამბოხება მშვიდობიანად დასრულდა.

# ორგანიზებულია თუ არა ჩეჩენი კამიკაძეების მოქმედება?



მოსკოვში ჩეჩენი ქალების ეშინიათ.

უკანასკნელ ხანებში ხშირად გაისმის შეკითხვა, ორგანიზებულია თუ არა ჩეჩენი კამიკაძე ქალების მოქმედება უცნობი ქალის - "შავი ფატიმას" მიერ? რუსეთის უშიშროების სამსახურები ამ ცნობას საზოგადოებაში მონდომებით ავრცელებენ, მაგრამ მათ დღემდე არ უჩვენებიათ მედიისათვის ამის დამადასტურებელი სამხილი ან პიროვნება, რომელიც ამ ინფორმაციის წყაროა. ოფიციალური ვერსიის თანახმად, ზარემა მუჟიხოიევა 9 ივლისს მოსკოვში მომხდარი იმ აფეთქების გამო დააპატიმრეს, რომლის შედეგად უშიშროების სამსახურის ერთი თანამშრომელი დაიღუპა. სწორედ ზარემამ ამოიცნო "შავი ფატიმა" იმ სურათებში, რომლებიც მას პოლიციაში უჩვენეს. ოფიციალური პირები ამბობენ, რომ ტერორისტული აქტების ორგანიზატორი შუა ხნის, ქერად შეღებილი თმის მქონე ქალია.

უშიშროების სამსახურების ვერსიას ცნობილმა მოსკოველმა ჟურნალისტმა და უფლებადამცველმა ანა პოლიტკოვსკაიამ ძალზე საეჭვო უწოდა. მისი თქმით, ჩეჩნებთან მრავალწლიანი ურთიერთობებიდან გამომდინარე, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ქალები ამ გადაწყვეტილებას "სპონტანურად" იღებდნენ და არა ვინმეს ბრძანებით. პოლიტკოვსკაიას აზრით, "შავი ფატიმას" შესახებ ცნობას ხელისუფლება განზრახ ავრცელებს, რათა იმის "შთაბეჭდილება შექმნას, რომ ვითარებას ვილაც აკონტროლებს, მაშინ, როდესაც ეს ასე არაა".

# ლუკაშენკო ბობოქრობს



ლუკაშენკო ნატო-საც გადასწვდა.

REUTERS

გუშინ ბელორუსის პრეზიდენტმა ლუკაშენკომ ერთდროულად გაილაშქრა შიდა ოპოზიციისა და დასავლეთის იმპერიალისტური ქვეყნების წინააღმდეგ.

"მათ სადამის ორი შვილი მოკლეს, და ნახე, როგორ უხარიათ. ეჰ, სადამდე დაეცა კაცობრიობა," - ფილოსოფოსობდა იგი, თან თავის ოპოზიციას აფრთხილებდა, თუ არ გაჩერდებით, არჩევნებს ჩავშლი და რეფერენდუმით გავიგრძელებ ვადასო.

"ისინი ხალხს ერთიმეორის მიყოლებით ხოცავენ და მალე სადამსაც მისწვდებიან. საბჭოთა კავშირი რომ არსებობდეს, ასეთი რამ მოხდებოდა? რა თქმა უნდა, არა."

ლუკაშენკოს სიმპათიები სადამის მიმართ საყოველთაოდაა ცნობილი. ვაშინგტონი ამტკიცებს, რომ ბელორუსი სამხედროები ერაყელ ოფიცერთა მომზადებაშიც მონაწილეობდნენ.

ამერიკის მერე ლუკაშენკო ნატო-საც გადასწვდა. იგი უკმაყოფილოა იმით, რომ საზღვრის გასწვრივ ნატო-მ დამატებითი ჯარები განალაგა. "მონები დგანან პოლონეთ-ბელორუსის საზღვარზე, სისხლმოწყურებული მონები," - დაიჩივლა მან.

ბელორუსის ექსცენტრულმა დიქტატორმა თავისი უფროსი ძმა, რუსეთიც გააკრიტიკა, რადგან რომელიღაც ტელეარხზე ბელორუსის პრეზიდენტის მიმართ სათანადო პატივისცემა არ გამოიჩინეს.

"ევროპის უკანასკნელი დიქტატორი" პოსტზე 1994 წლიდან იმყოფება და ვადა 2006 წელს გასდის, მაგრამ: "რომ დავინახო არასტაბილურობა, რომ დავინახო არასტაბილურობის რაიმე ნიშანი, მე, როგორც პრეზიდენტი, ჩემს ხალხს ვერ მივატოვებ," – აცხადებს იგი.

# ჩილესა და სინგაპურისათვის აშშ-ს ბაზრები გაიხსნა

ორი დღის წინ აშშ-ს სენატმა ჩილესთან და სინგაპურთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ პაქტები გააფორმა. ბუშის ადმინისტრაცია იმედოვნებს, რომ ამ შეთანხმებების შემდეგ მსოფლიო ვაჭრობაში ახალი ერა დაიწყება.

სენატში ჩილესა და სინგაპურთან სავაჭრო ხელშეკრულებების გაფორმებას დიდი უმრავლესობით დაუჭირეს მხარი. მეწარმეთა ერთმა ჯგუფმა, მაღალ ტექნოლოგიებში, გასართობ ინდუსტრიასა და მომსახურების სფეროში მოღვაწე კომპანიებმა მხარი დაუჭირეს ამ შეთანხმებებს, რომლის მსგავსი ამერიკას კანადასთან, მექსიკასთან, იორდანიასა და ისრაელთან აქვს გაფორმებული.

პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ამ ხელშეკრულებებს ხელი 10 დღის განმავლობაში უნდა მოაწეროს, რათა ისინი ძალაში შევიდეს.

პროფკავშირების წარმომადგენლებმა აღნიშნული შეთანხმებების წინააღმდეგ გაილაშქრეს. მათი მტკიცებით, ეს შეთანხმებები ამერიკაში უმუშევრობის ზრდას ხელს შეუწყობს.

სენატორმა ორინ ჰეჩმა განაცხადა, რომ ჩილესთან გაფორმებული პაქტი ლათინურ ამერიკაში შეერთებული შტატების მხარდაჭერის გასაძლიერებლად ძალზე მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

თეთრი სახლი იმედოვნებს, რომ ჩილესთან გაფორმებულ ხელშეკრულებას ცენტრალური ამერიკის ხუთ სახელმწიფოსთან ანალოგიური პაქტების გაფორმება მოჰყვება. ზოგიერთები ვაშინგტონში ფიქრობენ, რომ საბოლოოდ ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის კონტინენტებზე მდებარე 34 სახელმწიფოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება დაიდება.

ბუშის ადმინისტრაცია ანალოგიური პაქტების გაფორმების შესახებ მოლაპარაკებებს დომინიკის რესპუბლიკასთან, ავსტრალიასთან, მაროკოსთან და სამხრეთ აფრიკასთან აწარმოებს.

აღსანიშნავია, რომ სინგაპურთან შედარებით, ჩილესთან გაფორმებული ხელშეკრულება უფრო ყოვლისმომცველია და შეიცავს პუნქტს, რომელიც 12 წელიწადში ორ ქვეყანას შორის სოფლის მეურნეობის პროდუქტებით უბაჟო ვაჭრობას ითვალისწინებს. სენატორების შეშფოთება პაქტის იმ ნაწილმა გამოიწვია, რომელიც ორივე ქვეყნის 6800 მაღალკვალიფიციური მუშისათვის სამუშაო ვიზის მიცემას ითვალისწინებს. სენატორების თქმით, ამერიკაში არსებული მზარდი უმუშევრობის ფონზე ჩილედან შედარებით იაფი და პროფესიონალი მუშახელის შედინება სასურველი არ იქნება.

# ჩინეთი ამერიკა-ტაივანის სამხედრო თანამშრომლობამ გაალიზიანა

ჩინეთმა შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაცია უარყო, რომლის თანახმად, პეკინმა ტაივანის მიმართულებით დამატებითი ბალისტიკური რაკეტები განალაგა.

ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს თქმით, ვაშინგტონი ამ ინფორმაციის გავრცელებით ცდილობს ტაივანისათვის მაღალტექნოლოგიური იარაღის მიყიდვა გაამართლოს. ტაივანი პეკინის ხელისუფლებას 1949 წლიდან აღარ ემორჩილება.

ჩინეთის განცხადებით, პეკინი პენტაგონის უკანასკნელი განცხადებით გაღიზიანებულია. პენტაგონის აღნიშნული მოხსენების თანახმად, ყოველწლიურად ჩინეთი 75 დამატებით რაკეტას უმიზნებს ტაივანს.

ჩინეთი ამტკიცებს, რომ ტაივანის მიმართულებით განლაგებული ნებისმიერი შეიარაღება ან ცოცხალი ძალა მხოლოდ იმისთვის არის გამიზნული, რომ ტაივანმა დამოუკიდებლობა არ გამოაცხადოს.

თავად კუნძულზეც არ არსებობს ერთიანი მოსაზრება იმის შესახებ, ტაივანმა მთავარი აქცენტი ახალი შეიარღების შესყიდვაზე უნდა გააკეთოს, თუ ჩინეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებაზე. ამ უკანასკნელი ვარიანტის სასარგებლოდ ისიც მეტყველებს, რომ წლიდან წლამდე ჩინეთისა და ტაივანის ეკონომიკური ურთიერთობები ღრმავდება.

# ჩაძირულების გადარჩენა ჩაძირულებისვე საქმეა

პირველი გვერდიდან

ზოგადად, ისეთ ქვეყანას, როგორიც საქართველოა, ძალიან დიდი გზა აქვს გასავლელი იმისთვის, რომ ჰყავდეს არაკორუმპირებული, პროფესიონალური ჯარი. ამისათვის ჯერ კიდევ ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

თუმცა, ამერიკელი სამხედროები თანდათან უფრო ერკვევიან, როგორ უნდა ითანამშრომლონ უკეთ ცენტრალური აზიის და კავკასიის ქვეყნების სამხედროებთან.

ამ ქვეყნების ჯარები საბჭოთა არმიის მემკვიდრეა და მათი სამხედრო უნარ-ჩვევები საკმაოდ დაბალი დონისაა, განსაკუთრებით როცა საქმე ეხება კრისიზებზე რეაგირებას, სეპარატისტულ კონფლიქტებსა და შიდა ტერორისტულ საფრთხეებს.

**- როგორ შეაფასებდით საქართველოში მიმდინარე წვრთნისა და აღჭურვის პროგრამას?**

- ვფიქრობ, პროგრამა სწორი მიმართულებით მიდის. ქართველი ჯარისკაცების პროფესიონალური მომზადება ძალიან მნიშვნელოვანია. მართალია, მომისმენია სერიოზული პრეტენზიები ამერიკული მხრიდან და ზოგიერთი ამერიკელი სამხედრო მაინცდამაინც აღფრთოვანებული არ ჩანს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს პროგრამა მაინც მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია.

გავიხსენოთ, რომ ქართული ჯარი მხოლოდ 90-იან წლებში შეიქმნა და ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი. საქართველოსათვის ძალიან დიდი პრობლემაა სეპარატიზმი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. საქართველოს რომ ჰყოლოდა ძლიერი არმია, იგი ამ პრობლემის მოგვარებას შეძლებდა.

ამ საკითხთან დაკავშირებით ძალიან ხშირად მქონია საუბარია წამყვან ქართველ პოლიტიკოსებთან და ექსპერტებთან. მათ მიაჩნიათ, რომ არმიის მეშვეობით ამ პრობლემების გადაწყვეტა შეუძლებელია. მე მათ არ ვეთანხმები.

რა თქმა უნდა, უნდა გამოიყენოთ ყველა დიპლომატიური ბერკეტი. შევარდნაძეს შეუძლია, თხოვნით მიმართ გაერო-ს, მეგობარ ქვეყნებს. ის ძალიან ბევრს იცნობს და ამ რესურსების გამოყენება, რა თქმა უნდა, შეუძლია. მაგრამ როცა დიპლომატიური გზები ამოიწურება, ქვეყანა ან უნდა შეეგუოს იმას, რომ იგი დაიშალა და სეპარატისტებმა გაიმარჯვეს, ან სუვერენიტეტის აღდგენა ძალის მეშვეობით უნდა მოხდეს.

ასეთი რამ ისტორიაში ხშირად მომხდარა. ცხადია, აფხაზეთს არა აქვს იმის რესურსები, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდეს. მას არ აქვს განვითარებული ინდუსტრია, ეკონომიკა, არ ჰყავს ჯარი. არა აქვს საერთაშორისო აღიარება. მისი არსებობის ერთადერთი შესაძლო ფორმა ავტონომიური რესპუბლიკაა. მისთვის ორი გზა არსებობს, ავტონომია ან რუსეთის, ან საქართველოს ფარგლებში.

ეს ის საკითხია, რომელიც ქართველებმა, აფხაზებმა და რუსებმა უნდა გადაწყვიტონ.

**- ამერიკის დახმარების გარეშე საქართველო რუსებისა და აფხაზების პირისპირ აშკარად წამგებიან პოზიციაშია.**

- ამ შემთხვევაში საუბარია პოლიტიკური და სამხედრო პროცესების კომბინაციაზე. ამერიკა, რა თქმა უნდა, არ დაუშვებს, რომ რუსეთმა აფახაზეთი თავის შემადგენლობაში შეიყვანოს. რუსებმა ეს კარგად იციან და საკითხი ამგვარად არც არასოდეს დაუსვამთ.

ასე რომ, ვფიქრობ, მთავარია საქართველომ იმოქმედოს. მას აქვს სავსებით დასაბუთებული პრეტენზია აფხაზეთზე, აქვს ლტოლვილების პრობლემა.

აფხაზეთის სისუსტე ისიც არის, რომ მას აქამდე არასოდეს ჰქონია დამოუკიდებლობა და თუ საქართველო თავის კარტს ბრძნულად ითამაშებს და აფხაზეთს მისცემს კულტურულ ავტონომიას, ვფიქრობ, ვერც ერთი ქვეყანა ამის წინააღმდეგი ვერ წავა. იგივე შეიძლება ითქვას სამხრეთ ოსეთზეც.

თუ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე საზღვრების რევიზია დაიწყო, ამან შეიძლება ძალიან საშიში ფორმა მიიღოს. თუ აფხაზეთი შეუერთდება რუსეთს, მაშინ ჩნდება შანსი იმისა, რომ იგივე განმეორდეს უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილში, რომელიც ეთნიკური რუსებით და რუსულენოვანი უკრაინელებით არის დასახლებული ან ჩრდილოეთ ყაზახეთში, სადაც მოსახლეობის უმეტესობას რუსები შეადგენენ. არა მგონია, რომ ეს ვინმეს ინტერესში შედიოდეს, რუსეთის ულტრა-ნაციონალისტების გამოკლებით.

**- რამდენად რეალურია იმის საფრთხე, რომ ტერორისტები კვლავ აღმოჩნდნენ საქართველოს ტერიტორიაზე ?**

- თქვენი უშიშროების სამსახურებისა და მაღალი თანამდებობის პირების მოვალეობაა, რომ ტერორისტებისაგან ქრთამი არ აიღონ და არ ითანამშრომლონ მათთან.

ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო საზღვრების დაცვაში, რომ ტერორისტები ისევ არ აღმოჩნდნენ საქართველოში. საქართველოს, უბრალოდ, არ შეუძლია, თავის თავს იმის უფლება მისცეს, რომ თავშესაფარი აღმოუჩინოს ჩეჩენ მებრძოლებს ზოგადად და განსაკუთრებით მათ, ვინც ფინანსურ დახმარებას სპარსეთის ყურიდან იღებს. მე ყოველთვის ვანსხვავებ იმ ჩეჩნებს, რომლებიც დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან და მათ, ვინც ჯიჰადის საერთაშორისო ქსელთანაა დაკავშირებული. ამერიკაში ხალხი გაცილებით უფრო სიმპათიურად არის განწყობილი პირველთა მიმართ. ვისურვებდი, რომ ამ ორ ფრთას შორის განსხვავებას რუსეთის ხელისუფლებაც ხედავდეს. რადგან, რადიკალი ისლამისტები ყველგან არა მარტო დანარჩენი სამყაროს, არამედ საკუთარი ქვეყნის მტრებიც არიან. ჩეჩნეთის 1996-1999 წლების ისტორია ძალიან ტრაგიკული აღმოჩნდა. მათ ვერ შეძლეს სახელმწიფოს შექმნა.

საქართველო დიდად არის დამოკიდებული მოსკოვის კეთილ ნებაზე. ამერიკა შორს არის და დაკავებულია ახლო აღმოსავლეთის პრობლემებით, ერაყითა და ჩრდილოეთ კორეით. ამიტომ ჩეჩნების მხარდაჭერით რუსების გაღიზიანება არ ღირს.

**- ამბობენ, რომ აშშ-ს მზარდი დაინტერესება ირანით კიდევ უფრო გაზრდის საქართველოს მნიშვნელობას.**

- უფრო - აზერბაიჯანის. ჩვენ ჯერჯერობით არ გადაგვიწყვეტია, რის გაკეთებას ვაპირებთ ირანში. ირანი და სირია ჭკვიანურად ცდილობენ, რომ ამერიკა სისხლისგან დაიცალოს ერაყში. ჩვენ ბოლომდე ვერ ვაფასებთ იმ უზარმაზარ დახმარებას, რომელსაც ირანი უწევს მათ, ვინც ერაყში ამერიკელების წინააღმდეგ იბრძვის. ირანი ძალიან არის დაინტერესებული იმით, რომ ამერიკას მუდმივი პრობლემები ჰქონდეს ერაყში და მთელი თავისი რესურსების მობილიზება მოახდინოს. თეირანს არ სურს, რომ ამერიკამ მისთვის მოიცალოს და იქაური რეჟიმის ლეგიტიმურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს.

საქართველოს მიმართ ინტერესი გაიზრდება, მაგრამ არც ისე ძალიან. მე დავამატებდი, ეს ადმინისტრაცია ნამდვილად აღარ შეეცდება, რაღაც დიდი და ამბიციური წამოიწყოს ახლო აღმოსავლეთში, ყოველ შემთხვევაში, მომავალ არჩევნებამდე მაინც. თუმცა, რა თქმა უნდა, ირანი ძალიან მნიშვნელოვანია. თუ იგი შეძლებს ბირთვული პროგრამის წარმატებით დასრულებას, ჩვენ ირანის სახით სერიოზული საფრთხე გვეყოლება.

**- სამხედრო დახმარება ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ჩვეულებრივი ადამიანებისათვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ეკონომიკის მდგომარეობა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა**

- ჩაძირულების გადარჩენა ჩაძირულებისვე საქმეა. ამერიკას, მსოფლიო ბანკს და სავალუტო ფონდს შეუძლია დახმარების აღმოჩენა, მაგრამ თუ ფიქრობთ, რომ ამერიკა გააკეთებს თქვენს გასაკეთებელს, ეს სასაცილოა.

კორუფციასთან ბრძოლით, პირველ რიგში, ქართული ხელისუფლება, ბიზნესი და საზოგადოება უნდა იყოს დაინტერესებული. რადგან რაც უფრო მეტი იქნება კორუფციის დონე, მით უფრო ნაკლები იქნება უცხოური ინვესტიცია. თეორიულად ეს ყველამ იცის, მაგრამ ავიწყდებათ, რომ თუ ინვესტიცია გინდა, ინვესტორს ქრთამი არ უნდა მოსთხოვო, ისევე, როგორც ქართველ ბიზნესმენს.

განვითარებული კორუფცია უკვე მხოლოდ მექრთამეობას აღარ ნიშნავს, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება საკუთრების უფლება. ეს კი ბიზნესისათვის მიუღებელია.

რა თქმა უნდა, საერთაშორისო ორგანიზაციები გირჩევენ, როგორ შეიძლება კორუფციასთან ბრძოლა. მაგრამ თუ თქვენ არ მოინდომებთ ამის განხორციელებას, მაშინ საფასურიც თქვენვე უნდა გადაიხადოთ.

**- რა გავლენას იქონიებს მომავალი არჩევნები ორმხრივ ურთიერთობებზე?**

- წინა არჩევნების გამო საქართველომ ამერიკაში ბევრი გულშემატკივარი დაკარგა. მომავალი არჩევნებიც ჩვენი ყურადღების ცენტრში იქნება და მასზე დიდწილად იქნება დამოკიდებული ორმხრივი ურთიერთობების მომავალი.

# კელის სიკვდილთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო

გუშინ, ლორდმა ჰატონმა, მოსამართლემ, რომელიც ხელმძღვანელობს ბრიტანელი მეცნიერის, დევიდ კელის თვითმკვლელობის საქმის გამოძიებას, პირველი მოსმენა გამართა.

ჰატონმა, რომელსაც ადრე ჩრდილოეთ ირლანდიის უზენაესი მოსამართლის პოსტი ეკავა, განაცხადა, რომ ჩვენების მისაცემად, სხვებთან ერთად, მიწვეულები არიან პრემიერ-მინისტრი ბლერი, მისი თანაშემწე ინფორმაციის საკითხებში ალისტერ კემპბელი და თავდაცვის მინისტრი ჯეფრი ჰუნი.

კელის თვითმკვლელობამ ბრიტანეთში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ექვსი წლის პრემიერობის მანძილზე, ბლერის რეიტინგი ასეთი დაბალი არასოდეს ყოფილა. მაგრად მოხვდა "ბი-ბი-სი"-საც. პარლამენტის წევრებმა სამაუწყებლო კომპანიისათვის დაფინანსების შეკვეცა (ბრიტანეთში ტელევიზორის ყველა მფლობელი იხდის სალიცენზიო გადასახადს, წელიწადში 190 დოლარს. ამ თანხით ფინანსდება ბი-ბი-სი) და მისი მმართველი საბჭოს შეცვლა მოითხოვეს.

სამაუწყებლო კომპანიასა და მთავრობას შორის დაპირისპირება ახლაც გრძელდება.

სკანდალი მას შემდეგ აგორდა, რაც "ბი-ბი-სი"-ს რეპორტიორმა ენდრიუ გილიგანმა, ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით, განაცხადა, რომ პრემიერის თანაშემწემ ომისადმი სახალხო მხარდაჭერის მოსაპოვებლად, ერაყის დოსიე "შეალამაზა". თავდაცვის სამინისტრომ, შიდა გამოძიების შედეგად, დაადგინა, რომ სამაუწყებლო კომპანიას ინფორმაცია სწორედ კელიმ მიაწოდა. ბრიტანელი მეცნიერი სკანდალის შუაგულში აღმოჩნდა და მას შემდეგ, რაც საპარლამენტო კომიტეტში სპეციალურ მოსმენაზე დაიბარეს, თავი მოიკლა.

ჰატონის გამოძიება შეეცდება გამოარკვიოს, რა გახდა თვითმკვლელობის მიზეზი და რა უთხრა კელიმ "ბი-ბი-სი"-ს კორესპონდენტ გილიგანს. გამოძიების შედეგები წლის ბოლომდე გახდება ცნობილი.

ფეხბურთი

## რასიზმს - „არა“



ვალერი ჩოლარია და გივი ჯიშიაშვილი.

მიხეილ აბაიშვილი

2002 წლის 8 ნოემბერს ევროპის საფეხბურთო კავშირის და ანტირასისტული ასოციაციის წარმომადგენლები კოპენჰაგენში შეიკრიბნენ, სადაც რასიზმის საწინააღმდეგო ერთობლივი ღონისძიებები დაგეგმეს. სამი თვის წინ, კერძოდ კი, აპრილში უეფამ მისი წევრი ყველა ეროვნული ფედერაციის წარმომადგენელი ლონდონში შეკრიბა, სადაც წარმოადგინა რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ამ თავყრილობაზე აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, მურად ანჯაფარიძე მიავლინა. ლონდონის საფეხბურთო ანტირასისტულ სამიტზე ეროვნულ ფედერაციებს მისცეს ანტირასისტული პროგრამის საკუთარ ქვეყნებში განხორციელების რეკომენდაციები.

ამ საკითხთან დაკავშირებით გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფისში გაიმართა პრესკონფერენცია, რომელსაც წარუძღვა საქართველოში ამ პროგრამის განხორციელების კოორდინატორი, გივი ჯიშიაშვილი. მას ჩვენი ქვეყნის სპორტული საზოგადოება უფრო უკეთ საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის თანაშემწის პოსტზე საქმიანობით იცნობს.

გივი ჯიშიაშვილის თქმით, უეფა ამ პრობლემასთან ბრძოლას შიშველი ხელებით არ აპირებს და ამ მიზნისთვის უკვე გამოყო 2,8 მილიონი შვეიცარიული ფრანკი, რომელიც ევროპის საფეხბურთო კავშირში შემავალ 52-ვე ეროვნულ ფედერაციაზე გადანაწილდება. საერთო თანხიდან საქართველოს წილი 50 ათასი შვეიცარიული ფრანკია.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ იმ პრობლემასთან საბრძოლველად, რომელსაც საქართველო მხოლოდ გაგონილით იცნობს, ზედმეტი ფუფუნებაა. არც ჯიშიაშვილს უარუყვია, რომ ქართველი ხალხი ტოლერანტულია და მისთვის რასისტული გამოვლინებები უცხო ხილია. თუმცა, რასიზმის ახალი, უფრო ფართო განმარტებიდან გამომდინარე, რომელიც ნებისმიერი ხასიათის ჩაგვრას და უფლებების დარღვევას მიუღებლად მიიჩნევს, ნათელი ხდება, რომ ამ პროგრამის განხორციელება საქართველოს პირობებშიც აქტუალური, გნებავთ, აუცილებელია. ამიტომაც, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ, უეფას ანტირასისტულ პროგრამაზე დაყრდნობით, ინდივიდუალურად შეიმუშავა რასიზმის საწინაარმდეგო პროგრამა, რომელიც უეფასაც წარუდგინა. ევროპის უმაღლესმა საფეხბურთო ჩინოსნებმა პროგრამას, სახელწოდებით - “რასიზმს “არა” საქართველოს საფეხბურთო მოედნებზე” (ის 6 პუნქტისგან შედგება), მაღალი შეფასება მისცეს და მწვანე შუქი აუნთეს.

მისი განხორციელება უკვე საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მეორე ტურიდან, ანუ დღეიდან დაიწყება. პროგრამით გათვალისწინებულია ღონისძიებათა დიდი ნუსხა, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, თუმცა რამდენიმეს კი დავასახელებთ: საქართველოს სტადიონებზე განთავსდება ანტირასისტული ხასიათის პლაკატები, ფეხბურთელები თამაშისწინა რიტუალზე რასიზმის საწინააღმდეგო ლოზუნგებით დამშვენებული მოსასხამებით გამოვლენ; ასეთი მაისურები გულშემატკივრებსაც დაურიგდებათ და მათ შორის ანტირასისტული აგიტაციის გაწევა თავად კლუბებს დაევალებათ. საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე კლუბებში ჩატარდება სპეციალური ლექციების ციკლი და ასე შემდეგ. გარდა ამისა, უკვე შედგენილია ანტირასისტული მემორანდუმის ტექსტი, რომელსაც ხელს მოაწერენ ჩვენი ქვეყნის საფეხბურთო კლუბების ხელმძღვანელები.

პროგრამა ერთჯერად ხასიათს არ ატარებს და იგი ყოველწლიურად განხორციელდება.

## „ფორმულას მხოლოდ შუმახერის გამო ვუყურებ“

### რონალდო სულ სხვა ამპლუაში

ნინო პირველი

მას ყველა კარგად იცნობს. ის უამრავი ბავშვის თუ მოზარდის უცვლელი კერპია. მისი საფირმო ღიმილის დავიწყება, უბრალოდ, შეუძლებელია ისევე, როგორც მისი უცნაური ვარცხნილობებისა. მას “ფენომენს” ეძახიან და მსოფლიოს საუკეთესო თავდამსხმელად მიიჩნევენ. 26 წლის რონალდო უკვე დიდი ხანია უზომოდ პოპულარულია. “რეალის” ფორვარდი მილიონობით ადამიანის უსაყვარლესი ფეხბურთელია. მას აღმერთებენ. მაგრამ, თვით ასეთ ადამიანებსაც ჰყავთ თავიანთი კერპები, რომლებიც მათ ძალიან უყვართ. რონალდოს არ სცხვენია აღიაროს, რომ ძალიან მოსწონს ორი სახელგანთქმული სპორტსმენი: ამერიკელი ველომრბოლი, ლანს არმსტრონგი და გერმანელი პილოტი, მიხაელ შუმახერი. არმსტრონგმა რონალდოს პატივისცემა თავისი შეუპოვრობის და მტკიცე ხასიათის წყალობით დაიმსახურა. ამ ორ ვარსკვლავს, რომლებიც სპორტის სრულიად განსხვავებულ სახეობებში ასპარეზობენ, ერთი მეტად მნიშვნელოვანი რამ აერთიანებთ - ორივემ შეძლო მძიმე ავადმყოფობის დამარცხება და დიდ სპორტში ტრიუმფით დაბრუნება. არმსტრონგმა კიბოს აჯობა და თავისი “კამ ბექი” ტურ დე ფრანსის მოგებით აღნიშნა, რონალდო კი მძიმე ტრავმის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონი გახდა. როგორც “ფენომენი” აღნიშნავს, იმ დროს, როცა ფეხბურთს მოწყვეტილი იყო და ტრავმებს იშუშებდა, ხშირად ფიქრობდა ლანს არმსტრონგზე, რომელმაც მასზე უფრო რთული მდგომარეობიდან შეძლო თავის დაღწევა. სწორედ ამიტომ გახდა ამერიკელი ველომ-



არც სხვათა კერპია უკერპო



REUTERS

რბოლი ბრაზილიელი ფეხბურთელის იდეალი. მიხაელ შუმახერს კი რონალდო პირადად იცნობს. ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ უფროსი “შუმი” ფეხბურთითაა გატაცებული და საკმაოდ კარგად თამაშობს კიდეც. რონალდოს და შუმახერს ერთადაც გაუგორებიათ ბურთი. რონალდო აცხადებს, რომ ფორმულა 1-ის რბოლებს მიხაელ შუმახერის ხათრით ადევნებს თვალს. უფროს “შუმის” ახლა მძიმე დღეები უდგას. ჰოკენჰაიმის ტრასა მისთვის ან დაფნის გვირგვინის მომტანი იქნება, ანდა სრული კატასტროფის. სამ აგვისტოს, შესაძლოა, წლევანდელი ჩემპიონის ვინაობაც გადაწყდეს. თუ რბოლას კიმი რაიკიონენი მოიგებს, შუმახერს ძალიან გაუჭირდება ფინელისთვის გადასწრება. შუმახერი ახალი “ფერარით” დაქრის, რაიკიონენს ისევ ძველი ბოლიდი ჰყავს და ზოგჯერ ვერც კი ახერხებს ფინიშამდე მისვლას, მაგრამ, ამის მიუხედავად, “მაკლარენ-მერსედესი” მაინც იმედოვნებს, რომ “ვერცხლისფერი პაპა” ( ასე შეარქვეს “ვერცხლისფერი ისრების” დაძველებულ ბოლიდს, რომლის ასაკიც უკვე 20 თვეს ითვლის) რაიკიონენს ამჯერად აღარ უღალატებს. რონალდოს და “ფერარის” სხვა ტიფოზებს კი სწორედ რაიკიონენის კრახის და შუმახერის ტრიუმფის იმედი აქვთ.

ჰოკენჰაიმის რბოლის წინ უფროსი “შუმის” ფანი, რონალდო გერმანულ “ბილდს” ესაუბრა და თავის თაყვანისმცემლების წინაშე სულ სხვა ამპლუით წარდგა. “ფენომენის” მინი ინტერვიუს აი, ასეთი სახე ჰქონდა:

**- გაქვთ იმის დრო, რომ ფორმულა 1-ის რბოლებს რეგულარულად ადევნოთ თვალი?**

- ვცდილობ, ინტენსიურად ვუყურო ყველა რბოლას, მაგრამ ხანდახან არ გამომდის და იძულებული ვხდები, ვიდეოჩანაწერები ვნახო. ეს ხელს არ მიშლის, ჩაწერილიც ისევე საინტერესოა, როგორც პირდაპირი ჩართვა ტრასიდან.

**- პირადად თუ იცნობთ მიხაელ შუმახერს?**

- ჩვენ არც ისე ხშირად გვეძლევა ერთად ყოფნის საშუალება. მე მითამაშია მასთან, მილაპარაკია კიდეც. მონაკოში მივედი და წარმატება ვუსურვე. ჩემი აზრით, ის ყველა დროის უდიდესი სპორტსმენია.

**- ყველაზე მეტად რა მოგწონთ შუმახერის?**

- ნერვების სიმტკიცე. ამქვეყნად არც ისე ბევრია ადამიანი, რომელსაც ასე შესანიშნავად შეუძლია ერთ წერტილზე კონცენტრირება, როგორც მიხაელს. ეს უდიდესი ნიჭია, განსაკუთრებით - მძიმე ფსიქოლოგიური დაწოლის დროს, რასაც მიხაელი გამუდმებით განიცდის.

**- შუმახერამდე თუ უყურებდით ფორმულას?**

- გულახდილად რომ გითხრათ, ძალიან იშვიათად. ფორმულათი სწორედ მიხაელის გამო დავინტერესდი. თუ მე დღეს ტელევიზორს ვრთავ და რბოლას ვუყურებ, ეს მხოლოდ მიხაელის დამსახურებაა. ისე კი, შუმახერამდე მე ძალიან ახალგაზრდა ვიყავი და ფორმულა, ალბათ, ამიტომაც არ მომწონდა.

კრივი

## კოალიცია თუ ძმობა?

### კლიჩკოებს ამერიკულად გაწვრთნიან

ბიბა ბურასაშვილი

არავისთვის უცხო არ უნდა იყოს, რომ კრივის მექაში – ამერიკაში უცხოტომელის საჩემპიონო ტახტრევანზე აბრძანება გულზე არ ეხატებათ. ბრიტანელ ლენოქს ლუისს კი, რომელიც წელიწადნახევრის წინათ სამ საჩემპიონო სარტყელსა და აბსოლუტური ჩემპიონის წოდებას ფლობდა, ამერიკელთა გულის გასახეთქად, საკმაო ხანს გაუგრძელდა მოვარაყებულ საჩემპიონო, ყველაზე პრესტიჟულ WBC (საბჭოს) ტახტზე ნებივრობა და, შესაძლოა, საკრივო ხელთათმანს ისე დაემშვიდობოს, რომ კვლავაც ჩემპიონად იწოდებოდეს. ბოლო დროს განვითარებული მოვლენები, ნაწილობრივ, ალბათ, იქეთკენაა მიმართული, რომ ლუისს “თაფლობის თვე” შეუწყვიტონ. საქმე ის არის, რომ ძმები კლიჩკოების მწვრთნელმა, ფრიც ზდუნეკმა და მაიკ ტაისონის დამრიგებელმა, ფრედი როუჩმა ერთმანეთს ძმობა შეჰფიცეს, ან იქნებ კოალიციაც შეკრეს. როგორც არ უნდა იყოს, როუჩი კლიჩკოების ბანაკში გადაბარგდა. მართალია, ამ შემთხვევაში ცნობილი მწვრთნელის საზრუნავი იქნება არა ლუისისგან ამ ცოტა ხნის წინათ ტექნიკური ნოკაუტით დამარცხებული ძმათაგან უფროსი - ვიტალი, არამედ ვლადიმირი. მაგრამ, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ უკრაინელ ძმებს გასაყოფიც არაფერი აქვთ და ერთი მწვრთნელის დარიგებებით ხელმძღვანელობენ, გამორიცხული არ უნდა იყოს, რომ მომავალში, როდესაც ვიტალის მოუწევს რინგზე ასვლა, ისიც როუჩისგან დამოძღვრილი გახლდეთ. კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) ჩემპიონი, ლენოქს ლუისი შემთხვევით არ გვიხსენებია. თუმცა, თანმიმდევრობა დავიცვათ და ჯერ ვლადიმირის ახალ მწვრთნელზე ვთქვათ.



REUTERS

ლენოქსთან ვიტალის, შემდეგში, ალბათ, როუჩი გაწვრთნის.

ვლადიმირ კლიჩკო, რომელიც ავსტრიულ საკურორტო ზონაში, კიცბიუელში არგენტინელ ედუარდო მოლისთან 30 აგვისტოს შესახვედრად მზადებას გადიოდა, პატარა მაღალმთიან სოფელ გუინში გადაბარგდა, იმ მოტივით, რომ იქ უკეთ მოემზადება, ახალი მწვრთნელის - ფრედი როუჩის ხელმძღვანელობით.

“მომავალი ბრძოლისთვის იქ უკეთ მოვემზადები, - აცხადებს ვლადიმირი, - გარდა ამისა, მოხარული ვარ, რომ მზადებაში ფრიც ზდუნეკთან ერთად ჩემი ახალი მწვრთნელიც (ფრედი როუჩი) დამეხმარება”.

და მაინც, ვინ არის როუჩი. როუჩი მსოფლიო კრივის ისტორიაში შევიდა მაიკლ მურერის, მანი პაკვიოს, ჯეიმს ტონისა და მაიკ ტაისონის მწვრთნელად. ვიდრე სხვათა დამოძღვრას შეუდგებოდა, თავადაც მოკრივეობდა და პროფესიონალურ რინგზე 53 ბრძოლაც ჩაუტარებია (39 მოგებული აქვს). თუმცა, ყველაზე დიდ წარმატებას სამწვრთნელო კარიერით მიაღწია და ამისთვის მსოფლიო კრივის დიდების დარბაზშიც იქნა შეყვანილი.

თავად მაიკ ტაისონის მასწავლებელი ვლადიმირზე დიდ იმედებს ამყარებს და მას ნიჭიერ მოკრივედ მიიჩნევს. თუმცა, იქვე აღნიშნავს, - ცოტა გასალაშინებაც და კლიჩკო უმცროსი დიდი მოკრივე დადგება, რისთვისაც ძალ-ღონეს არ დავიშურებო. ერთმანეთი მაისში გაუცვნიათ, საკუთარ დარბაზ - “Wild Card Boxing Gym-ში”, როდესაც ვლადიმირის უფროსი ძმა, ვიტალი ლენოქს ლუისთან საჩხუბრად ემზადებოდა. ლოს ანჯელესის 21 ივნისის ორთაბრძოლაზე ბევრი დაიწერა და ითქვა და არც ის არის ახალი, რომ დღეს ბევრს საუბრობენ ბრიტანელისა და უკრაინელის შესაძლო მატჩ-რევანშზე. ერთადერთი სიახლე ის თუა, რომ ლუისმა თქვა, - ვიტალისთან მატჩ-რევანშის შემთხვევაში ჩემი კრივიდან წასვლასაც არაფერი დაუდგება წინო.

მატჩ-რევანში კი 6 დეკემბრისთვისაა დაგეგმილი. თუმცა, ბოლომდე გარკვეულიც არაფერია. უფრო სწორედ კი, ლუისს დიდადაც არ ანაღვლებს კლიჩკოსთან ხელმეორედ გავა თუ არა რინგზე, რადგან, მისი თქმით, დასამტკიცებელიც არაფერი აქვს. ერთადერთი რისთვისაც ვმოკრივეობ ისაა, თავი რომ შევიქციო. უკვე დავამტკიცე, რომ ცუდ ფორმაშიც შევძელი კლიჩკოს დამარცხება. ვიტალი კი ისეთ კარგ ფორმაში ვეღარ იქნება, როგორც ეს პირველი ორთაბრძოლისას იყო. ისე კი, ზოგიერთები აღტაცებულნი არიან კლიჩკოს ჩხუბით და აშკარაა, რომ ჩვენი ორთაბრძოლის ხილვა კვლავაც სურთ.

ისე არ გამიგოთ, თითქოს მე არ ვისიამოვნე მასთან ჩხუბით. ამჟამად მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ჩვენს შორის რაღაც საკითხებზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს. მართლაც მაინტერესებს, რა გამოვა აქედან. ყოველ შემთხვევაში, ვიდრე კრივიდან წასვლის შესახებ განცხადება გამიკეთებია, ჯერ ამ კუთხით ვმუშაობთ. რაც შეეხება რინგიდან წასვლას, ამაზე კიდევ დავფიქრდები და ახლო მომავალში გადაწყვეტილებასაც მივიღებ. ამასთან, უკვე პატარა ბიჭი აღარ ვარ. სპორტის ამ სახეობისთვის უკვე სიბერეც შემომეპარა”.

ინფოთეკა

**ფეხბურთი.** ლიხტენშტაინის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა “ვადუცის” თავკაცი, ვალტერ ჰორმანი. მან ამ პოსტზე გერმანელი რალფ ლუსი შეცვალა. წესით, ლუსს ნაკრებისთვის კიდევ 11 თვე უნდა ეთავკაცა, მაგრამ ფეხბურთის ფედერაციის ჩინოვნიკებთან კონფლიქტის გამო, იძულებული გახდა, თანამდებობა დაეტოვებინა. პირველ გამოცდას ახალი მწვრთნელი 20 აგვისტოს ჩააბარებს, როცა მისი ნაკრები ამხანაგურ მატჩში სან-მარინოს ნაკრებს შეხვდება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ბერძენი თავდამსხმელი, ნიკოს მახლასი სამშობლოში დაბრუნდა და კარიერას “ირაკლისში” გააგრძელებს. მართალია, კონტრაქტი მხარეებს შორის ჯერ არ გაფორმებულა, მაგრამ წინასწარი შეთანხმება უკვე მიღწეულია.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** სლოვაკი ნახევარმცველი, ვრასტისლავ გრეშკო მომავალი სეზონიდან ინგლისის “ბლექბერნში” ითამაშებს. ფეხბურთელმა ახალ კლუბთან სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და ამ ხნის განმვლობაში, გასამრჯელოს სახით, 1,2 მილიონ გირვანქას მიიღებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები ვრცელდება მოსკოვის “სპარტაკის” პრეზიდენტის, ალექსანდრ ჩერვიჩენკოს მიერ კლუბის აქციების გაყიდვის თაობაზე. ორი დღის წინანდელი ინფორმაციის თანახმად, ჩერვიჩენკო მზად იყო, აქციები კომპანია “ლუკოილისთვის” 20 მილიონ დოლარად მიეყიდა, გუშინ კი კლუბმა გააკეთა ოფიციალური განცხადება და ამ ყველაფერს მონაჭორი უწოდა. განცხადებაში ნათქვამია, რომ ჩერვიჩენკო აქციების გაყიდვას არ აპირებს, მით უმეტეს - 20 მილიონად, როცა აქციების საბაზრო ღირებულება 50 მილონ დოლარს აღწევს.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** ამერიკელი ჩოგბურთელი, ანდრე აგასი მონაწილეობას არ მიიღებს 2004 წელს ათენის ოლიმპიურ თამაშებში. ამის შესახებ მან ვაშინგტონში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. მიზეზად კი ის დაასახელა, რომ სურს, გზა დაუთმოს ახალგაზრდა ჩოგბურთელებს, თანაც მორალური უფლება არ აქვს ნაკრებში თამაში მოითხოვოს. “მე დიდი ხანია უარს ვაცხადებ ნაკრებში თამაშზე, რადგან მსურდა, მთელი ჩემი ძალა და ენერგია დიდი სლემის ტურნირებისთვის შემომენახა. ამდენად, არანაირი უფლება არ მაქვს ნაკრებში თამაში მოვითხოვო და ის ხალხი, ვინც ოლიმპიურ თამაშებს ოთხი წელი ელოდებოდა, უსაქმოდ დავტოვო”, - აღნიშნა აგასიმ.

■ ■ ■

**ჰოკეი.** გუშინ ტორონტოში ერთი ამბავი იყო - კანადიდან ევროპულ ტურნეში წასული სტენლის თასი დაიკარგა. თასი პირველად სლოვაკეთის კოშიცეში უნდა გაჩერებულიყო, მაგრამ კოშიცეში ჩასულ თვითმფრინავში ის არ აღმოჩნდა. გამოითქვა ვარაუდი, რომ თასი ვენაში დაიკარგა, რადგან ტორონტოდან სლოვაკეთში ის სწორედ ვენის გავლით მიჰქონდათ. დაახლოებით, 20-საათიანი ძიების შემდეგ თასი, როგორც იქნა, იპოვეს - “მეთვალყურეებს” ის... ტორონტოს აეროპორტში დარჩენიათ.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** მიხაელ შუმახერმა “მაკლარენი” უწესო ქმედებაში დაადანაშაულა. გერმანელი პილოტის თქმით, წინა ეტაპზე “მაკლარენმა” გუნდური ტაქტიკა გამოიყენა - დევიდ კულჰარდს წინ კიმი რაიკონენის გაშვება უბრძანა, რამაც საშუალება მისცა ფინელ პილოტს, შუმახერთან სხვაობა 7 ქულამდე შეემცირებინა. მომხდართან დაკავშირებით “მაკლარენის” მხრიდან ჯერჯერობით არანაირი კომენტარი არ გაკეთებულა, თუმცა ფორმულა 1-ის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა შუმახერის თავხედობა ვერ მოითმინა და განაცხადა: “არავის ეგონოს, “მაკლარენს” ვიცავდე, მაგრამ ერთი რამ მაინტერესებს - რა უფლება აქვს შუმახერს, ასე ილაპარაკოს? წელს გუნდური ტაქტიკა, მისი და “ფერარის” შარშანდელი საქციელის გამო, აკრძალეს. მიხაელი მაშინ არასპორტულად მოიქცა. ამის შემდეგ მას ასეთი განცხადების გაკეთების მორალური უფლება არ აქვს”.

TV-სპორტი

**შაბათი. 2 აგვისტო**

НТВ + ФУТБОЛ
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 რუსეთის ჩემპიონატი. “ტორპედო” - “ტორპედო-მეტალურგი”.
15:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. მიმოხილვა
15:30 გერმანიის ჩემპიონატი. “ბავარია” - “აინტრახტი”.
17:15 საერთაშორისო ტურნირი. “Champions World”. აშშ. “მანჩესტერ იუნაიტედი” - “იუვენტუსი”
19:00 თავისუფალი დარტყმა
19:15 სახვალიო ტელეპროგრამა
19:25 “ფეხბურთი ა-დან წ-მდე”
19:55 რუსეთის ჩემპიონატი. “როტორი” - “სატურნ-Ren Tv”. პირდაპირი ტრანსლაცია
21:55 გერმანიის ჩემპიონატი. “შალკე” - “ბორუსია”
23:45 რუსეთის ჩემპიონატი
00:45 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 99/00 სეზონი. “რეალი” (ესპანეთი) - “დინამო” (უკრაინა)

НТВ + СПОРТ
11:00, 15:45, 19:30, 22:00 პრეს-ცენტრი
11:15, 19:45 “ოლიმპის შვილები”
11:20 აერობიკა
11:45 ველოტრეკი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში. ვაჟები, ქალები
14:15 ჭადრაკი. სუპერტურნირი დორტმუნდში
14:45 WNBA საკალათბურთო მიმოხილვა
15:15 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური ნორვეგიაში
16:00 ველოტრეკი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში. ვაჟები, ქალები. პირდაპირი ტრანსლაცია
19:50 სახვალიო ტელეპროგრამა
20:00 ფრენბურთი. გრან-პრი იტალიაში. ქალები. იტალია-რუსეთი
21:30 “სპორტული გლობუსი”
22:20 სახვალიო ტელეპროგრამა
22:25 ფრენბურთი. გრან-პრი იტალიაში. ქალები. აშშ-კორეა. პირდაპირი ტრანსლაცია
00:00 ჭადრაკი. სუპერტურნირი დორტმუნდში
00:30 ბადმინტონი. მსოფლიო ჩემპიონატი ინგლისში. ნახევარფინალები

EUROSPORT
11:30 თავგადასავალი. რეიდ “Gauloises” ყირგიზეთში
12:00 ველოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
13:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური ავსტრიაში
15:00 მძლეოსნობა. გრან-პრი
16:00 ველოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
19:45 მძლეოსნობა. სპრინტერები
20:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური ავსტრიაში
21:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი
01:00 მულტისპორტი
01:30 ექსტრემალური სპორტი
02:30 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში
03:30 ახალი ამბები
03:45 NASCAR-ის ავტორბოლები. ვინსტონის თასის ეტაპი აშშ-ში
04:45 ახალი ამბები



## ამბები

### ერაყის ომი ლე კარეს შემოქმედებაში



ცნობილმა ინგლისელმა მწერალმა ჯონ ლე კარემ, ცივი ომისდროინდელი დეტექტივების ავტორმა, გადაწყვიტა თავის ახალ რომანში "აბსოლუტური მეგობრები" გამოხატოს პროტესტი ამერიკის პოლიტიკისადმი. ერაყის მიმართ აშშ-ს პოზიციის გაკრიტიკება ლე კარემ პირველად წელიწადნახევრის წინათ მოახერხა. გაზეთ "თაიმსისთვის" მიცემულ ინტერვიუში მწერალმა ამერიკის ამჟამინდელ ეპოქას "ისტორიული შეშლილობის პერიოდი" უწოდა.

და აი, ლე კარემ გადაწყვიტა, რეალობის გადატანა საკუთარ ნაწარმოებში. მის ახალ რომანში მოქმედებების ნაწილი ვითარდება ამერიკა-ერაყის ომის პარალელურად. სიუჟეტი აგებულია დაპირისპირებული ქვეყნების აგენტებზე, რომელთაც 50 წლიანი მეგობრობა აკავშირებთ. წიგნის გამოცემა მომავალი წლის დასაწყისისთვისაა ნავარაუდევი.

### ბრედ პიტის აქილევსის ქუსლი



ბრედ პიტი ყოველთვის განსაკუთრებული პასუხისმგებლობით გამოირჩევა კინოგადაღებების მიმართ. მოაწერა რა ხელი ეპიკურ დრამა "ტროაში" მონაწილეობაზე, ბრედ პიტმა მიიღო შეთავაზება შეასრულოს გმირი აქილევსის როლი. ამისათვის მას რასაკვირველია, გარკვეული მომზადება დასჭირდა. მაგალითად, ერთი თვე ვარჯიშობდა სატრენაჟორო დარბაზში და როგორც ამბობენ, ეფექტური კუნთებიც დაიყენა. მაგრამ, ფილმის პროდიუსერებმა მას ფეხები დაუწუნეს და მკაცრად გადაწყვიტეს, მსახიობი ტანს ქვემოთ არ ეჩვენებინათ. ამგვარად, "პიტის ფეხებს" საგანგებოდ დაქირავებული ათლეტების მწვრთნელი განასახიერებს.

### პოლ ველერი V2-ს კატალოგში



თანამედროვე პოპის ერთ-ერთმა ყველაზე ავტორიტეტულმა კომპოზიტორმა და შემსრულებელმა პოლ ველერმა ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ ხმისჩამწერ ფირმა V2-თან ხელი მოაწერა კონტრაქტს.

კარიერა პოლ ველერმა 70-იანი წლების მეორე ნახევარში დაიწყო და გამოდიოდა იმ დროისათვის საკმაოდ ცნობილ ჯგუფებში: The Jam, Style Council. შემდეგ სოლო ალბომებით დაკავდა და ყველასათვის პატივსაცემი მუსიკოსის სახელი მოიპოვა. აი, რას ამბობს V2-ის ხელმძღვანელი რიჩარდ ბრენსონი პოლ ველერთან გაფორმებული ხელშეკრულების შემდეგ: "არსებობდა ორი შემსრულებელი, ვისთანაც მსურდა საქმიანი ურთიერთობა. ფირმა "ვირჯინში" მუშაობისას ავისრულე ოცნება და ვიმუშავე "როლინგსტოუნზთან" ოცწლიანი მოლაპარაკებების შემდეგ. პოლ ველერთან შეთანხმებას გაცილებით დიდი დრო დასჭირდა. მაგრამ ეს დრო ნამდვილად ღირდა ამ შედეგისთვის. ახლა ჩვენ ყველანი უზომოდ ბედნიერები ვართ".

პოლ ველერის ბოლო ალბომი Illumination ინგლისური ჩარტების სათავეში მოხვდა, ხოლო კრიტიკოსთა უმრავლესობამ ნამუშევარს მუსიკოსის საუკეთესო ალბომი უწოდა.

# მამულიშვილი

### დღეს რეზო თაბუკაშვილს 76 წელი შეუსრულდებოდა

დიმიტრი ხვთისიაშვილი



*რეზო თაბუკაშვილი - გარეგნული და სულიერი სილამაზით და მოქალაქეობრივი მრწამსით გაჯერებული პიროვნება.*

ამბობენ, გარდაცვალების შემდეგ მხოლოდ იმ დღეს აღნიშნავენ, როდესაც სული სხეულს გაეყრებაო; ბატონი რეზო 3 აგვისტოს გარდაიცვალა, წინა დღეს, 2-ში უკანასკნელად იზეიმა თავისი დაბადების დღე. ექიმებმა თბილისურ ზაფხულს გაარიდეს დასნეულებული და ოქროყანაში აიყვანეს, სწორედ იქ, აგარაკზე შეკრიბა იუბილარმა მისთვის გამორჩეულად საყვარელი ადამიანები და მათთან ერთად აღნიშნა 63-ე წლის შემობრძანება (სამწუხაროდ უკანასკნელის) მის ცხოვრებაში.

თუ გადავავლებთ თვალს, რა შექმნა მან მისი ცხოვრების ბოლო ათწლეულში, ძნელი მისახვედრი არ იქნება, თუ რა შეიქმნებოდა კიდევ, მას რომ დასცლოდა.

ხშირად გამიგონია, მასზე საუბრისას რომ უთქვამთ... მწერალი იყო, თუმცა მასზე დიდი მწერლებიც გვყოლიაო... მთარგმნელი იყო, თუმცა მასზე დიდი მთარგმნელებიც გვყავდაო, კინორეჟისორი იყო, თუმცა ქართველებს არც ამ პროფესიის ხალხი გვყავს სანთლით საძებნელიო, მაგრამ ერთ ადამიანში შერწყმული ამდენი ნიჭით და თან საოცარი გარეგნული და სულიერი სილამაზითა და მოქალაქეობრივი მრწამსით გაჯერებული პიროვნება, იშვიათად დაგვბადებია ქართველებსო.

ბატონი რეზოს გარდაცვალებისას, იშვიათად თუ წააწყდებოდით პრესაში - დიდი მწერალი ან კინორეჟისორი გარდაიცვალაო, საქართველოს მოუკვდაო დიდი მამულიშვილი და თან იმ დროს, 1990 წელს, როდესაც მისი დიპლომატიური (იგი ხომ პროფესიონალი დიპლომატი გახლდათ) და პოლიტიკური ალღო ბევრ სიკეთეს მოუტანდა მის სათაყვანებელ სამშობლოს.

მას უთქვამს, რომ ვუკვირდები საქართველოს ისტორიას, ერთი შეხედვით, ეს ღალატის ისტორიააო, მაგრამ რეზო თაბუკაშვილმა შესძლო ქართველთა ცნობიერებაში დაებრუნებინა ის მარგალიტები, რომელთა არსებობითაც მოიტანა ჩვენმა ქვეყანამ თავისი აწმყო.

"კვალი ნათელი", "ალპური ვარსკვლავი", "მიხეილ ხერგიანი", "ვიტორიო სელლა", "პირველად იყო სიტყვა", "ფურცლები ფრანგული დღიურიდან", "საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი", "ნაძარცვის კვალდაკვალ", "შორიელთა სიახლოვე"... ეს ფილმები მხოლოდ მხატვრულ ღირებულებას არ წარმოადგენენ, ამ ფილმებში ქართული სული ზეიმობს. მასში ქართული სახელმწიფოებრიობისა და დამოუკიდებლობის იდეაა ჩადებული. დოკუმენტური კინო მისთვის პოლიტიკური ბრძოლის გზად იქცა, ერის ცნობიერებაში მივიწყებული გენეტიკური კოდის გამოლვიძებისათვის შესანიშნავ სარბიელად და რეზო თაბუკაშვილმა დიდი სკურპულოზურობით მოახერხა ქართველებში ქართველობა გაეღვიძებინა. მიხეილ თამარაშვილის გადმოსვენებაც ხომ უდიდესი აქცია იყო ამ თვალსაზრისით. უკვე მზად ჰქონდა კინოსცენარები მომავალი ტრილოგიისთვის - გაბრიელ ეპისკოპოსზე, ქეთევან წამებულსა და გრიგოლ ფერაძეზე - ანუ ტრილოგია რწმენაზე...

რეზო თაბუკაშვილმა უმადურობით განთქმულ ჩვენს ქვეყანაში, ეროვნული მადლიერების ინსტიტუტი დააარსა, მას რომ დასცლოდა, შესაძლოა ბევრ ტკივილსა და ავბედობას აცილდებოდა საქართველო... ამბობდნენ კიდეც, საპრეზიდენტო კაცი მოგვიკვდაო. თუმცა მას რომ არ ხიბლავდა რეგალიები, თანამდებობები, სახელმწიფო ჯილდოები და წოდებები, თავისი ცხოვრებით დაამტკიცა. მას ბრძოლის სხვა ასპარეზი ჰქონდა და არანაირ თანამდებობაზე არ გაუცვლია იგი.

ოჯახის ფენომენი ქართულ ცნობიერებაში ფესვგამდგარია და ამ მხრივაც გამორჩეული ოჯახის უფროსი გახლდათ. მედეა ჯაფარიძე ქართველი ქალის სიწმინდის, სილამაზის, ერთგულებისა და კაცთმოყვარეობის სიმბოლო იყო ქართულ საზოგადოებაში.

როდესაც ბატონი რეზოს თარგმნილი შექსპირის სონეტების კრებული გამოვიდა, სასიგნალო ეგზემპლარი მეუღლეს უსახსოვრა წარწერით: "ჩემო სიყვარულო! თუ ეს ქართული წიგნი მართლა წარმოადგენს რაიმე ფასეულობას, ორიგინალის ავტორი ალბათ დარწმუნებულია, რომ ეს მისი სონეტების დიდებულებითაა გამოწვეული. შექსპირს, როგორც ლირიკოსს თავი თუ არ მოეჭრა საქართველოში უმადლოდეს შენს გაჩენას ამ ქვეყანაზე. ჩემო მედიკო, ამ წიგნში ყველაფერი შენ გეკუთვნის, ყოველი სტრიქონი შენითაა ნაკარნახევი, მაგრამ არ ვიცი შენსავით მშვენიერია თუ არა, ყოველ შემთხვევაში ძალიან ვცდილობდი დამემსგავსებია შენთვის."

ბატონი აკაკი ბაქრაძის სიტყვები შემთხვევით არ გამხსენებია... საქართველოსთვის რეზო თაბუკაშვილის დაბადება, მისი არსებობა და ღვაწლი, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის თავზარდამცემი რეალობა, რომ დღეს მის გარეშე ვარსებობთ.

დღეს რეზო თაბუკაშვილის დაბადების დღეა, იგი 76 წლის შესრულდებოდა. მთელ საქართველოს ვულოცავთ მის დაბადებას და დასასრულს კვლავ იუბილარის სიტყვებს მოვიშველიებ: - "სიტყვა XXI საუკუნის ქართველებს":

"...სულით უღრუბლოვ და მოწმენდილო წინაპარო ჩემო, ზოგჯერ უსაფლავოვ და დაუტირებელო უცხო ძვალშესალაგებში, უსაქართველოდ დარჩენილი, საქართველოთი რომ ცხოვრობდი, ხმლითა და გონებით რომ ილვწოდი საქართველოსთვის მაშინაც კი, როცა სამშობლო შენი, სამკვიდრო შენი იმ ჩიტსა ჰგავდა, ღობეს რომ ეხვეწება, ქარს ნუ გამატანო. დღეს შენს ნაკვალევზე დავდივართ შენი შთამომავალნი, ღამეულად გამოსულნი იმ დაუნჯებული, მაგრამ ეშმაკთმიმგებების ხელით ქვეყნად რომ მიმოიფანტა, როგორც მარგალიტები უდაბნოში. ამ მიმოფანტული უბადლო ეროვნული მშვენიერების კვალზე შედგომა ალბათ უკვე თქვენ დაგედებათ ვალად, ალბათ უკვე თქვენ უნდა ილოთ ხელად, XXI საუკუნის ქართველებო, რომლებიც ჯერ არც კი დაბადებულხართ, ან მხოლოდ ახლა იბადებით! ღმერთმა უტყუარი გეში, ყისმათი და ნათელი დღენი მოგცეთ ჩვენი საუნჯის სამძებრო გზებზე ხეტიალისას! უკუგეფანტოთ ყველა, ვინც წინ აღგიდგეთ - სიბრძნით აღჭურვილი მტერიც და ბრიყვი, შეუსმინარი შინმყოფი მოკეთეც! "შრომაი და მოღვაწეობაი ღირსად ცხოვრებისაი... და უწყებაი ღირსისა მის მოქალაქეობისა." კაცობრიობა იმ დროისათვის მაინც მოეგება გონს, იმ დროისათვის მაინც დაცხრებიან და დაგრილდებიან მსოფლიოს ამღვრეული ვნებები და კაცთა მოდგმა ალბათ უფრო მოიცლის ამგვარი წმინდა ქმედებისათვის. დალოცვილ იქნეს ზნემაღალი ცხოვრება და ღვაწლი თქვენი, შთამომავალნო ჩვენნო, პატივდებულ და დიდებაგანფენილ საქართველოში."

# გამარჯვებული კიდმანი



*კიდმანი - მუდამ გამარჯვებულია.*

პოპულარულმა ჰოლივუდელმა მსახიობმა ნიკოლ კიდმანმა ბრიტანული გაზეთის "დეილი მეილის" წინააღმდეგ სასამართლო პროცესი მოიგო. ბრიტანული მართლმსაჯულების გადაწყვეტილების თანახმად, გაზეთმა უნდა გამოაქვეყნოს საბოდიშო პუბლიკაცია და მსახიობს მორალური ზარალი აუნაზღაუროს.

შეასრულებს თუ არა გაზეთის რედაქცია პირობას და გადაუხდის თუ არა კინოვარსკვლავს სავალდებულო თანხას, ჯერ არავინ იცის. თუმცა, ასეც რომ არ მოხდეს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ სასამართლომ შეასრულა გარკვეული მისია. პირველ რიგში კი "შეურაცხყოფილი" კიდმანის წინაშე. მართალია, პროცესზე არ დასახელდა თანხა, რითაც ნიკოლ კიდმანის მორალური ზარალის კომპენსირებაა შესაძლებელი. თუმცა, მინიშნება, რომ თანხა საკმაოდ სოლიდური იქნება, უკვე გაკეთდა.

ჰოლივუდის ვარსკვლავთან დაკავშირებული უსიამოვნო ისტორია ასე დაიწყო: წელს, 6 მარტს, "ოსკარების" დაჯილდოების ცერემონიალის წინა დღეს გაზეთმა "დეილი მეილმა" გამოაქვეყნა სტატია. წერილის ავტორი ირწმუნებოდა, რომ ნიკოლ კიდმანისა და ბრიტანელი მსახიობის ჯუდ ლოს ურთიერთობები თანდათან ღრმავდებოდა. ასეთი ინფორმცია, კი როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, არ აწყობდა არც კიდმანს და არც ჯუდ ლოს. ამ უკანასკნელს ალბათ უფრო მეტად საკუთარი "იდეალური მეოჯახე მამაკაცის" იმიჯის ნგრევის შეეშინდა.

იმის მიუხედავად, რომ ლო დიდი ხნის განმავლობაში იდეალურ მეუღლედ მიაჩნდათ (ჯუდ ლოსა და მსახიობ სედი ფროსტს სამი ბავშვი ჰყავთ), ბოლო დროს გავრცელებული ჭორები საპირისპიროს ამტკიცებდნენ. ზემოთხსენებულ სტატიაში პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ ლოსა და ფროსტის ურთიერთობები სწორედ კიდმანის გამო განიცდიდა სერიოზულ კრიზისს. ლოც და კიდმანიც მკაცრად უარყოფდნენ ჟურნალისტის "ბრალდებებს".

"სტატიამ სერიოზული ზარალი მიაყენა მსახიობის შემოქმედებით კარიერასა და პირად რეპუტაციას", - თქვა სასამართლო პროცესზე ნიკოლ კიდმანის ადვოკატმა. გაზეთის ხელმძღვანელობამაც და თავად ავტორმაც სასამართლო პროცესზე განაცხადეს, რომ წერილში გამოტანილი დასკვნები იყო არაზუსტი და დაუსაბუთებელი. ამის გამო გაზეთის წარმომადგენლებს პირადად მოუხდათ მსახიობისთვის ბოდიშის მოხდა.

და ბოლოს, ფილმი "ცივი გმირი", სადაც ნიკოლ კიდმანი და ჯუდ ლო ერთად თამაშობენ, მსოფლიო ეკრანებზე წლის ბოლოს გამოვა.

# ქეთრინ ჰეპბერნის ანდერძი გამოქვეყნდა

ერთი თვის წინათ, 96 წლის ასაკში გარდაცვლილმა დიდმა მსახიობმა ბევრი გააოცა თავისი უკანასკნელი სურვილით. ქეთრინ ჰეპბერნმა დეტალურად აღწერილი, 23 ფურცლიანი ანდერძი დატოვა. გაზეთ "ნიუ-იორკ დეილი ნიუსის" თანახმად, მსახიობმა მისი ოთხივე "ოსკარი", ყველა სამახსოვრო ნივთები და პირადი ხელნაწერები, ერთ-ერთ საქველმოქმედო ორგანიზაციას უსახსოვრა. ამას გარდა 200 ათასი დოლარი მან თავის შინამმართველს ნორა მურს უანდერძა. მსახიობის დანარჩენი ქონება კი ნათესავებს ერგოთ – დას მარგარეტს, ძმას რობერტს და მისი გარდაცვლილი და-ძმის რიჩარდისა და მერიონის ოჯახებს. რაც შეეხება ჰეპბერნის ავეჯსა და ნახატების კოლექციას, მსახიობმა იგი უახლოეს მეგობარს, ABC-ის ახალი ამბების რედაქტორს, სინტია მაკფედენს უსახსოვრა. მისი ავტოპორტრეტი კი რომელიც კანადელმა მხატვარმა, მაიფენვ სპენსერ-პაველიკმა დახატა, ვაშინგტონის ნაციონალურ გალერეაში შეინახება.

მოძრავი ქონება მთლიანად, დაახლოებით 800 ათასი დოლარს შეადგენს. უძრავი ქონება კი – ჰეპბერნის საკუთარი სახლებისა და ბინების საერთო ღირებულება 20 მილიონ დოლარამდე აღწევს. მსახიობის საგვარეულო სამფლობელო, რომელიც ატლანტიკის სანაპიროზე – ოლდ სეიბრუკში, კონექტიკუტის შტატში მდებარეობს, სადაც იგი დაიბადა და გარდაიცვალა – ჰეპბერნის სურვილის მიხედვით გაიყიდება, ფული კი ხალხს დაურიგდება. და ბოლოს, ქეთრინ ჰეპბერნის უკანასკნელი თხოვნაა, არასოდეს დაუდგან მას ძეგლი.

## ათეულები



### კვირის ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ბრიტანული კინოთეატრების მონაცემების მიხედვით

| ფილმი / რეჟისორი | მსახიობი | უიკენდის შემოსავალი მილიონი $ | საერთო შემოსავალი მილიონი $ |
|---|---|---|---|
| მოუხელთებელი / ენგ ლი | ნიკ ნოლტი, ჯენიფერ კონელი | 2.2 | 10.5 |
| ყოვლისშემძლე ბრიუსი / ტომ შედიაკი | ჯიმ ქერი, ჯენიფერ ანისტონი | 1.9 | 34.1 |
| ჩარლის ანგელოზები 2 / McG | კამერონ დიაზი, დრიუ ბერიმორი | 1.6 | 17.5 |
| მამის მოვლის დღე / სტივ ქერი | ედი მერფი, სტივ ზანი | 1.2 | 6.0 |
| სინდბადი: ლეგენდა - შვიდი ზღვა / პატრიკ გილმორი, ტიმ ჯონსონი | ბრედ პიტი, კეტრინ ზეტა-ჯონსი | 1.1 | 1.3 |
| პიგლეტის დიდი ფილმი / ფრენსის გლებას | ჯონ ფიდლერი, კენ სენსომი | 0.8 | 2.5 |
| Agent Cody Banks / ჰარალდ ცვარტი | ჰილარი დაფი, [illegible] | 0.7 | 0.9 |
| ვერონიკა გერინი / ჯოელ შუმახერი | კოლინ ფარელი, ბრენდა ფრიკერი | 0.4 | 2.2 |
| მოულოდნელი ჯარისკაცები/ გრეგორ ჯორდანი | ხოაკინ ფენიქსი, ედ ჰარისი | 0.3 | 0.6 |
| ძალიან სწრაფი დაბრაზინები / ჯონ სინგლტონი | პოლ უოლკერი, ევა მენდესი | 0.2 | 12.0 |

### ბროდვეის დადგმების კვირის ათეული

| სპექტაკლი | თეატრი | შემოსავალი $ |
|---|---|---|
| მეფე ლომი | New Amsterdam | 1,123,421 |
| მამა მია | Cadillac Winter Garden | 1,032,985 |
| თმის ლაქი | Neil Simon | 992,479 |
| პროდიუსერები | St. James | 961,917 |
| ციგანი | Shubert | 811,867 |
| 42-ე ქუჩა | Ford Center | 776,540 |
| ცხრა | Eugene O'Neill | 773,401 |
| გამოსვლა | Richard Rodgers | 764,652 |
| აიდა | Palace | 764,597 |
| სრულებით თანამედროვე მილი | Marquis | 691,537 |

### გასული კვირის მუსიკალური ალბომების ათეული ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით

| შემსრულებელი | სათაური | წინა კვირის პოზიცია |
|---|---|---|
| Beyonce Featuring Jay-Z | Crazy In Love | 1 |
| აშანტი | Rock Wit U (Awww Baby) | 3 |
| ჩინგი | Right Thurr | 4 |
| ლილ კიმი "50 სენტთან" ერთად | Magic Stick | 2 |
| Uh Ooh, Uh Oooh! - Lumidee | Never Leave You | 5 |
| matchbox twenty | Unwell | 6 |
| 50 Cent | P.I.M.P. | 13 |
| Ginuwine | In Those Jeans | 10 |
| Uncle Kracker დობი გრეისთან ერთად | Drift Away | 12 |
| კელი კლარქსონი | Miss Independent | 9 |

### ალბომების ევროპული ათეული ჟურნალ Billboard-ის მიხედვით

| შემსრულებელი | სათაური |
|---|---|
| Beyonce Knowles | Dangerously In Love |
| Evanescence | Fallen |
| ეროს რამაზოტი | 9 |
| "მეტალიკა" | St. Anger |
| ნორა ჯონსი | Come Away With Me |
| შონ პოლი | Dutty Rock |
| რობი უილიამსი | Escapology |
| შანია ტვეინი | Up! |
| "სიმპლი რედ" | Home |
| ნენა | 20 Jahre |



## TV პროგრამა
28 ივლისი

### რუსთავი - 2
**08.00** კლასიკა **09.00** კურიერი **09.20** ფიფქია **09.50** ცხოველთა ომები **10.20** საბ.ფილმი „ნაითმენი“ **12.00, 15.00** კურიერი **12.20** სიმფსონები **12.50** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.00** დოკ. სერიალი „ველური სამყაროს ამბები“ **17.40** სერიალი „კოლომბო“ **18.00, 02.00** კურიერი **18.20** სერიალი „კოლომბო“ **19.35** დოკ. ფილმი „თანამედროვე ტექნოლოგიები“ **20.05** სერიალი „მეწამული ყვავილი“ **21.00** კურიერი **PS 22.00** საოჯახო ტოტო **23.00** ფსიქო. მხ.ფ. „მგლის საათი“ რეჟ: ინგმარ ბერგმანი. **02.20** მხ.ფილმი „შუაღამის მეორე მხარეს“. მთ. რ-ში: სიუზან სარანდონი, რაფ სალონე.

### პირველი არხი
**08.00, 15.00** მოამბე **08.15** მხ. ფილმი „გადამჭრელი“ **09.50** დოკ.სერიალი „ირმის წელიწადის ოთხი დრო“ **10.40** გლობუსი **11.10** კონცერტი **11.40** მეტრო **12.15** კვალი **21.45** მხ. ფილმი „იშვიათი ფრინველები“ **14.25** საქართველო, დრო, მოვლენები **15.00** „მოამბე“ **15.15** დოკ. ფილმი „კვალი ნათელი“ **16.05** დოკ.სერიალი „მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო“ **16.30** „ფრენა უნდა შეძლო“ - ი. სულაბერიძე **17.00** საწინდარი **17.30** მულტსერიალი „ტრისტანი და იზოლდა“ **18.00** „ვესტნიკი“ **18.45** „თბილისის დროით“ **19.05** ენერგია **19.35** ჰოლივუდის ვარსკვლავები **20.00** მოამბე **20.25** სერიალი „სასახლე მზეში“ მე-2 ს. **21.15** ტალანტები და თაყვანისმცემლები **22.00** პროფათეული **22.40** მხ. ფილმი „მენავთობე ქალები“ **00.15** მოამბე **00.30** ღამის ჯაზი.

### პირველი სტერეო
**09.00** მუსიკა **10.00** ტოროლა **13.00** ფილმი **15.00** მუსიკა **16.00** ფილმი „გენიალური ჩვილები“ მთ. რ-ში კეტლინ ტერნერი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **19.50, 20.15** სველი ხაზი **21.15** ქართული მუსათეული **22.35** კვირის საუკ. ლექსები **23.00** აბა გამოიცანი კადრი **00.00** „ბრავო“ „ვნების ნიშნები“ მთ. რ-ში დანიელ ოტოი. **01.50** „ღამურა“ „სურვილების შემსრულებელი 2“. მთ. რ-ში ენდრიუ დივოფი, ჰოლი ფილდსი. **03.45** პაუზის გარეშე.

### მეორე არხი
**19.00** მულტფილმი **19.30** ორატორი **19.40** მოკლ. მხ. ფილმი „კერპი“ **20.30** კონცერტი **21.30** წარსულის ტერიტორია **22.00** მხ. ფილმი „შანხაის სიურპრიზი“.

### კავკასია
**12.00** მხ. ფილმი „გაქცევა“ **13.30** მხ. ფილმი „ანდროიდების კოლონია“ **15.00** მხ.ფილმი „ჭკვიანი უილ ჰანტინგი“ **17.00** მხ. ფილმი „ადამიანი რკინის ნიღაბში“ **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ **19.20** მუსიკა **21.00** მხ. ფილმი „საცდელი დღე“ **23.00** დოკ. ფილმი **00.20** მხ. ფილმი „ვარსკვლავური დესანტი“.

### იბერია
**08.00** ანონსი **08.05** დიალოგი **10.30** მხ. ფილმი „მეოთხე ტენორი“ **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ახალი ამბები **13.10** დოკ. სერიალი **15.15** მხ. ფილმი **17.20, 18.30, 21.55, 01.00** მუსიკა **18.00, 19.30** მულტფილმი **18.45** ბუნების ფერები **20.30** ლიტერატურული გადაცემა - სილუეტი **21.00** დოკ. ფილმი **23.30** მხ. ფილმი „ბულიტი“.

### მეცხრე არხი
**09.30** მულტფილმი „მხიარული მელოდიები“ **09.55, 12.20, 16.15, 17.50, 18.50** მუსიკა **10.00** სერიალი „ჯონ როსი“ **10.25** მულტსერიალი „სიმბა მეფე ლომი“ **11.00** სერიალი „პოლიციელი ქალი“ **11.55** დოკ. ფილმი „მსოფლიო ფერწერის ისტორია“ **12.40** მხ. ფილმი „მაცდური ანუ ეშმაკის თამაში“ **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** „ყვითელი კვადრატი“ **15.15** „ერთი ნივთის ისტორია“ **15.30** სერიალი „ციებ-ცხელება“ **16.30** დოკ. სერიალი „ფოტორობოტი“ მე-4 ს. **18.05** სერიალი „ჯონ როსი“ **18.25** მულტსერიალი „სიმბა მეფე ლომი“ **19.00** „საუბრები სტუდიაში“ **20.00** დოკ. სერიალი „ფაქტზე დაჭერა“ მე-10 ს. **21.15** ფილმი-კონცერტი „კრისტინა აგილერა“ **22.15** ტელემეტრი **22.30** გადაცემა „ოლიმპი“ **22.50** მოკლ.მხ.ფილმი „შეხება“ **23.20** „ცხელი ცხრიანი“ **00.20** მხ. ფილმი „ვენეციის ალყა“.

### იმედი
**09.00** ქრონიკა **09.05, 13.40, 23.30** იმედის მელოდიები **10.20** ანიმაციური სერიალი „მითიური მეომრები“ **10.45** მხ. ფილმი „გამოუსწორებელი“ **12.30** სერიალი „უკიდურესი ზღვარი“ **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 21.00, 22.00** ქრონიკა **13.15** სერიალი „უკიდურესი ზღვარი“ **13.50** თოქ-შოუ „არჩევანი თქვენ“ **15.10** რეტროსკოპი „პური ჩვენი არსობისა“ **17.15** დოკ. სერიალი „ბრძოლა გადარჩენისათვის“ **18.00** ერთხელ ჰოლივუდში **18.30** დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა“ **19.25** სერიალი „ყველაფერი იმ ღამის შესახებ“ მე-4 ს. **21.05** ქართ. სერიალი „მგლების ხორუმი“ მე-7 ს. **22.45** „საღამოს ღიმილი“ **23.00** „კლიპ-ლოტო“ **00.30** მხ. ფილმი „თითქმის ორსული“.

### აჭარა
**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.20** დოკუმენტური ფილმი **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება **09.10** სათავგადასავლო ფილმი „ჰაერის კვირტი-4“ **10.40, 14.20** მუსიკა **10.45** ისტორიული ფილმი „კორინფის დამპყრობელი“ **12.10** დრამა „სიბნელეში მოცეკვავე“ **14.30** კომედია „ოცნებას ზიანი არ მოაქვს“ **16.20, 19.10, 22.35, 00.30** საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი“ **16.30** მულტფილმი „პოკემონი: შუაღამის დარაჯი“ **17.35** თრილერი „მომაკვდინებელი ოქრო“ **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს“ **19.30, 22.30** „პრესდაიჯესტი“ **19.35** „ყველანი ვართ პატარები“ **19.45** დოკუმენტური ფილმი **20.30** მხატვრული ფილმი „პარტნიორები“ **21.55** „ბუხარი“ **23.00** Слово **23.30, 03.20** მუსიკა **00.50** „ქართული კინო“ **02.20** დოკუმენტური ფილმი **03.50** მხატვრული ფილმი „წყნარი მორევი“.

### VII არხი
**18.10** მობილურები **19.00** „აჩიკუდა **19.20** „ბედნიერი ერი“ ილიას პუბლიცისტური წერილების მიხედვით **19.25** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **20.00** იტალიის ჩემპიონატის საუკეთესო გოლები **20.20** კომპიუტერული თამაშები **20.30** დოკ.ფილმი „ბრძოლა წესების გარეშე“ **20.45** აუდიო - ვიდეო - ტელე **21.30** რაგბი. სამი ერი - ავსტრალია - აფრიკა **23.20** „კინოკლუბი „ - „მობი დიკი“. სათავგადასავლო . რეჟ- ფრენს როლენსი . როლებში: პატრიკ სტიუარტი, გრეგორი პეკი. **01.10** კომპიუტერული ტექნიკა.

### OPT
**07.00** Новости **07.10 Сериал „Сейчас или никогда“ 08.00, 11.00, 13.00, 19.00** Новости **08.10** Сериал „Приключения Геркулеса“ **09.00** Сериал „Твинисы“ **09.20** „Играй, гармонь любимая!“ **10.00** „Слово пастыря“ **10.15** „Здоровье“ **11.10** „Смак“ **11.30** „Возвращение домой. Л.Долина. Одесса“ **12.15** „Шутка за шуткой“ **13.10 Боевик „Ответный ход“ 14.45** Док.фильм „Человек, который встретил Бога“ **15.15** Дисней-клуб: „Геркулес“ **15.40** Док.фильм „Невероятное путешествие Жюля Верна“ **16.35 Сериал „Темный ангел“ 17.20 Комедия „Трын-трава“ 19.10** Праздничный концерт **22.00** „Время“ **22.25 Боевик „Тринадцатый воин“ 00.20** Музыкальный фестиваль в Юрмале. III тур **02.25 Триллер „Мертвая зона“.**

### PTP
**07.00 Мелодрама „Первый троллейбус“ 08.20 Сериал „Дракоша и компания“ 08.45** „Золотой ключ“ **09.05** „Русское лото“ **09.55** „Утренняя почта“ **10.25** „Городок“. Дайджест **10.55** „Сам себе режиссер“ **11.55 Комедия „Завтрак у Тиффани“ 13.55** „В поисках приключений“ **15.00, 21.00, 00.00** Вести **15.20 Детектив „Сицилианская защита“ 17.00 Футбол. Чемпионат России. „Спартак“ (Москва) - „Локомотив“ (Москва) 19.00** „Моя семья“ **20.00** „Аншлаг“ **21.20 Боевик „Полицейский из Беверли Хиллз 3“ 23.20 Худ.фильм „Нирвана“ 00.20 Худ.фильм „Нирвана“ (прод.) 02.05 Комедия „Добейся успеха“ 04.00** Чемпионат мира по автогонкам „Формула-1“. Гран-При Германии. Квалификация **05.15 Сериал „Клоун“.**

### НТВ
**07.40 Детектив „Лаборатория „Красотка“ 09.00, 13.00, 17.00, 20.00** „Сегодня“ **09.20 Сериал „Голубое дерево“ 10.05** Мультфильм „Как лечить удава?“ **10.10** Сериал „Бушующая планета“. „Молнии“ **11.05** „Кулинарный поединок. Россия - Франция“ **12.00** „Квартирный вопрос. Шкаф-невидимка“ **12.50** Спорт „Лото 6 из 49“ **13.15** Шоу „Фактор страха“ **14.05 Худ.фильм „Елки-палки!“ 15.45** „Профессия-репортер“. „Детский спецназ“ **16.10** „Своя игра“ **17.20** „Женский взгляд“ О.Пушкиной. Н.Архипова **18.00 Триллер „Кровь и вино“ 20.35 Сериал „Агент национальной безопасности 2“.** „Человек без лица“, ч.1 **21.45 Боевик „Живая мишень“ 23.35** „Все сразу!“ **00.15 Худ.фильм „Охота за наследством“.**

# მოდელიორთა მუზები



რობერტო კავალის მოდელები

“ჩემი ტანსაცმლის ჩაცმისთანავე ქალს აგონდება, რომ ქალია. მე ქალს ვეხმარები, რომ სწორედ ისე გამოიყურებოდეს, როგორც თავად ოცნებობს,” – დიზაინერ რობერტო კავალის ეს სიტყვები მრავალი ხელოვანის შთაგონების წყარო იყო, არამარტო თანამედროვე, არამედ წარსულის დიდოსტატებისაც.

ის, რომ ქალებისთვის ტანსაცმელს ძირითადად მამაკაცები ქმნიან, უკვე არავის აკვირვებს. ვიღაცამ, ვთქვათ, უელსელმა დიზაინერმა ჯულიან მაკდონალდმა, 7 წლის ასაკში მაქმანების ქსოვა ისწავლა, სხვები, მაგალითად, ჯანფრანკო ფერე ან პაკო რაბანი, დიპლომირებული არქიტექტორები იყვნენ, ბალმენის მოდის სახლის ახალი დიზაინერი, ლორან მერსიე კი თვითონ იზომებს ხოლმე თავის შექმნილ სამოსს. გარდა ამისა, ყოველ ხელოვანს თავისი მუზა ჰყავს, რომლის წყალობითაც ისინი ახალ სახეებსა და ახალ კოლექციებს ქმნიან, და თანამედროვე ქალბატონებსაც შეუძლიათ ყველა გააოცონ “თავიანთი”არაორდინალურობითა და დახვეწილი გემოვნებით.

ასე, მაგალითად, მაიკლ კორსი, ამერიკის მოქალაქე და ამჟამად პარიზში მომუშავე დიზაინერი, გასული საუკუნის 60-იანი წლებში პარიზში ფრიად პოპულარული რუსი მოდელის, ვერუშკას სახით ყოფილა შთაგონებული. “ვერუშკა ერთმანეთს იმასაც უხამებდა, რაც სრულიად შეუხამებელი იყო, და პირველმა სწორედ მან დაიწყო ეთნიკური სამოსის ტარება,” მოჰყვა დიზაინერი. თავის კერპის მაგალითით შთაგონებული კორსიც ინდურ სარისა და ოქროს სამკაულთან ერთად თავის მოდელებს “საფარის” სტილის ქურთუკს აცმევს, და ტყავის შარვლისა და გამჭვირვალე ტოპის ერთად ჩაცმის იდეაც სწორედ ამ მოდელიორს მოუვიდა თავში.


პატი სმიტი

ბელგიელ ან დემელემაისტერის კოლექცია ძალიან დინამიური ადამიანებისთვისაა განკუთვნილი. მისი გმირი როკ-მომღერალი პატი სმიტი გახდა: შავი შარვლები, თანაბრად უხეში ჩექმები ქალებისთვის და მამაკაცებისთვისაც, და ამ სეზონის კოლექციის ატრიბუტები სვირინგები და ლითონის გულსაკიდებია, წარწერით SIN (ცოდვა).

რაფაელ ლოპესს ამჟამად ელა ფიცჯერალდი შთააგონებს. მან ლონდონში თავის თოვლივით თეთრი კოლექცია წარადგინა. ლაიკრა, ტრიკოტაჟი და გამჭვირვალე შიფონი “ჯაზის ოქროს ხანის” გრძელი კაბების ძირითად მასალადაა გამოყენებული, გარუჯული მოდელების კანი ოქროსფრად ბრჭყვიალებს, და უნგაროს სახლის დიზაინერის, ჟან ბატისტ იალის მიერ ამ კოლექციისთვის შექმნილ გულსაკიდებზე პაპიროსიანი, ალისფერი ტუჩებია გამოსახული.

ჯორჯო არმანიმ კი სახლის ახალ სახედ მსახიობი მილა იოვოვიჩი აირჩია. სწორედ მილას კინოგმირი, ლილუ ფილმიდან “მეხუთე ელემენტი” გახდა ყველა ფანტასტიკის მოყვარულის მუზა: ბლააკმა ვერცხლისფერი კომბინიზონები და ბადესავით მაისურები შექმნა, პაკო რაბანის დიზაინერმა როზმარი როდრიგეზმა კი - ბრჭყვიალა და სარკით გაწყობილი აბჯარი...

ფუფუნების მოყვარული ჯულიენ მაკდონალდი უელსურ სისადავეს ნათელ ფერებსა და დაუფარავ სექსუალობას ამჯობინებს. იბიცასა და ჰავაის კუნძულების ღამის კლუბებისთვის მოდელების შექმნისას ის ორქიდეის და ეგზოტიკური ყვავილების გირლანდებს იყენებს. მისთვის იდეალური ქალი მშვენიერი აბორიგენია და კლუბის მოცეკვავე.


მილა იოვოვიჩი

კრისტიან ლაკრუა, რომელიც საკუთართან ერთად პუჩის მოდის სახლსაც უძღვება, თავის ერთადერთ მუზად მეუღლეს, ფრანსუაზას ასახელებს. სწორედ ამ ინტელექტუალური და ბოჰემური ქალის წყალობით იქცა ლაკრუა-ბიბლიოთეკარი ლაკრუა-დიზაინერად.

აი, მარიან პეჟოსკი კი, რომელმაც წმინდა მარტინის კოლეჯი დაამთავრა და ლონდონური დიზაინს სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია, თავის კოლექციაში ზღაპრულ ალსა და ბრიტანეთის მეომარ დედოფალს, ბუდიკას “აერთიანებს”. მისი მოდელების ვერცხლისფერი ქერცლი ერთსა და იმავე დროს ალის კუდსაც მოგვაგონებს და დედოფლის ჯაჭვის პერანგსაც. ამას თან ერთვის გამჭვირვალე, ფირუზისფერი კომბინიზონები, მაღალი ჩექმები...

დიზაინერი მარკუს ლიუპფერი ქალაქელი ქალებისთვის ირჯება: “ჩემი ტანსაცმლის ხმარება ნებისმიერ ქალს შეუძლია, იმ პირობით, რომ ის ძლიერი, გაბედული და ჭკვიანი ადამიანია და ექსპერიმენტების არ ეშინია. გარდა ამისა, ქალაქელი უნდა იყოს.” მართლაც, ასე გამოწყობილი მწყემსი გოგო ძნელი წარმოსადგენია.

სამაგიეროდ, ჟან ბატისტ უალი ყოფილა პასტორალური მშვენების ტრფიალი: დაწინწკლული კაბები, ფუშფუშა სახელოები, ჩალის ქუდები... არადა, მისი შთაგონების წყარო ოდესღაც მადონა იყო.










## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.